პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 დეკემბერი **შაბათი** 2009

№299 (12978) ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩელსი ჟოზეს წინააღმდეგ






UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დიდი ინგლისურ-იტალიური ბრძოლები

UEFA EUROPA LEAGUE



# ფერგი vs ბექზი კიდევ იქნება

წილისყრა >> გვერდი 7

# ქეცბაია თურქეთში მიდის

რაზე ისაუბრეს ნაკრების მწვრთნელმა და სიჭინავამ

>> გვერდი 2



# სამი დალიე... დუბლინურად




>> გვერდი 11




# ყურადღება! არ გამოგრჩეთ!

## დღევანდელ ლელოში

სამუნდიალო გზამკვლევი და 2010 წლის კალენდარი ფეხბურთის მოყვარულთათვის

**დღევანდელი ნომერი 20-გვერდიანია**

# სამხრეთ[ი]...
# 20...

## A

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამ. აფრიკა | | | | | | | | | |
| მექსიკა | | | | | | | | | |
| ურუგვაი | | | | | | | | | |
| საფრანგეთი | | | | | | | | | |

## B

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | | | | | | | | | |
| ნიგერია | | | | | | | | | |
| კორეა | | | | | | | | | |
| საბერძნეთი | | | | | | | | | |

## C

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | | | | | | |
| აშშ | | | | | | | | | |
| ალჟირი | | | | | | | | | |
| სლოვენია | | | | | | | | | |

## D

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | | | | | | | | | |
| ავსტრალია | | | | | | | | | |
| სერბეთი | | | | | | | | | |
| განა | | | | | | | | | |

1/8 — 1/4 — 1/2 — ფინ...

A1 / B2
C1 / D2
D1 / C2
B1 / A2

III ად...

SOUTH AFRICA 2010 FIFA WORLD CUP

| დღე | N | მატჩი/ჯგუფი | დრო* |
|---|---|---|---|
| 11 ივნისი | 01 | სამ. აფრიკა-მექსიკა (A) | 17:00 |
| 11 ივნისი | 02 | ურუგვაი-საფრანგეთი (A) | 21:30 |
| 12 ივნისი | 04 | კორეა-საბერძნეთი (B) | 14:30 |
| 12 ივნისი | 03 | არგენტინა-ნიგერია (B) | 17:00 |
| 12 ივნისი | 05 | ინგლისი-აშშ (C) | 21:30 |
| 13 ივნისი | 06 | ალჟირი-სლოვენია (C) | 14:30 |
| 13 ივნისი | 08 | სერბეთი-განა (D) | 17:00 |
| 13 ივნისი | 07 | გერმანია-ავსტრალია (D) | 21:30 |
| 14 ივნისი | 09 | ჰოლანდია-დანია (E) | 14:30 |
| 14 ივნისი | 10 | იაპონია-კამერუნი (E) | 17:00 |
| 14 ივნისი | 11 | იტალია-პარაგვაი (F) | 21:30 |
| 15 ივნისი | 12 | ახ. ზელანდია-სლოვაკეთი (F) | 14:30 |
| 15 ივნისი | 13 | კოტ დ'ივუარი-პორტუგალია (G) | 17:00 |
| 15 ივნისი | 14 | ბრაზილია-დსრ კორეა (G) | 21:30 |
| 16 ივნისი | 15 | ჰონდურასი-ჩილე (H) | 14:30 |
| 16 ივნისი | 16 | ესპანეთი-შვეიცარია (H) | 17:00 |
| 16 ივნისი | 17 | სამ. აფრიკა-ურუგვაი (A) | 21:30 |
| 17 ივნისი | 20 | არგენტინა-კორეა (B) | 14:30 |
| 17 ივნისი | 19 | საბერძნეთი-ნიგერია (B) | 17:00 |
| 17 ივნისი | 18 | საფრანგეთი-მექსიკა (A) | 21:30 |
| 18 ივნისი | 21 | გერმანია-სერბეთი (D) | 14:30 |
| 18 ივნისი | 22 | სლოვენია-აშშ (C) | 17:00 |
| 18 ივნისი | 23 | ინგლისი-ალჟირი (C) | 21:30 |
| 19 ივნისი | 25 | ჰოლანდია-იაპონია (E) | 14:30 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 ივნისი | 49 | A1-B2 | 17:00 |
| 26 ივნისი | 50 | C1-D2 | 21:30 |
| 27 ივნისი | 51 | D1-C2 | 17:00 |
| 27 ივნისი | 52 | B1-A2 | 21:30 |
| 28 ივნისი | 53 | E1-F2 | 17:00 |
| 28 ივნისი | 54 | G1-H2 | 21:30 |
| 29 ივნისი | 55 | F1-E2 | 17:00 |
| 29 ივნისი | 56 | H1-G2 | 21:00 |

### A ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 11 ივნისი | სამ. აფრიკა-მექსიკა | იოჰანესბურგი |
| 11 ივნისი | ურუგვაი-საფრანგეთი | კეიპთაუნი |
| 16 ივნისი | სამ. აფრიკა-ურუგვაი | პრეტორია |
| 17 ივნისი | საფრანგეთი-მექსიკა | პოლოკვანი |
| 22 ივნისი | მექსიკა-ურუგვაი | რუსტენბურგი |
| 22 ივნისი | საფრანგეთი-სამ. აფრიკა | ბლუმფონტეინი |

### C ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | ინგლისი-აშშ | რუსტენბურგი |
| 13 ივნისი | ალჟირი-სლოვენია | პოლოკვანი |
| 18 ივნისი | სლოვენია-აშშ | იოჰანესბურგი |
| 18 ივნისი | ინგლისი-ალჟირი | კეიპთაუნი |
| 23 ივნისი | სლოვენია-ინგლისი | პ/ელიზაბეტი |
| 23 ივნისი | აშშ-ალჟირი | პრეტორია |

### B ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | არგენტინა-ნიგერია | იოჰანესბურგი |
| 12 ივნისი | კორეა-საბერძნეთი | პ/ელიზაბეტი |
| 17 ივნისი | საბერძნეთი-ნიგერია | ბლუმფონტეინი |
| 17 ივნისი | არგენტინა-კორეა | იოჰანესბურგი |
| 22 ივნისი | ნიგერია-კორეა | დურბანი |
| 22 ივნისი | საბერძნეთი-არგენტინა | პოლოკვანი |

### D ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 13 ივნისი | გერმანია-ავსტრალია | დურბანი |
| 13 ივნისი | სერბეთი-განა | პრეტორია |
| 18 ივნისი | გერმანია-სერბეთი | პ/ელიზაბეტი |
| 19 ივნისი | განა-ავსტრალია | რუსტენბურგი |
| 23 ივნისი | განა-გერმანია | იოჰანესბურგი |
| 23 ივნისი | ავსტრალია-სერბეთი | ნელსპრუიტი |

### 1/8 ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 26 ივნისი | 1. A1-B2 | პორტ ელიზაბეტი |
| 26 ივნისი | 3. C1-D2 | რუსტენბურგი |
| 27 ივნისი | 4. D1-C2 | ბლუმფონტეინი |
| 27 ივნისი | 2. B1-A2 | იოჰანესბურგი |

### 1/2 ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 2 ივლისი | C. 5-7 | პორტ ელიზაბეტი |
| 2 ივლისი | A. 1-3 | იოჰანესბურგი |

### ნახევარ...

6 ივლისი A...
7 ივლისი B...

### მატჩი III ა...

10 ივლისი. პ...

### ფი...

11 ივლისი. ...

# 2010

### იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 |

### მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | |

### აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

### მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ოთხშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ხუთშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| პარასკევი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

### ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები

# თემურ ქეცბაია თურქეთში მიდის

მართალია, ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცი **თემურ ქეცბაია** ოფიციალურად 1-ელი იანვარიდან შეუდგება მუშაობას, მაგრამ პრინციპში, კონტრაქტზე ხელმოწერის დღიდან ის უკვე შეუდგა საქმიანობას. საქართველოში ის გუშინწინ საღამოს დაბრუნდა, ხოლო გუშინ **ზვიად სიჭინავას** შეხვდა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საათზე მეტხანს ისაუბრეს. მათ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. სიჭინავამ ქეცბაიას ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" მიმდინარე სამუშაოების შესახებ აცნობა. ბარემ მკითხველმაც იცოდეს, რომ საწვრთნელ ბაზაზე ორი მოედანი იქნება. გარდა ამისა, გადიდდება საცხოვრებელი ბლოკი, რომელიც 56 ადამიანს დაიტევს. შესაბამისად, „ბასაზე" ერთდროულად ორ ნაკრებს შეეძლება მოსამზადებელი შეკრების გავლა. გარდა ამისა, ტრენაჟორებისა და სავარჯიშო აღჭურვილობის ახალი კომპლექტიც ჩამოვა. „ბასაში" სამუშაოების პირველი ნაწილი თებერვალში დასრულდება, რათა ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა 3 მარტის მატჩებისთვის მზადება შერემონტებულ ბაზაზე გაიარონ. ხსენებული მატჩების შემდეგ კი „ბასას" მასშტაბური რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და, როგორც ამბობენ, ეს ბაზა კავკასიაში ერთ-ერთი გამორჩეული იქნება.

მოგეხსენებათ, იყო ვარიანტი, საქართველოს ნაკრებს იანვარში რომელიმე საერთაშორისო ტურნირზე ესასპარეზა. თუმცა ეს საკითხი უკვე მოხსნილია დღის წესრიგიდან. საქმე ისაა, რომ ფიფას მიერ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად 3 მარტამდე სხვა თარიღი გამოყოფილი არ არის. შესაბამისად, კლუბებს სრული უფლება აქვთ ფეხბურთელები ნაკრებს არ დაუთმონ. მოგეხსენებათ იანვარი ის პერიოდია, როცა გუნდებს ან უკვე განახლებული აქვთ სეზონი, ანდაც საამისო სამზადისის დასკვნითი სტადია აქვთ. და რაკი კლუბები იანვარში მოთამაშეებს ვერ შეელევიან, ამიტომაც ნაკრების (თუნდაც შერეული შემადგენლობით) უცხოურ ტურნირში მონაწილეობა აზრს კარგავს.

თუმცა ქეცბაია მაქსიმალურად აპირებს იანვრის გამოყენებას და საამისოდ, ერთი ჩანაფიქრიც აქვს - მას სურს, ჩავიდეს ანთალიაში, სადაც უამრავი კლუბი გადის მოსამზადებელ შეკრებას. შესაბამისად, ამ პერიოდში თურქეთის პოპულარულ კურორტზე არაერთი ქართველი ლეგიონერის ნახვაც შეიძლება და ქეცბაიაც სანაკრებო კანდიდატებს სწორედ იქ დააკვირდება. თებერვლის შუა რიცხვებში კი ნაკრების თავკაცი გამოსაძახებელთა სიაზე დაიწყებს მუშაობას და სადღაც 15-20 თებერვლისთვის შემადგენლობას დაასახელებს. მანამდე კი, 7 თებერვალს, ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაა...

**დავით ცაგაძე**



ზვიად სიჭინავა (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ყენია ბირმინგემს სურს

ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ხმების თანახმად, **ლევან ყენიას** „ნისლიან ალბიონზე" გადაბირების მსურველი გამოუჩნდა - პრემიერლიგის მეშვიდეადგილოსანი „ბირმინგემ სიტი". ამ გუნდს შოტლანდიელი **ალექს მაკლიში** წვრთნის, რომელსაც საქართველოს ნაკრებთან და კერძოდ ყენიასთან საკმაოდ უსიამოვნო მოგონება აკავშირებს - ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა საქართველოს ნაკრებმა მაკლიშის შოტლანდიას ევროპის ჩემპიონატის საგზური დააკარგვინა - თბილისში 2:0 დაამარცხა.

„ლურჯების" ბოსი მაღალი წარმოდგენისაა ყენიაზე და 19 წლის ქართველს ახალ **გიორგი ქინქლაძეს** უწოდებს. მწვრთნელს ახლახან ყენიას თამაშის ნახვაც სურდა, გერმანიაშიც ჩავიდა, მაგრამ ქართველის ტრავმის გამო იმედგაცრუებული დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


## განცხადება

საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი" აცხადებს დუბლიორთა გუნდში პერსპექტიული (1991-92 წლებში დაბადებული) ჭაბუკების მიღებას.

შერჩევა ჩატარდება თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო სკოლა „ავაზაში", 21 დეკემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით, დილის 11 საათიდან.

*საკონტაქტო ტელეფონი: 893 36 83 50*


პროფლიგა



დიმიტრი რამიშვილი (მარცხნივ) და პაატა ბურჯალიანი

# რა იქნება მომავალში?

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილის** გადადგომას ბუნებრივად მოჰყვება ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის **პაატა ბურჯალიანის** წასვლაც. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ დროა, „წინილები დავითვალოთ".

ჯერ გავიხსენოთ, რა მიზნით დაარსდა საქართველოში ეს ორგანიზაცია - ფეხბურთის კომერციალიზაციისა და ქართული ფეხბურთის სატელევიზიო ეთერში მისატანად. რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთისადმი მიძღვნილი გადაცემები ტელეეთერით ადრეც გვინახავს, მაგრამ არა - იმ სიხშირით, როგორც ეს დღეს არის.

წლების წინ სპორტის სასახლეში **ლევან ყიფიანისა** და **ნუგზარ ჯულელის** დიალოგი ჩავწერე. დავა იყო საკითხზე - შესაძლებელია თუ არა ქართული ჩემპიონატით ტელევიზიების დაინტერესება? ჯულელს ამის არ სჯეროდა, ყიფიანი კი ამტკიცებდა - უნდა გავიჭირვოთ, მაგრამ იდეა მაინც განვახორციელოთო...

გავიდა დრო და 2004 წელს რამიშვილმა პროფესიული ფეხბურთის ლიგა დააარსა. უფერული საშეჯიბრო განყოფილება ნოვაციებისადმი მიდრეკილმა ორგანიზაციამ შეცვალა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა - არ შეიძლება, საქართველოს ჩემპიონატის ორგანიზებაზე მხოლოდ საშეჯიბრო კომიტეტი ზრუნავდეს. ჩემპიონატს საერთოდ არ ჰყავდა სპონსორები, სუპერთასის გათამაშება მივიწყებული იყო, ეროვნული თასის ფინალიც ერთი ჩვეულებრივი თამაში გახლდათ, ეროვნული პირველობის გამარჯვებული კი მხოლოდ მორალურ კმაყოფილებას იღებდა. მოკლედ, სიახლეები ჰაერივით საჭირო იყო.

ლიგამ ეროვნული პირველობისთვის (თუნდაც მიზერული თანხების საფასურად) სპონსორები მიიზიდა - „ყაზბეგი", „ფოლკსვაგენი", „აქსისი", „ჯეოსელი", „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია"... სულ ახლახან კი სამორინე „ივერია", „ბაგრატიონი 1882", „გაერთიანებული ტელეკომი" და „სანდორა".

კარგად გვახსოვს, პროფლიგისა და „ყაზბეგის" ერთობლივი პროექტი, როცა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები - **კაკა, გატუზო, მალდინი** და ასე შემდეგ... საქართველოს პირველობის მატჩებზე დასწრებას გვირჩევდნენ...

რამიშვილის დაჟინებული მოთხოვნით, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 10-გუნდიანი გახდა, რამაც მას დაძაბულობა და მეტი ლაზათი შესძინა. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა შეკრებაზე რამიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა, ნაკრების მწვრთნელებს პატივი ეცათ ეროვნული პირველობისთვის - **ექტორ კუპერი** „სამშაბათობებს" რომ ატარებდა და ჩემპიონატის შეხვედრებს ესწრებოდა, ეს პირველობის პრესტიჟისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ.

ლიგა ევროპული მოთხოვნებით ხელმძღვანელობდა და გაკოტრებულ კლუბებს უმაღლეს ლიგაში არ ტოვებდა - ეს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილება გახლდათ. ამაზე ევროპაში არც დავობენ, ჩვენთან კი მთავარს ივიწყებენ - უფულო კლუბი ქართულ ფეხბურთსა და უმაღლეს ლიგას ვერაფერს შესძენს. რა ვუყოთ, ასეთია რეალობა - ესა თუ ის სახელოვანი კლუბი („ტორპედო", „კოლხეთი", „გურია", ბათუმის „დინამო") უმაღლეს ლიგაში რომ აღარ თამაშობს, მათივე მესვეურების ბრალია და არა - მკაცრი მოთხოვნების.

ამით პროფლიგა ცდილობდა, ქართული კლუბები უეფას ლიცენზირების ჩარჩოში ჩაესვა და საქმე აქეთკენაც მიდიოდა, მაგრამ... რუსეთის აგრესიამ და ეკონომიკურმა კრიზისმა ამ პროცესს სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა.

პროფლიგის ხელმძღვანელობისა და „ვიტ ჯორჯიის" თავკაცთა ერთობლივი იდეა იყო უეფას „ჰეთ თრიკის" პროექტით ქართული მოედნების მოწყობა. ეს პროექტი რუსთავის სტადიონით დასრულდა, მცხეთაში კი საფარი მომავალ წელს დაიგება.

ალარაფერს ვამბობთ მედიაკომპანია „კოლხიდასთან" ერთად განხორციელებულ მნიშვნელოვან ტელეპროექტ „გოლზე", რომელმაც ნელ-ნელა ეროვნული პირველობისადმი ყურადღება გაზარდა. იდეა წელს „რუსთავი 2-მაც" აიტაცა და საქართველოს ჩემპიონატის მიმოხილვას ცალკე გადაცემა დაუთმო, ისევე, როგორც „მზემ". ქართული ლიგის სამ არხზე გატანა იოლი საქმე ნამდვილად არ არის...

წლის შემაჯამებელი შოუ „დია" - ისევ და ისევ ეროვნული პირველობისა და მასში დასაქმებული ფეხბურთელების პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიება, რომელმაც უდავოდ გაამართლა. მოთამაშეები ბოლო წლებში მოუთმენლად ელოდნენ „დიას". ეს ბევრს ნიშნავს.

ლიგის ხელმძღვანელობა ვიღაცას მოსწონდა, ვიღაცას - არა, ამ უკანასკნელთაც ჰქონდათ თავიანთი არგუმენტები. მაგრამ ჩვენში ხომ ასეთი „ტრადიციაა" - კარგს არავინ ხედავს. ამიტომაც ვამბობთ, რომ პროფლიგას სასიკეთო წამოწყებებს ვერავინ წაართმევს. ლიგა ცდილობდა იმ მინიმალური ზღვრის მიღწევას, რომელიც ევროპულ ქვეყნებში არსებობს და საბოლოოდ, ფეხბურთიდან ისე წავიდნენ, თავიანთი კვალი მაინც დატოვეს.

რატომ ვყვებით ამ ყველაფერს? მალე პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ახალი ხელმძღვანელობა დაინიშნება და მან უნდა იცოდეს, რომ არსებობს მინიმალური ზღვარი, რომლის ქვემოთ დაშვებაც არ ეპატიებათ.

და კიდევ: საქართველოში ყველა სფეროში აშკარაა პროფესიონალების დეფიციტი. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ფეხბურთია. გასაგებია, რომ რამიშვილი ბიზნესში წავიდა, მაგრამ რა ბედი ელით პროფლიგაში მოღვაწე მართლაც და პროფესიონალებს (რასაც ბევრი აღიარებს) - **ნოდარ კაკულიასა და პაატა ბურჯალიანს**? თუკი საქართველოში ძველებურად „ჩემიანი-შენიანია" მნიშვნელოვანი, მაშინ ესეც ვთქვათ. თუ არა და, პროფესიონალები რატომ არ უნდა გამოვიყენოთ?

და რაც მთავარია - რა ბედი ელის თავად პროფესიული ფეხბურთის ლიგას? ფაქტია, რომ ჩვენ მიერ დასახელებულ პროექტებს ფედერაცის დაქვემდებარებაში მყოფი საშეჯიბრო განყოფილება ვერ გასწვდებოდა. სხვათა შორის, უეფა მის წევრ ორგანიაზაციებს პროფესიული ფეხბურთის სტატუსის ორგანიზაციის არსებობას ურჩევს და ალბათ, მას არც საქართველოში გააუქმებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აწზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ეტაპის რჩეულნი



ანდერსონ აკინო პირველი ეტაპის საუკეთესეო მოთამაშეა

## პირველი ეტაპის სიმბოლური ნაკრები




**2009 წლის** უკანასკნელი ოფიციალური მატჩიც (საქართველოს სუპერთასი) ჩავატარეთ და მომავალი წლის თებერვლის დასაწყისამდე ჩვენს ჩემპიონატში შესვენებაა გამოცხადებული. თუმცა, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები თუ მწვრთნელები თვე-ნახევარი როდი დაისვენებენ - გუნდების უმრავლესობა უკვე იანვრის დასაწყისში შეიკრიბება, წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობაც დადგინდება და ზამთრის მოსამზადებელი ეტაპიც დაიწყება. ოღონდ, ამ შემთხვევაში საქმე არაერთგვაროვნად იქნება: გუნდების ერთი ნაწილი უცხოეთში გაემგზავრება, მეორე ნაწილს კი ადგილზე მოუწევს შეკრების ჩატარება...

პირველ და მეორე ეტაპს შორის ყველაზე საინტერესო, რაღა თქმა უნდა, სატრანსფერო სიახლეები იქნება. თუმცა, ამის თაობაზე უკვე იანვრიდან შევუდგებით მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას; მანამდე კი, ალბათ, აჯობებს, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპი შევაჯამოთ და პირველ-მეორე წრის საუკეთესო ფეხბურთელები და მწვრთნელები წარმოგიდგინოთ.

უკვე მეოთხე სეზონია, ჩვენი გაზეთი ყოველი ტურის დასრულების შემდეგ - „ტურის სიმბოლურ" ნაკრებს ადგენს; ამ ნაკრებს, რაღა თქმა უნდა, „საკუთარი" მწვრთნელიც ჰყავს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არ გამოგვივლენია მწვრთნელებს შორის საუკეთესო. სამაგიეროდ, უკვე იშვიათად კი არა, ფაქტობრივად, ველარც შეხვდებით „ტურის ფეხბურთელს". თავად განსაჯეთ: პირველ ეტაპზე თვრამეტი ტური ჩატარდა და მხოლოდ სამჯერ იყო ისეთი შემთხვევა, „ტურის ფეხბურთელი" რომ გამოვავლინეთ! ძნელია ამის მიზეზის ახსნა, ალბათ, იმის გამოც ხდებოდა, რომ რაც დრო გადის, ჩვენს ჩემპიონატში მაღალი კლასის შემსრულებლები აღარ ჩანან; უფრო ზუსტად, იშვიათია ისეთი შეხვედრები, კონკრეტული ფეხბურთელი რომ გადაწყვეტს ხოლმე მატჩის ბედს. აი, ის სამი ფეხბურთელიც, ამ სეზონში „ტურის რჩეულად" რომ მივიჩნიეთ: **გიორგი გაბედავა** („გაგრა"), **გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე** (ორივე - „დინამო").

ახლა კი სხვა ნომინანტებიც ვახსენოთ და უპირველესად, მწვრთნელებით დავიწყებთ. თვრამეტიდან ოთხ შემთხვევაში „ტურის მწვრთნელი" არ გამოგვივლენია, დანარჩენ თოთხმეტ შემთხვევაში კი ასეთი მდგომარეობაა: ყველაზე მეტჯერ ეს პატივი წილად ხვდა **თემურ მახარაძეს** (ხუთჯერ), ოღონდ გამოცდილმა სპეციალისტმა ორ გუნდში მუშაობის დროს მოახერხა (ერთხელ - „სიონის" თავკაცის რანგში, ოთხჯერ - „ოლიმპის"). აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, პირველი ეტაპის საუკეთესო მწვრთნელად რომ დავასახელეთ? ისე, ცნობისათვის: ამ ორივე გუნდის თავკაცის რანგში მახარაძეს უკვე თოთხმეტმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და, რატომღაც გვგონია, რომ ეს ისედაც შთამბეჭდავი შედეგი კიდევ უფრო გაუმჯობესდება!..

ნამდვილად არ ჰქონდა ურიგო შედეგი „დინამოს" მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავასაც**, რომელიც ოთხჯერ დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად". ისე, „დინამო" ამ ჩემპიონატში, მართლაც „უცნაურად" ასპარეზობდა: დიდი ანგარიშით მოუგო „სპარტაკსა" და „ოლიმპს", სეზონში პირველი მარცხი აგემა „ზესტაფონს" და ამ დროს, უმოწყალოდ ფლანგა ქულები ზოგიერთ ბევრად სუსტ მეტოქეებთან; ორჯერ დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად" **გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი"), თითო-თითოჯერ კი **ვლადიმერ ხაჩიძე** („სპარტაკი"), **ვიქტორ კაშჩეი** („გაგრა") და „სამტრედიის" ახალგაზრდა მწვრთნელთა დუეტი - **მამუკა მესიაჩენკო** და **ლევან ანჯაფარიძე**.

ახლა ფეხბურთელებზე „გადავიდეთ" და, როგორც „წესი" მოითხოვს, ჯერ მეკარეები უნდა ვახსენოთ. ამ ამპლუაში აშკარა ლიდერიც გამოიკვეთა: „ლოკომოტივის" მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** იმდენად დამაჯერებლად იასპარეზა პირველ ეტაპზე, რომ შვიდჯერ (!) შევიყვანეთ ტურის სიმბოლურ ნაკრებში! ქვილითაიამ დანარჩენი კოლეგები საგრძნობლად ჩამოიტოვა და მეორე ეტაპზეც თუ ასე გააგრძელა, ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეობაც გარანტირებული ექნება. სხვა მეკარეთა მაჩვენებელი კი ასეთია: **ზურაბ მამალაძე** („ზესტაფონი") - 3, **გრიგოლ ჭანტურია** („ოლიმპი") - 2, **რევაზ თევდორაძე** („გაგრა") - 2, **მინდია ბობლიაშვილი** („სიონი") - 2, **გრიგოლ ბედიაშვილი** („ვიტ ჯორჯია") - 1, **გიორგი ლორია** („დინამო") - 1.

მეკარეების მსგავსად „ერთპიროვნული ლიდერი" გვყავს მცველებშიც - „დინამოს" ახალი კაპიტანი **გურამ კაშია** მართლაც გამორჩეულ სეზონს ატარებს და სრულიად ლოგიკურიც იყო, შვიდჯერ რომ შევიყვანეთ ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ახლა კი სხვა მცველების მონაგარს გადავხედოთ: **ლევან ხმალაძე** („დინამო") - 4, **ალექს ფრაგა** („ოლიმპი") - 4, **გიგა ბეჭვაია** („ვიტ ჯორჯია") - 4, **ალექსანდრე კვახაძე** („ვიტ ჯორჯია") - 3, **ბოიომო ფრიდოლინი** („სპარტაკი") - 3, **გიორგი ონიანი, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ხიდეშელი** (სამივე - „ზესტაფონი") - 2, **გულვერდ თომაშვილი, გიორგი ნერგაძე** (ორივე - „დინამო") - 2, **პავლე დათუნაიშვილი** („სპარტაკი") - 2, **ნიკა გუშარაშვილი** („ლოკომოტივი") - 2, **ოლეგ გველესიანი, სევასტი თოდუა, ნოდარ მაჭავარიანი** (სამივე - „ოლიმპი"), **გივი დიდავა** („სპარტაკი"), **გიორგი ხატიაშვილი** („ლოკომოტივი"), **რევაზ ქემოკლიძე, თენგიზ ჩიკვილაძე, მიხეილ მახვილაძე, გელა ხუბუა** (ოთხივე - „სიონი"), **თორნიკე შალიკაშვილი, დავით გიგაური, ლაშა თოთაძე** (სამივე - „გაგრა"), **ლაშა ჯაფარიძე** („ვიტ ჯორჯია"), **როინ ონიანი** („ბაია"), **ზაალ ელიავა** („ზესტაფონი"), **გიორგი კვესიეშვილი, რევაზ ნინუა** (ორივე - „სამტრედია") - ყველა თითოჯერ.

ნახევარმცველებს შორის კი ორი გამოკვეთილი ლიდერი გვყავს (და ორივე გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატს: **თორნიკე აფციაური** („ზესტაფონი") და **დავით იმედაშვილი** („ოლიმპი"). აფციაური რვაჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, იმედაშვილი - შვიდჯერ, თან ამ უკანასკნელმა პირველ ეტაპზე, სულ მცირე, ოთხ-ხუთ სათამაშო პოზიციაზე იასპარეზა! სხვა ნახევარმცველების მაჩვენებელი კი ასეთი გახლავთ: **ალექსანდრე კოშკაძე, გიორგი მერებაშვილი** (ორივე - „დინამო") - 4, **გიორგი კახელიშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი** (ორივე - „ვიტ ჯორჯია") - 3, **ალექსანდრე გოგობერიშვილი** („სიონი") - 3, **ნიკა ძალამიძე** („ბაია") - 3, **შოთა გრიგალაშვილი** („ზესტაფონი") - 3, **დავით ოდიკაძე** („სპარტაკი") - 3, **თეიმურაზ შონია, გიორგი ჩივაძე** (ორივე - „სპარტაკი") - 2, **შოთა ჩომახიძე, ლაშა ვაშაკიძე, შალვა ფირცხალავა** (სამივე - „სამტრედია") - 2, **ბუბა დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი** (ორივე - „ზესტაფონი") - 2, **შოთა კაშია, გიორგი მამუჩაშვილი** (ორივე - „დინამო") - 2, **ჯერონიმო** („ოლიმპი") - 2, **დავით დილმელაშვილი** („დინამო"), **სერგეი ბერბატი, თორნიკე ოქრიაშვილი** (ორივე - „გაგრა"), **დენის დობროვოლსკი, შოთა ბაბუნაშვილი** (ორივე - „ოლიმპი"), **ლუკა რაზმაძე** („ვიტ ჯორჯია"), **ჩისამბა ლუნგუ, დავით ქირია, ლუკა გუგუჩია** (სამივე - „ბაია"), **ლევან კორღალიძე** („ზესტაფონი"), **ირაკლი ჩირიკაშვილი, კობა შალამბერიძე, გიორგი მანწკავა** (სამივე - „სპარტაკი"), **ვალერი ტყემალაძე** („სამტრედია"), **ერეკლე კაჭახიძე** („ლოკომოტივი) - ყველა თითოჯერ.

აი, თავდამსხმელებში აბსოლუტური რეკორდსმენიც გვყავს: რუსთავის „ოლიმპის" ბრაზილიელ ლეგიონერს **ანდერსონ აკინოს** ათჯერ (!) მივუჩინეთ ადგილი ტურის სიმბოლურ ნაკრებში! აკინომ პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი მატჩი გამოტოვა და 17 შეხვედრაში 18 გატანილი გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიასაც დამაჯერებლად ლიდერობს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სწორედ ანდერსონ აკინო გახლავთ პირველი ეტაპის საუკეთესო ფეხბურთელი! ახლა კი სხვა ფორვარდების მაჩვენებლებსაც გადავხედოთ: **ნიკოლოზ გელაშვილი** („ზესტაფონი") - 5, **ვახტანგ კვარაცხელია** („ვიტ ჯორჯია") - 5, **გიორგი გაბედავა** („გაგრა") - 4, **ზაურ ხაჭიპერაძე** („სამტრედია") - 4, **ჯაბა ლიპარტია** („ვიტ ჯორჯია") - 3, **ჯაბა დვალი** („ზესტაფონი") - 3, **რევაზ ჭედია** („ოლიმპი") - 3, **მიხეილ კაკალაძე** („სამტრედია") - 3, **გიორგი გოცირიძე, ბაჩანა ცხადაძე** (ორივე - „სპარტაკი") - 2, **მათე ვაწაძე** („დინამო") - 1, **რევაზ ჯიქია** („ბაია") - 1, **ჯონათასი** („ოლიმპი") - 1.



თემურ მახარაძე

დაბოლოს, თვის ნომინანტებზეც. აგვისტოში „თვის მწვრთნელად" **ოთარ კორღალიძე** („ოლიმპი") მივიჩნიეთ, „თვის ფეხბურთელად" - ანდერსონ აკინო; სექტემბერში: მწვრთნელებს შორის საუკეთესო გია გეგუჩაძე („ზესტაფონი") იყო, ფეხბურთელებს შორის კი ერთდროულად ორი ლაურეატი გვყავდა: ნიკოლოზ გელაშვილი („ზესტაფონი") და ალექსანდრე კოშკაძე („დინამო"); ასევე ორ-ორი გამარჯვებული იყო ოქტომბერშიც: გია გეგუჩაძე, თემურ მახარაძე (მწვრთნელები) და ანდერსონ აკინო, თორნიკე აფციაური (ფეხბურთელებში). აი, რაც შეეხება ნოემბერ-დეკემბერს, მწვრთნელთა შორის თემურ მახარაძე უალტერნატივო გახლდათ, ფეხბურთელებში კი კვლავაც ორი რჩეული გვყავდა: დავით იმედაშვილი („ოლიმპი") და გურამ კაშია („დინამო").

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი


ლევან კობიაშვილი

# BILD: შალკე კობიაშვილს უფასოდ თმობს

### ბოლო დეტალები კონტრაქტამდე

**ლევან კობიაშვილის** სატრანსფერო თემა კვლავაც აქტუალურია, და სხვათა შორის, მარტო ჩვენთან არა, ამ ამბავს გერმანული ვებგვერდებიც ეხმაურებიან.

როგორც გუშინ გაუწყეთ, „ჰერტას" შემდეგ კობიაშვილით კიდევ ერთი ბუნდესლიგური კლუბი - „შტუტგარტი" დაინტერესდა. ეს ინფორმაცია „ლელომ" მოიპოვა და ჯერჯერობით არც ერთ უცხოურ წყაროს არ გაუვრცელებია. გავიგეთ ისიც, რომ „შტუტგარტთან" კობიაშვილის აგენტის მოლაპარაკებები დუნედ მიმდინარეობს და ჯერჯერობით ტრანსფერის კონტურები არ გამოკვეთილა...

ამასობაში, „ჰერტა" კიდევ უფრო გააქტიურდა. ამის დასტურად, გერმანულ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ცნობებიც კმარა. როგორც ირკვევა, „შალკეს" ბოსებს უკვე ესაუბრა „ჰერტას" მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი** და კლუბებს შორის შეთანხმებაც შედგა. „ფუსბალტრანსფერის" ინფორმაციით, ევროპის ლიგის 1/16 ფინალში გასვლის შემდეგ ბერლინური კლუბის დირექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 3 სასურველი ფეხბურთელის - თეოფანის გეკასის, ლევან კობიაშვილისა და რომან ჰუბნიკის ტრანსფერებისთვის სოლიდური თანხა გამოიყო. სხვათა შორის, „ლევერკუზენმა" გეკასი „ჰერტაში" სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა .

*„ჰერტას" მენეჯერი მიხაელ პრეეტცი უკვე ელაპარაკა „შალკეს" წარმომადგენლებს. გელზენკირხენულ კლუბთან შეთანხმება მიღწეულია. კობიაშვილი „შალკეში" მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და კლუბი თანახმაა, ქართველი მცველი უსასყიდლოდ დათმოს. ახლა ბერლინელებს უშუალოდ ფეხბურთელთან აქვთ მოლაპარაკება და როგორც ჩანს, ყველაფერი მალე დასრულდება"*, - წერს „ბილდი".

„ფუსბალტრანსფერის" ინფორმაციაშიც დაახლოებით ანალოგიური რამ ამოვიკითხეთ - კობიაშვილთან დაკავშირებით რამდენიმე დეტალია დასაზუსტებელი, მაგრამ პროცესი სწრაფად მიდის და ქართველი მალე „ჰერტას" დაცვის მარცხენა ფრთას გააძლიერებსო. დიახ, **ფრიდჰელმ ფუნკელი** კობის სწორედ ამ პოზიციაზე უპირებს გამწესებას.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# მჭედლიძე ლივორნოში?

## ქართველი ფორვარდი ითხოვს: მათამაშეთ ან გამიშვით!

**როგორც** ჩანს, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე** „პალერმოს" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში დატოვებს. გუშინ იტალიურ „კალჩომერკატოს" მიერ გავრცელებული ცნობაც ადასტურებს, რომ ჩვენებური ფორვარდის წასვლა თავად პალერმოელთა ინტერესებშიცაა.

*„პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი თავის მეგობარს, „ლივორნოს" მფლობელ ალდო სპინელის შეხვდა. როგორც ირკვევა, „ლივორნო" სიცილიელთა ურუგვაელ ტალანტ ერნანდესითაა დაინტერესებული. ძამპარინი კოლეგას ამ საკითხზე ესაუბრა. გარდა ამისა, ძამპარინიმ სპინელის ორი ისეთი ფეხბურთელი შესთავაზა იჯარით, რომლები „პალერმოს" მთავარ მწვრთნელ დელიო როსის გეგმებში არ შედიან. ესენი არიან ბრაზილიელი მეკარე რუბენს ფერნანდო და ქართველი თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე"*, - „ჯორნალე დი სიცილიაზე" დაყრდნობით ეს ინფორმაცია „კალჩომერკატომ" გაავრცელა.

ვნახოთ, მოჰყვება თუ არა რამე ორი კლუბის პრეზიდენტების საუბარს. მანამდე კი გაცნობებთ, რომ „ლივორნოს", რომელსაც **სერსე კოზმი** წვრთნის, 15 ქულა აქვს და 20-გუნდიან სერია A-ში მე-15 ადგილზე იმყოფება.

მოგეხსენებათ, ლევან მჭედლიძე „პალერმომ" „ემპოლისგან" მიმდინარე სეზონის ბოლომდე ინათხოვრა. ნათხოვარი ფეხბურთელის განათხოვრება, რბილად რომ ვთქვათ საოცარია. ფიფას კანონმდებლობით კი საბოლოო სიტყვა ფეხბურთელზეა. რადგან ძამპარინი „ლივორნოს" პრეზიდენტს მჭედლიძის განათხოვრებაზე ესაურა, წესით ეს საკითხი თავად ფეხბურთელთანაც შეთანხმებული უნდა იყოს. გუშინ ლევანთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ და თბილისში მყოფ მის ძმას, **გიორგი მჭედლიძეს** შევეხმიანეთ, რომელიც სატრანსფერო სააგენტოში მუშაობს და ამ საკითხშიც გარკვეულია. გავიგეთ სიც, რომ ლევანმა საჯაროდ განაცხადა - მათამაშეთ ან გამიშვით! მის ძმას ამაზეც დავეკითხეთ.

*„მართალი გითხრათ, ეს ინფორმაცია პირველად მესმის. ისიც კი კარგად ვიცი, რომ ამის შესახებ ლევანმაც არაფერი იცის... დიახ, ჩემმა ძმამ საჯაროდ განაცხადა, მათამაშეთ ან გამიშვითო... ამ თემაზე კლუბის ხელმძღვანელობასთან ჯერ არ უსაუბრია. ამ უქმეებზე წლის ბოლო ტურია სერია A-ში და ამის შემდეგ ლევანი თავის საკითხს გაარკვევს... ფიფას მოქმედი კანონმდებლობით, თუ ფეხბურთელს რომელიმე გუნდში გადასვლა არ უნდა, მას ამას ვერავინ დააძალებს... კი, იტალიურ პრესაში ისეთი ვერსიაც გაჩნდა, თითქოს ლევანს „ემპოლიში" სურს დაბრუნება. ჩემს ძმას იმ გუნდში უნდა, სადაც თამაში მოუწევს, მაგრამ არა - ქვედა ლიგაში, რადგან იტალიაშიც და სხვა ქვეყნებიდანაც მთავარი ლიგის გუნდები არიან დაინტერესებულები. ერთი სიტყვით, თვის ბოლოს ბევრი რამ გაირკვევა"*, - გვითხრა გიორგი მჭედლიძემ.

**დავით ცაბაძე**

სიახლე

# ქალთა გუნდები სპარტაკისთვის

**გორში** დაფუძნებული ლტოლვილების საფეხბურთო კლუბ „სამაჩაბლოს" დირექტორმა ფაცო ნასუაშვილმა გოგონათა კლუბი ჩამოაყალიბა.

*„როგორც გვითხრეს, მომავალი სეზონის დაწყებამდე უმაღლესი ლიგის კლუბებს, ისევე როგორც ჭაბუკთა ლიგაში, გოგონათა კლუბების ჩამოყალიბებაც დაევალებათ. ეს არის უეფას დირექტივა, თუმცა, ჯერ არ ვიცი, ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ არა. ასეა თუ ისე, თუკი ყურადღება მიაქციეს, ქალთა ფეხბურთი უფრო პოპულარული გახდება და უეფას მოთხოვნებს „სპარტაკი" მომზადებუიული დახვდება. სიმართლე გითხრათ, თავიდან ქალთა ფეხბურთს მეც ზერელედ ვუყურებდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ეს სერიოზული სამომავლო პროექტია, რადგან უეფა საკითხს ასე მკვეთრად სვამს. სკოლაში უკვე 12-დან 15-წლამდე ასაკის 35 გოგონა მივიღეთ. ნელ-ნელა თამაშს სწავლობენ და მეც აზარტში შევედი. საკამოდ ნიჭიერი ბავშვები არიან. ახლახანს გორში ლტოლვილებისთვის კიდევ სამასი კოტეჯი ჩააბარეს და ალბათ, ბავშვები კიდევ დაგვემატებიან. რაც შეეხება უშუალოს საფეხბურთო სკოლას, ამაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი, დიმიტრი სანაკოევი გვეხმარება. როგორც გვითხრა, ახალი წლიდან დახმარება გაიზრდება და ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენი საფეხბურთო სკოლა ხომ ცხინვალის „სპარტაკის" მომავალს ზრდის"*, - ამბობს ნასუაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# კალაძე VS ძანეტი

## ხავიერ ძანეტი: მილანისა და კალაძის არ გვეშინია


ერთ-ერთი მილანური დერბი: კალაძე და ძანეტი

**გუშინ** მილანში სპორტული ეკიპირების მწარმოებელმა პოპულარულმა კომპანია „ადიდასმა" Predator X-ის ბუცების პრეზენტაცია მოაწყო. მასზე მილანური კლუბების ორი გამორჩეული ფიგურა - **ხავიერ ძანეტი და კახა კალაძე** იყო მიწვეული. „კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, პრეზენტაციის შემდეგ, ამ ორ ფეხბურთელს შორის ერთგვარი დებატებიც გაჩაღდა.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი მილანური კლუბების ქიშპობის ამბავი. მით უმეტეს, სერია A-ს ცხრილის ლიდერ „ინტერის" უახლოესი მდევარი სწორედ „მილანია". ამ ორ კლუბს შორის დაპირისპირების გალვივებაში პრეზენტაციის შემდეგ მედიელებმაც საკმაოდ წაიმუშავეს. მათ კალაძესა და ძანეტის ერთნაირი კითხვებით მიმართეს.

„ინტერის" კაპიტანმა აღნიშნა, რომ მას არ აშინებს „მილანი", კალაძე ან „როსონერის" სხვა რომელიმე ფეხბურთელი. „ნერაძური" ამჟამად „მილანს" 5 ქულით უსწრებს და ძანეტი მიიჩნევს, რომ ეს ფორა საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ „ინტერმა" პირველობა სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს.

რაც შეეხება ქართველ მცველს, მასთან მომზადებული ინტერვიუც საკმაოდ საინტერესოა. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ამ მასალის ჩაწერამდე ჩემპიონთა ლიგის წილისყრის (რომელზეც „მილანს" მეტოქედ „მანჩესტერი" ერგო) შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

**- „ინტერს" ერთბაშად 5 ქულით ჩამორჩებით. ხავიერ ძანეტის თქვენი გუნდი არ აშინებს. საინტერესოა სკუდეტოსთვის ბრძოლაში შანსს როგორ აფასებთ?**

- სეზონი მძიმედ დავიწყეთ, არაერთი ქულა დავკარგეთ და ძნელად სავარაუდო იყო, რომ წლის ბოლოს მეორე ადგილზე ვიქნებოდით, მაგრამ ეს მაინც შევძელით. ახლა „ინტერს" 5 ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ წინ ჩემპიონატის მთელი მეორე ნახევარია. შესაბამისად, ვთვლი, რომ კარგი შანსი გვაქვს სკუდეტოს მოპოვებისთვის და ამისათვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. მით უმეტეს, ჩვენი გუნდი ახლა კარგ ფორმაშია და წინა ტურებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა მთელ გუნდს სტიმული შეგვძინა.

**- ჩემპიონთა ლიგაში მეტოქედ ვის ისურვებდით (ინტერვიუ წილისყრამდეა ჩაწერილი)?**

- ჩემი აზრით დღეს ყველაზე კარგ ფეხბურთს „ბარსელონა" აჩვენებს და თუ ამ გუნდთან მოგვიწია დაპირისპირება, კარგი სანახაობა იქნება. ასევე რთული და საინტერესო იქნება კარლო ანჩელოტის „ჩელსისთან" მეტოქეობაც... ლიგაზე სხვა კიდევ არაერთ გუნდია. წილისწყრა ლატარიაა და წინასწარ ვერავინ იტყვის, თუ როგორ დაწყვილდებიან გუნდები.

**- შაბათს „ფიორენტინას" ეთამაშებით. მართალია თქვენმა აგენტმა უარყო, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ, გავრცელებული ხმების მიხედვით იანვარში „მილანს" ტოვებთ...**

- ეს უბრალოდ ჭორია. მოხარული ვარ, რომ მთხოვნელები მყავს, მაგრამ 2011 წლის ივნისის ბოლომდე „მილანთან" კონტრაქტი მაკავშირებს და კლუბის შეცვლაზე არ ვფიქრობ. ამაყი ვარ, რომ „მილანის" წევრი ვარ. ამ გუნდში არაერთი დიდი გამარჯვება ვიზეიმე.

**დავით ცაბაძე**

ფუტზალი

# აზერბაიჯანთან შევრცხვით

**გუშინ** ბაქოში საერთაშორისო ოთხთა ტურნირი დაიწყო, რომელშიც აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ეროვნულ ნაკრებებთან ერთად მახაჩყალის „კასპი" მონაწილეობენ. ჩვენი ნაკრები გუშინ აზერბაიჯანს შეხვდა და 0:7 განადგურდა. მეზობლებს ჩვენზე ძლიერი გუნდი რომ ჰყავთ, ეს იმითაც დასტურდება, რომ აზერბაიჯანელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ, მაგრამ შვიდბურთიანი სხვაობით მარცხი დაგვეთანხმებით, მაინც ნამეტანია. ცნობისათვის, საქართველოს ნაკრებმა პირველი ტაიმი 0:6 წააგო.

ტურნირი წრიულია. დღეს ჩვენი გუნდი თურქეთს შეხვდება, 21 დეკემბერს კი „კასპის" დაუპირისპირდება. იმედია, დარჩენილ მატჩებში ქართველები შედარებით ღირსეულ შედეგს მიაღწევენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სტუმარი

# დევიმის საიდუმლოებები

## ქართველი მწვრთნელები ზუგდიდურ სემინარებზე

**გუშინ** საღამოს საფრანგეთიდან თბილისში ფრანგი სპეციალისტი **ჟაკ დევიმი** ჩამოფრინდა. მისი მასპინძელი **გაიოზ დარსაძეა**, რომელიც საქართველოში მწვრთნელთა განათლების პროგრამას ხელმძღვანელობს. მოგეხსენებათ, უკვე რამდენიმე დღეა, რაც B კატეგორიის ლიცენზიების მისაღებად ზუგდიდში მწვრთნელებისთვის სემინარები მიმდინარეობს. მუსიე დევიმი ფიზიკური მომზადების სპეციალისტია და საფრანგეთის იმ ნაკრებში მუშაობდა, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა. მის ხელში **ზინედინ ზიდანს, დავიდ ტრეზეგეს, იური ჯორკაეფს, დიდიე დეშამს, ნიკოლა ანელკას, ფაბიან ბარტეზს,მარსელ დესაის, კრისტიან კარამბეს, ლილიან ტურამსა** და სხვა ვარსკვლავებს გამოუვლიათ. გარდა ამისა, ფრანგი სპეციალისტი „მარსელსა" და „მონაკოშიც" მუშაობდა.

დევიმი B კატეგორიის მსურველ ქართველ მწვრთნელებს ფიზმომზადების „საიდუმლოებებს" გააცნობს. ის უკვე ზუგდიდშია და სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში მუშაობს კიდეც.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

# გიორგი დათუნაიშვილი
# ჩემპიონობის შანსი არ დაგვიკარგავს


გიორგი დათუნაიშვილს სუპერთასზე გატანილ გოლს ულოცავენ

**ხუთშაბათს** „ვიტ ჯორჯია" არსებობის განმავლობაში პირველად დაეუფლა საქართველოს სუპერთასს. მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ვეტერინართა ნახევარმცველი გიორგი დათუნაიშვილი იყო, რომელმაც მეათე წუთზე ანგარიში გახსნა. მას განვლილი შეხვედრის შესახებაც გავესაუბრეთ, სეზონის ნახევრის შეჯამებაც ვთხოვეთ და სამომავლო ბატალიებსაც შევეხეთ.

**- პირველ რიგში, გამარჯვებაც გილოცავთ. რის ხარჯზე შეძლო „ვიტ ჯორჯიამ" სუპერთასის მოგება?**

- მადლობა მოლოცვისთვის. ეს გამარჯვება გუნდური სულისკვეთების დამსახურებაა. სუპერთასის მნიშვნელობა თითოეულ ჩვენგანს სათანადოდ ჰქონდა გაცნობიერებული და იმის მიუხედავად, რომ დატვირთული პირველი ეტაპის შემდეგ გადაღლილები ვიყავით, ძალები მოვიკრიბეთ და პრინციპულ მეტოქეს ვძლიეთ. „ვიტ ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონი ადრეც ყოფილა, მაგრამ მაშინ ამ ტიტულისთვის ბრძოლის შანსი არ მისცემია, ახლა კი არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ კლუბისთვის ისტორიული მომენტია.

**- თქვენს გოლს როგორ გაიხსენებთ?**

- მეტოქის მოგერიებული ბურთი მივილე და სწრაფად დავარტყი შორეულ კუთხეში. ლორიას თანაგუნდელები ეფარებოდნენ და რეაგირება ვერ შეძლო. ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ ვინმეზე უკეთ ვითამაშე, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გოლმა „ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა.

**- რუსთავის სტადიონის ახალი საფარი როგორ მოგეწონათ?**

- მართალია, „ვიტ ჯორჯია" ხელოვნურ მოედანზე ვარჯიშობს, მაგრამ იქ თამაში მაინც ცოტა დამღლელი იყო. ეს ახლად დაგებული საფრის სპეციფიკაა. მალე მოედანი „დაჯდება" და იქ თამაში უდიდესი სიამოვნება იქნება. ბუნებრივია, ბალახის კარგ საფარს არაფერი სჯობია, მაგრამ იმ ოღროჩოღრო მოედნებს, რომელშიც ჩვენ გვიწევს თამაში, ხელოვნურსაფრიანი მინდორი ბევრად აღემატება. მცხეთაში, ჩვენს სტადიონზეც ასეთივე საფარს აგებენ და რაც მეტ სტადიონზე განხორციელდება ეს პროექტი, მით უკეთესი იქნება ჩვენი ჩემპიონატის დონისთვის.

**- სუპერთასის მატჩის წინა დღეს „ვიტ ჯორჯია" პენალტებში ვარჯიშობდა. თქვენ თუ აპირებდით დარტყმას?**

- ძალიან კარგია, საქმე პენალტებამდე რომ არ მივიდა, მაგრამ თუ დამატებითი დრო გამარჯვებულს ვერ გამოავლენდა, მზად ვიყავით, ამ კომპონენტშიც გამოგვევლინა ჩვენი შესაძლებლობები. თერთმეტმეტრიანების შემსრულებელთა სიაში მეც ჩამწერეს და ამისთვის მზად ვიყავი.

**- წელს „დინამოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლაშიც აჯობეთ...**

- ამ წელიწადმა „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" დაპირისპირებებში ჩაიარა და ბედნიერი ვარ, ყველა ფრონტზე ჩვენ რომ დაგვრჩა გამარჯვება. სუპერთასის მატჩი ჩვენთვის იმითაც იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ იმის დამტკიცება გვმართებდა, ჩემპიონები დამსახურებულად რომ გავხდით. მოკლედ, ახალ წელს შესანიშნავ განწყობაზე ვეგებებით.

**- იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონატში მესამე ადგილზე ხართ?**

- სამწუხაროდ, ჩემპიონატში ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დავკარგეთ. ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, მაგრამ მიზეზთა გამო, დღეს იმ პოზიციაზე არ ვართ, რაც „ვიტ ჯორჯიას" შესაძლებლობებს შეესაბამება. იყო პოზიტიური მომენტებიც. ყველაზე სასიხარულო, რაღა თქმა უნდა, თასის მეოთხედფინალში „ზესტაფონთან" გამარჯვება იყო. იმ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და ბევრისთვის მოულოდნელად, ნახევარფინალში გავიდა. იმის მიუხედავად, რომ პირველი მატჩი 0:3 გვქონდა წაგებული, საკუთარი ძალების რწმენა არ დაგვიკარგავს, გვჯეროდა, რომ ამ ჩამორჩენის გაბათილება შეგვეძლო.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობის შენარჩუნების შანსი დაკარგული აქვს.**

- რაღა თქმა უნდა, თასის მოპოვების შანსი უფრო დიდი გვაქვს, მაგრამ არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ჩემპიონობაზე ფიქრი უნდა შევწყვიტოთ, ამის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს. წინ ნახევარი სეზონია, მიმდინარე ჩემპიონატი ძალიან დაძაბულია, აუტსაიდერებთანაც კი ძალიან ჭირს ქულების მოპოვება. ამას ისიც დავუმატოთ, რომ უშუალო კონკურენტებთან ორ-ორი მატჩი გვაქვს დარჩენილი, სადაც გამარჯვების შემთხვევაში დაკარგულ პოზიციებს დავიბრუნებთ. ასე რომ, ყველაფერი მაინც ჩვენს ხელთაა.

**- „ვიტ ჯორჯიას" არასტაბილურ თამაშზე გავლენა ალბათ, მწვრთნელთა ცვლამაც იმოქმედა.**

- იმის მიუხედავად, რომ სეზონის სტარტზე ნესტორ მუმლაძე მერაბ კოჭლაშვილმა შეცვალა, ხოლო სულ ახლახანს მისი ადგილი გელა გომელაურმა დაიკავა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ მწვრთნელების შეცვლამ გუნდს დაღი დაასვა. მუმლაძის მიღწევებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, კოჭლაშვილმაც ნაყოფიერად იმუშავა და გომელაურიც საინტერესო სპეციალისტია.

**- მისი მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" სტილის შეცვლა ხომ არაა მოსალოდნელი?**

- სტილის არა, მაგრამ მან გარკვეული სიახლეები შემოიტანა. აქცენტი სწრაფ, ერთი შეხებით თამაშსა და ფლანგურ იერიშებზე კეთდება.

**- სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას როდის იწყებთ?**

- უკვე შვებულებაში ვართ. ახალი წლის წინა დღეებში სამედიცინო შემოწმებას გავივლით, ახალი წლის შემდეგ ჯერ თბილისში ვივარჯიშებთ, 16 იანვარს კი ანტალიაში გავემგზავრებით შეკრებაზე, საიდანაც სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე დავბრუნდებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ



# დავით დევდარიანი
# როცა დანიას შევეწყვე, თამაშიც გამიადვილდა
## ორჰუსმა დევდარიანს კონტრაქტი გაუხანგრძლივა

**ნელინადზე** მეტია, რუსთავის „ოლიმპის" ფეხბურთელი დავით დევდარიანი დანიაში გაემგზავრა და „ორჰუსში" ჩაირიცხა. 22 წლის პლეიმეიკერი, რომელიც სელექციონერებმა რუსთავულ გუნდში შენიშნეს, ტალანტს დანიაშიც აჩენს. დანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა იან პოულსენმა „ლელოსთან" ინტერვიუში დევდარიანი ასე დაახასიათა - ათლეტური, ტექნიკური, მშვენიერი დრიბლინგის მქონე პერსპექტიული ბიჭიაო.

ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „ორჰუსმა" ქართველ ფეხბურთელს კონტრაქტი 2013 წლამდე გაუფორმა. ამ ინფორმაციას ვებგვერდი „ტრანსფერმარკტი" გვამცნობს: „სეზონის დასრულების შემდეგ, „ორჰუსის" ხელმძღვანელობამ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ დავით დევდარიანს კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაუგრძელა. ამგვარად, კლუბს 22 წლის დევდარიანი 2013 წლამდე ეკუთვნის. მას დებიუტი მარტში ჰქონდა, მან 30 შეხვედრა გამართა და კლუბთან ადაპტაცია მოახერხა".

საინტერესო სიახლეს წავაწყდით იმავე „ტრანსფერმარკტზე" - საქართველოდან წასვლის დროს, დევდარიანის ფასი სულ რაღაც 150 ათასი დოლარი თუ იქნებოდა. ზაფხულში ქართველი ნახევარმცველი 300 ათას ევროდ შეაფასეს, ახლა კი მისი სატრანსფერო ფასი კიდევ უფრო გაიზარდა და 500 ათასი ევრო შეადგინა.

დანიაში ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა, დევდარიანი დასასვენებლად სამშობლოში ჩამოვიდა და ჩვენი ინტერვიუც აქ შედგა...

**- თავიდან „ორჰუსში" არ გათამაშებდნენ, დანიური ფეხბურთის მოთხოვნებს გაჩვევდნენ...**

- დიახ, ასეა. კლუბში წელიწადზე მეტია ჩავირიცხე, მაგრამ პირველად მარტის ბოლოს მათამაშეს.

**- იმიტომ გეკითხები, რომ დაახლოებით მსგავსი ვითარება იყო წლების წინ ალექსანდრე იაშვილის შემთხვევაშიც, რომლის შესაძლებლობებს გერმანელები კარგად იცნობდნენ, მაგრამ ჯერ ნაკლზე ამუშავეს და მერე მართლა კარგად ათამაშდა.**

- დიახ, დაახლოებით ასე ვითარება იყო ჩემს შემთხვევაშიც. დანიელებმა იცოდნენ, რაც შემეძლო, მაგრამ ინფორმაცია იმის თაობაზეც ჰქონდათ, რომ ფიზიკურად კარგად მომზადებული არ ვიყავი, ათლეტურობა და გამძლეობა მაკლდა. თუმცა, ეტყობა, ჩემი იმედი მაინც ჰქონდათ და კარგად მომამზადეს. ამის გამო, ჩასვლიდან ნახევარი წელი თამაშის საშუალება არ მოუციათ, მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში ჩავდექი, ფიზკურად მოვმძლავრდი, ტაქტიკურად ბევრი რამ მასწავლეს, გამძლეობაშიც აღარ მოვიკოჭლებდი და მერე თამაშის შანსი მომეცა. ახლა უკვე ძირითად შემადგენლობაშიც ხშირად მათამაშებენ.

**- ძალიან გამიკვირდა დანიის ნაკრების ერთ-ერთმა ყოფილმა მწვრთნელმა შენი დახასიათების დროს რომ გვითხრა, ათლეტური ფეხბურთელი არისო - არადა, საქართველოდან წასვლის შემდეგ მართლა შეცვლილი ჩანხარ და ნამდვილ ათლეტს დაემსგავსე.**

- ეს არაა გასაკვირი, ფიზიკური და ტაქტიკური მომზადების გასაუმჯობესებლად, დანიაში ყველა ფეხბურთელს ინდივიდუალურად ავარჯიშებენ. წელიწადზე მეტია დანიაში ვარ. ეს პატარა დრო არაა, ასეთ საფეხბურთო ქვეყანაში, ნაკლის დახვეწა რომ მოახერხო.

**- ფიზიკური მომზადება შედარებით ადვილია, როცა მწვრთნელის კონკრეტულ დავალებას ასრულებ. ქართველი ფეხბურთელების „აქილევსის ქუსლი" ტაქტიკური განათლებაა - რასაც ბავშვობიდან არ ასწავლიან, ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია, 20-22 წლის ასაკში უცებ ისწავლო.**

- მე გამიმართლა, რადგან ბავშვობიდან გელა გომელაურთან ვვარჯიშობდი. გომელაური ტაქტიკურ და თეორიულ გაკვეთილებს ძალიან ხშირად გვიტარებდა. ასე რომ, დანიაში ჩასულს სიახლეების ათვისება არ გამჭირვებია.

**- ტექნიკურ მოთამაშეს ხისტ დანიურ ფეხბურთთან ადაპტაცია არ გაგჭირვებია?**

- თუ დამიჯერებთ, უფრო რთული საქართველოდან წასვლა და უცხოეთში დამკვიდრებაა. თავიდან არავის ვიცნობდი. ფოფხაძე დანიაში კი ცხოვრობს, მაგრამ გიორგი სხვა ქალაქში თამაშობს და მხოლოდ ტელეფონით ვუკავშირდებოდი. თუმცა, თავიდან ტელეფონიც არ ვიცოდი, სულ მარტო ვიყავი და ძალიან მიჭირდა. როგორია, ჩემს ქალაქში ფაქტობრივად, არავის ვიცნობდი და ურთიერთობაც არავისთან მქონდა. ეს ყველაზე რთული პერიოდი იყო და როდესაც ქვეყანასთან და გუნდთან ადაპტაცია შევძელი, მერე თამაშიც ბევრად გამიადვილდა. ფიზიკური მომზადების ხარჯზე, ხისტ ორთაბრძოლებშიც ბევრად უკეთ გამოვიყურებოდი.

**- ოქტომბრის ბოლოს „ორჰუსში" რატომ არ ჩნდებოდი?**

- კოჭი და სხვა წვრილმანი ტრავმები მაწუხებდა. თუმცა, მთლიანობაში, ეს სეზონი მაინც კარგად წარიმართა. მიხარია, რომ ტურის სიმბოლურ ნაკრებში პირველად მოვხვდი. განსაკუთრებით კმაყოფილი ბოლო ტურებით ვარ, შედეგიც გავაუმჯობესეთ და თამაშის ხარისხიც.

**- როგორც მახსოვს, ეროვნული ნაკრებშიც ტრავმის გამო ვერ ჩამოხვედი.**

- დიახ, ეს იყო მიზეზი, კოჭის ტრავმა მაწუხებდა. თანაც, ყველაზე გულდასაწყვეტი ისაა, რომ ტკივილები ნაკრების მატჩებამდე დამეწყო. საბედნიეროდ, ტრავმა სანაკრებო ფანჯარას დაემთხვა და ექიმებმა ორკვირიანი დასვენება მირჩიეს. ამის შემდეგ მოვმჯობინდი, ჩვეულებრივ ვვარჯიშობდი და ვითამაშე კიდეც.

**- როგორც შევიტყვეთ, ახალი კონტრაქტი გაგიფორმეს...**

- დიახ, ახალი 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**- ეს რამ განაპირობა, პირობები გაგიუმჯობესეს?**

- პირობებზე ლაპარაკი არც მინდა, მთავარია, რომ ამით კლუბმა ჩემ მიმართ ნდობა გამოხატა, მე კი - გუნდში დარჩენის სურვილი.

**- ანუ მთავარი მწვრთნელი გენდობა...**

- ჩვენი მთავარი მწვრთნელი ერიკ რასმუსენია, ახლო წარსულში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი, უთამაშია „ბრონდბიუსა" და დანიის ნაკრებშიც. ახალგაზრდა კაცია და მოთამაშეებთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა აქვს. მისი ხასიათიდან გამომდინარე, ურთიერთობა არ გამჭირვებია, შემიძლია გულახდილი ვესაუბრო. რასმუსენის ნდობა ჩემთვის მნიშვნელოვანია. ნდობის გარეშე, არც ერთი მწვრთნელი არ მათამაშებდა, რადგან ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, მათ შორის, ჩემს პოზიციაზეც.

**- დაინტერესება რომ იყოს, კლუბს შეიცვლიდი?**

- არა მგონია, რადგან „ორჰუსს" კარგად მოვერგე და მსურს, კიდევ უფრო გავიზარდო. დანიურ კლუბში საამისოდ ყველანაირი პირობებია. თუმცა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას ვგულისხმობ, არა მგონია, ახლა რაიმე მოხერხდეს. ისე, კარგი კლუბი თუ დაინტერესდება, უარს რატომ ვიტყვი. ფეხბურთელის მიზანი ყოველთვის უკეთეს დონეზე გამოსვლაა და გამონაკლის არც მე ვარ.

**- თუ იცი, შენი სატრანსფერო ფასი 500 ათას ევრომდე რომ გაიზარდა?**

- 500 ათასამდე? არა, პირველად მესმის და ძალიან გამიხარდა. საქართველოს შემდეგ, დანიაში წასვლა წინგადადგმული ნაბიჯია და თუკი იქაური თამაშების შემდეგ, ასე დამაფასეს, ეს ძალიან მაიმედებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქველმოქმედება

## მიუსაფარი ბავშვები დაასაჩუქრეს

მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში, წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებულ საქველმოქმედო ცენტრში მორიგი საქველმოქმედო აქცია იყო. იქ მყოფი მიუსაფარი ბავშვები თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გრიგოლ ცაავამ, ნიკოლოზ დოლიძემ და რევაზ მგელაძემ, ასევე მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ვიტალი გრძელიშვილმა და მსაჯთა კორპუსის რამდენიმე წარმომადგენელმა მოინახულა. სტუმრებმა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები, მათ შორის ბურთები, ნაძვის ხე, სათამაშოები და ნუგბარი გადასცეს. როგორც გავიგეთ, ზემოთ აღნიშნულ საქველმოქმედო ცენტრში მიუსაფარ ბავშვებს გიორგი ნემსაძე და ლევან ყიფიანიც ხშირად სტუმრობენ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროტურნირების წილისყრა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი

# ჟოზე ლონდონში დაიბარეს

## იტალიურ-ინგლისური ომები და ფავორიტი ესპანელები

გუშინ ევროპაში წილისყრის დღე იყო, ევროთასებს შემორჩენილმა 50-მა კლუბმა მომავალი მეტოქეების ვინაობა შეიტყო - ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალებისა და უეფას ლიგის მეთექვსმეტედფინალების კენჭისყრა გაიმართა... ყველაზე დიდი მითქმამოთქმა „ინტერისა“ და „ჩელსის“ დაჯახებამ გამოიწვია.

სიახლე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩების გამართვის თარიღებს შეეხო. მატჩებს შორის ახლა ორი კი არა, ოთხი კვირა იქნება პაუზა, თანაც რვა მერვედფინალი, ორად გაიყოფა - ნახევარი გუნდებისა პირველ მატჩებს 16/17 თებერვალს და საპასუხოს 9/10 მარტს გამართავს, ნახევარი კი 23/24 თებერვალს და 16/17 მარტს ითამაშებს. 19 მარტს უეფას ბოსები კვლავ ნიონში შეიკრიბებიან და ჩემპიონთა ლიგის დანარჩენი რაუნდების კენჭისყრას გამართავენ.

მაშ ასე, ჩემპიონთა ლიგაში წყვილები ასე დალაგდა

მილანი (იტალია)-მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ლიონი (საფრანგეთი)-რეალი (ესპანეთი)
*16 თებერვალს და 10 მარტს*

ბაიერნი (გერმანია)-ფიორენტინა (იტალია)
პორტუ (პორტუგალია)-არსენალი (ინგლისი)
*17 თებერვალს და 9 მარტს გაიმართება*

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ბორდო (საფრანგეთი)
შტუტგარტი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი)
*23 თებერვალს და 17 მარტს გაიმართება*

ინტერი (იტალია)-ჩელსი (ინგლისი)
ცსკა (რუსეთი)-სევილია (ესპანეთი)
*24 თებერვალს და 16 მარტს გაიმართება*

როგორც ხედავთ, მერვედფინალებს გულშემატკივრებს პორცია-პორცია მოგვაწოდებენ, რომ უფრო კარგად დავტკბეთ ამ სანახაობით. ვნახოთ, რამდენად გაამართლებს **პლატინის** კანტორის მორიგი სიახლე, რომელიც, რა თქმა უნდა, სატელევიზიო კონტრაქტებზეა გათვლილი.

ნიონის კენჭისყრამ გაარკვია, რომ პორტუგალიელ **ჟოზე მოურინიოს** კიდევ ერთხელ მოუწევს „სტემფორდ ბრიჯზე“ დაბრუნება. **რომან აბრამოვიჩისგან** გაგდებულმა პორტუგალიელმა მწვრთნელმა მას შემდეგ მილანის „ინტერი“ ჩაიბარა. ბედის ირონიით, „ჩელსიში“ მუშაობა მილანელმა, თუმცა „ინტერის“ მტერ „მილანის“ ბანაკიდან, **კარლო ანჩელოტიმ** დაიწყო. რვა წყვილიდან, სწორედ „ინტერისა“ და „ჩელსის“ დაპირისპირება მიიჩნევა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის მთავარ ჯახად. ვინ მოიგებს ორი მატჩის ჯამში? აი, აქ კი სპეციალისტთა, ფეხბურთელთა და ჟურნალისტთა ხმები გაიყო. ზოგი ამბობს, რომ ჟოზე მოურინიო ზედმიწევნით კარგად იცნობს „ჩელსის“ სამზარეულოს და ამის წყალობით მილანურ კლუბს ორრაუნდიან ბრძოლაში მოაგებინებს კიდეც. ამ აზრის მოწინააღმდეგეთა ბანაკი ზუსტად ასეთივე არგუმენტით იწონებს თავს - თანამედროვე „ინტერს“ რომელი მწვრთნელი იცნობს ყველაზე კარგად? რა თქმა უნდა კარლო ანჩელოტი! ასე რომ, წინ ძალიან საინტერესო ბრძოლა გველის. კენჭისყრის შემდეგ „ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორი **რონ გურლეი** აღფრთოვანებული იყო შედეგით, ყოველ შემთხვევაში პირზე მხოლოდ ერთი სიტყვა, „ფანტასტიკური“, ეკერა - *„ეს ფანტასტიკურია, დილით ზუსტად ამ ვარიანტზე ვლაპარაკობდით, როცა ნიონში მოვფრინავდით. და აი, ზუსტად ასე მოხდა, „ინტერს“ ვეთამაშებით. მართლაც ფანტასტიკურად წარიმართა კენჭისყრა, ფანები ორივე გუნდში გახარებულები იქნებიან, ისევე როგორც ფეხბურთის ნეიტრალური გულშემატკივრები. „ინტერისა“ და „ჩელსის“ ორივე მატჩი ხომ ძალზე კარგი სანახავი იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ ჟოზე მოურინიო „ჩელსის“ ფანებისგან ფანტასტიკურ აპლოდისმენტებს დაიმსახურებს“.*


ჩვენ გველის ჟოზე მოურინიოსა და კარლო ანჩელოტის დუელი

აი, რა თქვა „ინტერის“ ლეგენდა **სანდრო მაცოლამ** - *„ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავა, თუკი გზის პირველი ეტაპიდან „ჩელსის“ ჩამოიცილებს. ჩემი აზრით, ორივე გუნდს თანაბარი შანსი აქვს, რადგან ორივე დიდი გუნდია. ძნელია, ამ წყვილიდან გამარჯვებული გამოიცნო, ის შეიძლება დიდიე დროგბას ერთი უეცარი ჯადოსნობის წყალობით „ჩელსი“ გახდეს, ან სამუელ ეტოოს ანალოგიური საქციელის წყალობით - „ინტერი“. ამ წყვილის გამარჯვებული ლიგის ფინალში გავა. ვფიქრობ, მოურინიოსთვის „ჩელსისთან“ დაპირისპირება ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის“.*

მართლაც, ვინც პორტუგალიელი სპეციალისტის ხასიათი იცის, მიხვდება, რომ ჟოზე იოლად არასოდეს თმობს, ლონდონში კი მას ჯერ კიდევ ანგარიშები აქვს გასასწორებელი. შესაძლოა, მოურინიოს ყველაზე მეტად სწორედ „ჩელსისთან“ დაპირისპირება ენადა კიდეც.

მერვედფინალი ინგლისურ-იტალიურ დაპირისპირებად იქცა - „ინტერი“-“ჩელსის“ გარდა, ჩვენ თებერვალ-მარტში „მილანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაპირისპირებაც გველის. **დევიდ ბექჰემი** დიდი ხნის განშორების შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“, „მილანის“ წითელ-შავი ზოლიანი მაისურით... როგორია? ,

ბექჰემი იმ დროისათვის იჯარის წესით „მილანში“ ითამაშებს. **სტივ მაკლარენს**, რომელიც ამჟამად „ტვენტეს“ წვრთნის, მიაჩნია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძალუძს მილანური ბარიერის გადალახვა, ისევე როგორც მას მიაჩნია, რომ „ჩელსი“ უკეთესი გუნდია. ვიდრე „ინტერი“: *„ვფიქრობ, ორივე ინგლისურ გუნდს უკეთესი შანსები აქვს, „მანჩესტერს“ და „ჩელსის“ მეტოქეთათვის ძნელად დასაჯაბნი შემადგენლობების გამოყვანა შეუძლიათ. არც მილანური გუნდები არიან უროგოდ მომზადებულნი, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, ისინი შეეცდებიან ინგლისელთა დაცვისა და შუახაზის ერთმანეთისგან მოწყვეტას, აი, სწორედ ამას უნდა ერიდნენ „ჩელსი“ და „იუნაიტედი“. ფავორიტები მაინც ჩვენი გუნდები არიან და თუ სულელურ შეცდომებს არ დაუშვებენ, შემდეგ ეტაპზეც ისინი გავლენ“.*

არც სხვა წყვილებს ეთქმის უინტერესო - კენჭისყრამ ერთმანეთს „პორტუ“ და „არსენალი“ დაუპირისპირა. **არსენ ვენგერი** წილისყრის შედეგმა ჩააფიქრა: *„შანსები 50/50-ზეა. „პორტუ“ ყოველთვის ახერხებს მაღალ დონეზე თამაშს და ყოველთვის ნებისმიერი მეტოქისთვის უხერხული ოპონენტია. მცირე უპირატესობა გვაქვს - საპასუხო მატჩს შინ ვთამაშობთ, მაგრამ ეს პირველი თამაშის მნიშვნელობას ზრდის, ამ მცირე უპირატესობით, რომ ვისარგებლოთ, პორტუგალიაში გოლი უნდა გავიტანოთ. ძალიან ძნელი მეტოქე შეგვხვდა“.*

„ბარსელონას“ „შტუტგარტთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. გერმანული კლუბის ბელარუსმა ნახევარმცველმა **ალექსანდრ ჰლებმა** დაიჩივლა, ლიგაში და საერთოდ მსოფლიოში საუკეთესო კლუბი შეგვხვდაო. „ბარსას“ ტექნიკურმა მდივანმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** შემდეგი განაცხადა: *„ვფიქრობ, კენიჭისყრაში გაგვიმართლა. „შტუტგარტი“ ის მეტოქეა, რომელსაც უნდა ვუფრთხილდეთ, მაგრამ მეორე მატჩი შინ გვაქვს და ამხელა უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ და მეოთხედფინალში გავიდეთ. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მტერი მეტოქის შეუფასებლობაა“.* „შტუტგარტის“ კაპიტანი **მატიო დელპიერი** ბრძოლას აპირებს: *„ბარსელონა“ დიდი გუნდია, მაგრამ ჩვენ შეუძლებელი უნდა შევძლოთ“.*

მადრიდის „რეალს“ მეტოქედ ფრანგული „ლიონი“ ერგო, სპეციალისტები „სამეფო კლუბს“ წყვილში ფავორიტად მიიჩნევენ. მაგალითად, „ლივერპულის“ თავკაც **რაფა ბენიტესს** მიაჩნია, რომ მარტში „რეალი“ უკვე დაუმარცხებელი გუნდი იქნება და „ლიონის“ დაძლევაც არ გაუჭირდება.

*„ამ ეტაპზე მეტოქის ვინაობას უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს - აქ ყველა ძლიერია. ჩვენი მისიაა თამაშს სათანადოდ მივუდგეთ, ვიბრძოლოთ 180 წუთი და გავიდეთ შემდეგ ეტაპზე“,* - აცხადებს **მანუელ პელეგრინი**.

ინტერნეტსაიტმა „გოლ კომმა“ უკვე დაიწყო გამოკითხვა, თუ რომელი კლუბი მოიგებს ჩემპიონთა ლიგას. საბოლოო შედეგები სამ დღეში გამოქვეყნდება. დღეისათვის მადრიდის „რეალი“ ლიდერობს, ფანთა 21,9 პროცენტი მიიჩნევს, რომ ლიგას სწორედ „სამეფო კლუბი“ მოიგებს. მეორე ადგილზე „ბარსელონაა“ 18,7%-ით, მესამე ადგილზე კი „მილანია“ - 14,6%. შემდეგ მოდიან: ინტერი - 10,9%, ჩელსი“ - 9,3%, „მანჩესტერი“ - 8,9% და „არსენალი“ - 8,5%.




ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი

ევერტონი (ინგლისი)-სპორტინგი (პორტუგალია)
*16 და 25 თებერვალს*

ჰერტა (გერმანია)-ბენფიკა (პორტუგალია)
ატლეტიკო (ესპანეთი)-გალათასარაი (თურქეთი)
*18 და 23 თებერვალს*

აიაქსი (ჰოლანდია)-იუვენტუსი (იტალია)
ბრიუგე (ბელგია)-ვალენსია (ესპანეთი)
რუბინი (რუსეთი)-ჰაპოელი (ისრაელი)
ვილიარეალი (ესპანეთი)-ვოლფსბურგი (გერმანია)
სტანდარდი (ბელგია)-ზალცბურგი (ავსტრია)
ტვენტე (ჰოლანდია)-ვერდერი (გერმანია)
ლილი (საფრანგეთი)-ფენერბაჰჩე (თურქეთი)
ბილბაო (ესპანეთი)-ანდერლეხტი (ბელგია)
კოპენჰაგენი (დანია)-მარსელი (საფრანგეთი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-რომა (იტალია)
ფულჰემი (ინგლისი)-შახტარი (უკრაინა)
ლივერპული (ინგლისი)-უნირეა (რუმინეთი)
ჰამბურგი (გერმანია)-ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
*18 და 25 თებერვალს*

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ინგლისი.** პრემიერლიგა. XVIII ტური



ჯანფრანკო ძოლა



კარლო ანჩელოტი

# იტალიელთა უცნაური თავგადასავალი ლონდონში

**ჯანფრანკო ძოლა** ფეხბურთელობის დროს „ჩელსიში" თამაშობდა და „სტემფორდ ბრიჯის" ფანების საყვარელი ფეხბურთელიც გახლდათ. მას მერე გავიდა დრო და ცხოვრებამ ჩია იტალიელი ლონდონის სხვა გუნდში, „ვესტ ჰემ იუნაიტედში" მიიყვანა, ოღონდ უკვე მწვრთნელად. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოვყევით, რომ გვეთქვა: ხვალ, პრემიერლიგის მეთვრამეტე ტურის შეხვედრაში, „აპტონ პარკზე" „ვესტ ჰემი" „ჩელსის" მასპინძლობს...

მოგეხსენებათ, „ვესტ ჰემი" გასაჭირშია, უიღბლობა უიღბლობას მოსდევს, ცუდი შედეგი - ცუდ შედეგს, ასე რომ, ძოლას „ჩელსის" დამარცხება მეტისმეტად სჭირდება. საქმე ხომ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაზეა (ჩვიდმეტ შეხვედრაში სამად სამი გამარჯვება), და ისიც, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასრულებამდე ჯერ ნახევარი სეზონია, უკვე სათუოა. და როგორ არის იტალიელი ფორვარდის ყოფილი ოდინდელი გუნდის საქმე? ის, ცხრილის მეორე ბოლოში, უფრო ზუსტად კი სათავეშია - პრემიერლიგას ლიდერობს და რასაკვირველია, გამარჯვება მასაც ჰაერივით სჭირდება. სხვა გზა არ არის, „ჩელსის" კუდში „მანჩესტერ იუნაიტედი" მისდევს.

„ვესტ ჰემმა" ოთხშაბათს, „ბოლტონთან" 3:1 წააგო. ამას ისიც ემატება, რაც კალენდარში ცალი თვალით ჩახედვითაც ნათლად ჩანს: „ჩელსის" შემდეგ „ჩაქუჩები" უშუალო კონკურენტს, „პორტსმუთს" მასპინძლობს, შემდეგ კი „უაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემს" უნდა დაუპირისპირდეს, „ტოტენჰემი" კი ოთხეულისთვის იბრძვის.

„ვესტ ჰემისა" და „ჩელსის" დაპირისპირებას საინტერესო იტალიური ინტრიგაც აქვს: ძოლა კარლო ანჩელოტის წინააღმდეგ. აქ სეირი მარტო ის კი არ არის, რომ ლონდონის ორ გუნდს იტალიელი მწვრთნელები გაიყვანენ მოედანზე, არამედ ძოლასა და ანჩელოტის პირადი ურთიერთობაც. გახსოვთ, რატომ წამოვიდა ჯანფრანკო ძოლა „პარმადან" 1996 წელს? იმიტომ, რომ პარმელთა მაშინდელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გუნდში ამ შემტევის ადგილი ვერ დაინახა...

ზემოთ „ვესტ ჰემის" ბოლო თამაში ვახსენეთ და ახლა „ლურჯების" ბოლო თამაშიც გავიხსენოთ: ოთხშაბათს ლიდერმა აუტსაიდერი „პორტსმუთი" დაამარცხა 2:1. საკმაოდ რთულად ერგო ეს გამარჯვება ანჩელოტის გუნდს. შეხვედრის ბედი ბოლოჟამს დანიშნულმა პენალტმალა გადაწყვიტა და დასავლეთლონდონელებმა მხოლოდ ასე შეინარჩუნეს „იუნაიტედთან" სამქულიანი უპირატესობა.

რასაკვირველია, „ჩელსისთან" შეხვედრის წინ ჯანფრანკო ძოლა დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცა, თუმცა მისმა ასისტენტმა **სტივ კლარკმა** შეფის მდგომარეობიდან გამოყვანა სცადა. სანამ გეტყოდეთ, კერძოდ რა თქვა კლარკმა, შეგახსენებთ, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც რამდენიმე წლის წინ თავადაც „ჩელსიში" მუშაობდა - **ჟოზე მოურინიუს** ასისტენტი იყო. კლარკმა უცნაური რამ განაცხადა - „ვესტ ჰემის" დღევანდელი მდგომარეობა იმდენად ძოლას ბრალი არ არის, რამდენადაც ჩემიო.

*„ჯანფრანკოსა და კლარკს ძალიან დიდ პატივს ვცემ და სულაც არ მინდა ისინი ცუდ დღეში ვნახო - ეს სიტყვები უკვე „ჩელსის" ვარსკვლავს, **ფრენკ ლემპარდს** ეკუთვნის - ორივენი დიდებული ბიჭები არიან, მაგრამ მათ გუნდს დღეს უჭირს, რადგან პრემიერლიგა მეტისმეტად ძნელი ლიგა გახლავთ".*

სხვათა შორის, ფრენკ ლემპარდი, რომელმაც „პორტსმუთთან" ზემოხსენებულ შეხვედრაში გადამწვეტი პენალტი დაარტყა, „ჩელსიში" 2001 წელს სწორედ „ვესტ ჰემიდან" გადავიდა.

ძოლას, რომელმაც „ვესტ ჰემში" შარშან **ალან კერბიშლი** შეცვალა, ჯანმრთელობამაც არ შეუწყო ხელი. თუნდაც ისეთი წამყვანი მოთამაშის დაშავება რად ღირს, როგორიც არის **კარლტონ კოული**. უარყოფით როლს თამაშობს ლონდონელთა კლუბში შექმნილი ფინანსური კრიზისიც.

და მაინც, კლარკი „ჩელსისთან" შეხვედრის წინ ხელებს იფშვნეტს: *„ჩვენ დიდი თამაში გველის. რასაკვირველია, „ჩელსისთან" ჩვენს გამარჯვებას არავინ ელის, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება, ასე რომ, ვინ იცის".*

ზემოთ რამდენჯერმე აუტსაიდერი „პორტსმუთი" ვახსენეთ. დღეს მას „ლივერპული" ეწვევა, რომლის თავკაც **რაფა ბენიტესს** დიდი იმედი აქვს, რომ **ფერნანდო ტორესის** ჯანმრთელობა მისი მოედანზე გაყვანის საშუალებას მისცემს. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს, „უიგანთან" შეხვედრაში, ბენიტესმა ტორესი სასტარტო შემადგენლობას მაინც მოარიდა და, შესაბამისად, გუნდის ტაქტიკური განლაგებაც გადააწყო. კერძოდ, იმ დღეს მაყურებლის წინაშე მერსისაიდელები კლასიკური 4-4-2 განლაგებით წარდგნენ. ამ ვარიანტში **სტივენ ჯერარდმა** შუა ნახევარმცველის ადგილას დაიწია, **დირკ კუიტი** კი თავდასხმაში **დავიდ ნგოგს** შეუწყვილდა.

*„ასეთი სისტემით ჩვენ ბევრი გოლი გაგვიტანია, ასე რომ, თუ კიდევ 4-4-2-ით მოგვიწევს თამაში, მშვიდად ვიქნები, რადგან ბიჭებმა ზუსტად იციან, რა და როგორ აკეთონ. რასაკვირველია, ხანდახან ტაქტიკა უნდა შეცვალო, მაგრამ, ვფიქრობ, ამჯერად ამის აუცილებლობა შესაძლოა არც გვქონდეს".*

საინტერესოა, „მანჩესტერ იუნაიტედის" სტუმრობა, ლონდონში „ფულჰემთან", სადაც გასულ სეზონში სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა, არც მეტი, არც ნაკლები, 2:0 წააგო. წლეულს ინგლისის ჩემპიონმა შარშანდელი ალ-არ უნდა გაიმეოროს, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ჩელსის" სამი ქულით ჩამორჩება.

თან, „ფულჰემი", მოგეხსენებათ, იშტაზეა - ოთხშაბათს ევროლიგის პლეი-ოფის სტადიაზე გავიდა და ზოგადადაც, შინ ძალიან კარგად თამაშობს. ერთი სიტყვით, როგორც ინგლისელი მიმომხილველები წერენ, „იუნაიტედს" გაცილებით მძიმე ბრძოლა ელის, ვიდრე ამ კვირის შუაში, „ვულვერჰემპტონის" რეზერვისტებთან გადახდა.

მესამე ადგილზე მყოფი „არსენალი" კი, რომელიც ლიდერს რვა ქულით ჩამორჩება და თან, ერთი თამაში თადარიგშიც აქვს, „ჰალს" მასპინძლობს - ვითომ რამე სენსაციურს უნდა ველოდეთ? ალბათ, საუცხოო ფორმაში მყოფი „ასტონ ვილაც" დაამარცხებს „სტოკს" - ყოველ შემთხვევაში არ ჩანს არანაირი საბაბი იმისათვის, რომ „სტოკმა" დაამარცხოს „ასტონ ვილა", თუმცა ჩვენ ტოტალიზატორის მოთამაშეებისათვის რეკომენდაციებს, ცხადია, არ ვიძლევით.

მეხუთეზე მყოფი „ტოტენჰემი" „ბლექბერნს" მასპინძლობს. „სფურზიც" ჩინებულ ფორმაშია...

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 17 | 13 | 1 | 3 | 42-14 | 40 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 17 | 12 | 1 | 4 | 37-14 | 37 |
| 3. არსენალი | 16 | 10 | 2 | 4 | 41-20 | 32 |
| 4. ასტონ ვილა | 17 | 9 | 5 | 3 | 28-14 | 32 |
| 5. ტოტენჰემი | 17 | 9 | 3 | 5 | 38-22 | 30 |
| 6. ლივერპული | 17 | 8 | 3 | 6 | 34-23 | 27 |
| 7. ბირმინგემი | 17 | 8 | 3 | 6 | 18-17 | 27 |
| 8. მანჩესტ. სიტი | 16 | 6 | 8 | 2 | 29-24 | 26 |
| 9. ფულჰემი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-17 | 23 |
| 10. სანდერლენდი | 17 | 6 | 3 | 8 | 22-24 | 21 |
| 11. სტოკი | 16 | 5 | 6 | 5 | 15-19 | 21 |
| 12. ბლექბერნი | 17 | 5 | 4 | 8 | 17-30 | 19 |
| 13. ბარნლი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-35 | 19 |
| 14. უიგანი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-38 | 18 |
| 15. ევერტონი | 16 | 4 | 5 | 7 | 22-30 | 17 |
| 16. ჰალი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-34 | 17 |
| 17. ბოლტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 23-33 | 16 |
| 18. ვულვზი | 17 | 4 | 4 | 9 | 15-31 | 16 |
| 19. ვესტ ჰემი | 17 | 3 | 5 | 9 | 25-34 | 14 |
| 20. პორტსმუთი | 17 | 3 | 2 | 12 | 15-26 | 11 |

**იტალია.** სერია A. XVI ტური

# სასწორზეა საახალწლო განწყობა

## მოურინიო ლაციოსთან ახალ სქემას გამოცდის

| დღეს | |
|---|---|
| ბოლონია-ატალანტა | 21:00 |
| ფიორენტინა-მილანი | 23:45 |
| **ხვალ** | |
| რომა-პარმა | 18:00 |
| ჯენოა-ბარი | 18:00 |
| იუვენტუსი-კატანია | 18:00 |
| ლივორნო-სამპდორია | 18:00 |
| ნაპოლი-კიევო | 18:00 |
| პალერმო-სიენა | 18:00 |
| უდინეზე-კალიარი | 18:00 |
| ინტერი-ლაციო | 23:45 |

სერია A 2009 წელს მეჩვიდმეტე ტურის შეხვედრებით დაემშვიდობება. ორი მატჩი დღეს შედგება, რომელთაგან გამორჩეული „ფიორენტინა"-"მილანის" დაპირისპირება გახლავთ. ამ დღეებში ეს ორი გუნდი პრესის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ გუშინ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა და გაირკვა, თუ რომელ გუნდებთან მოუწევთ დაპირისპირება „როსონერის" და „ვიოლას". მილანელები ძველ მეტოქეს, „მანჩესტერ იუნაიტედს" შეერკინებიან, ფლორენციელებს კი მიუნხენის „ბაიერნთან" მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. თუმცა იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და სანამ ლიგის პლეი ოფები დაიწყებოდეს, ერთმანეთში მოუწევთ მეტად პრინციპული მატჩის გამართვა.

დავიწყოთ იმით, რაც ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო უნდა იყოს. თუ იტალიელ ჟურნალისტებს ვენდობით, **ლეონარდო** აღარ აპირებს ძველი შეცდომის გამეორებას და დაცვის ცენტრში **ალესანდრო ნესტასთან** ერთად **კახა კალაძეს** გაამწესებს. ალბათ გახსოვთ, წინა ტურში ბრაზილიელმა სპეციალისტმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ქართველ მცველს 37 წლის **ჯუზეპე ფავალი** ამჯობინა. შედეგი კი ის მიიღო, რომ რომ მისი გუნდი დამარცხდა, ფავალი კი, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებლად გაისარჯა. ასე რომ, ყველა ლოგიკით, ამჯერად მაინც კალაძე სასტარტო შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. აქვე ავღნიშნოთ, რომ ქართველი მცველი ბოლო პერიოდში პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული - ის ხან „ფიორენტინაში" გადაჰყავთ, ხან პეტერბურგის „ზენიტში", ხანაც მოსკოვის ცსკა-ში. თუმცა კახამ იტალიელ ჟურნალისტებთან საუბარში მკაფიოდ განაცხადა, რომ „მილანიდან" წასვლას უახლოეს მომავალში არ აპირებს.

ტრავმირებულია **მასიმო ოდო** და მარჯვენა მცველის ფუნქციები წესით **ლუკა ანტონინიმ** უნდა შეასრულოს. მარცხენა ფლანგზე ტრადიციულად **ჯანლუკა ძამბროტა** გაირჯება. მოედნის ცენტრს სამი ფეხბურთელი გაამაგრებს: **ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი** და **კლარენს ზეედორფი**. ალსანიშნავია, რომ განაცხადში ბრუნდება **ჯენარო გატუზო**. რინო ტრავმირებული გახლდათ და კარგა ხანია, რაც მწვანე მინდორზე ფეხი არ დაუდგამს. ვნახოთ, მიეცემა თუ არა თამაშში ჩართვის საშუალება. ფლანგებიდან **რონალდინიო** და **ალეშანდრე პატო** შეუტევენ, ცენტრფორვარდად კი **მარკო ბორიელო** გამწესდება. კვლავ სათადარიგოთა შორის იქნებიან **ფილიპო ინძაგი** და **კლაას-იან ჰუნტელაარი**. არადა, ამბობენ, უკმაყოფილონი არიან სათამაშო დროის უქონლობით და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მწვრთნელთან სერიოზული უთანხმოება მოუვიდეთო. ვნახოთ, ამას დრო გვიჩვენებს.

სამი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა **ჩეზარე პრანდელის**. ტრავმირებულნი არიან: **ალესანდრო გამბერინი, კრისტიანო ძანეტი** და **მარკო მარკიონი**. სამივე მათგანი სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება და გამომდინარე აქედან, დანაკლისი მართლაც სერიოზულია. გამბერინის ადგილს დაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, **კროლდრუპი** დაიკავებს და **დაინელის** შეუწყვილდება, ფლანგებზე კი **პასკუალი** და **დე სილვესტრი** გაირჯებიან. ნახევარდაცვაში ხუთი ფეხბურთელი ითამაშებს: **მონტოლივო, დონადელი, იორგენსენი, სანტანა, ვარგასი**. ეს უკანასკნელი წინ იქნება წაწეული და გამოკვეთილ ფორვარდს მიეხმარება. თუ ვინ იქნება ეს გამოკვეთილი ფორვარდი, იოლი მისახვედრი უნდა იყოს - რა თქმა უნდა, **ალბერტო ჯილარდინო**.

პრანდელი მოახლოებული პაექრობის წინ ოპტიმიზმს ინარჩუნებს: *„ნამდვილად შეგვწევს იმის ძალა, რომ „მილანს" გავუმკლავდეთ. მეტოქე დაბალანსებულ ფეხბურთს ითამაშებს და შეეცდება თავის შანსს დაელოდოს. არც ჩვენ შევუტევთ უკანმოუხედავად, რადგან ეს შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. აქედან გამომდინარე, გახსნილ და მომენტებით დახუნძლულ თამაშს პირადად მე არ ველოდები. ერთმანეთის წინაშე ორი ძლიერი გუნდი წარდგება და დიდია შანსი, მატჩის ბედი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტოს. მჯერა, რომ შეხვედრა საჩვენო შედეგით დასრულდება".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა:** ფრეი - დე სილვესტრი, კროლდრუპი, დაინელი, პასკუალი - მონტოლივო, დონადელი, იორგენსენი, სანტანა, ვარგასი - ჯილარდინო.

**მილანი:** დიდა - ძამბროტა, ნესტა, კალაძე, ანტონინი - პირლო, ამბროზინი, ზეედორფი - რონალდინიო, პატო - ბორიელო.

შავ დღეში მყოფი „იუვენტუსი" საკუთარ მოედანზე „კატანიას" უმასპინძლებს. ტურინული კლუბის მესვეურებმა მკაფიოდ განაცხადეს - **ჩირო ფერარა** სეზონის ბოლომდე ხელშეუხებელიაო. ამიტომაც, ვერ დავიჩემებთ, თუ „იუვემ" ეს მატჩი ვერ მოიგო, ჩიროს პოსტის დატოვება მოუწევსო. ალბათ არ მოუწევს, მაგრამ ახალ წელს რომ უგუნებოდ შეხვდება, ამას წყალი არ გაუვა. ერთი სიტყვით, სასწორზე საახალწლო განწყობა დევს და ფერარა ყველაფერს ილონებს, რომ დღესასწაულების წინ სამი ქულა მოიპოვოს. ამას სატურნირო თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ინტერის" კიდევ უფრო წინ გაშვება, „იუვეს" სასკუდეტო ამბიციებისთვის შესაძლოა მომაკვდინებელიც გამოდგეს.

» მე-9 გვერდზე



ახალი სქემით, ლაციოსთან ერთადერთი ფორვარდი დიეგო მილიტო იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A XVI ტური

« მე-8 გვერდიდან

ჩირო **ჯიჯი ბუფონს** და **მაურო კამორანეზის** მოისაკლისებს. ორივეს ამბავი კარგად მოგეხსენებათ: კიპერმა ოპერაცია გაიკეთა და დაახლოებით ხუთი კვირით ჩამოშორდა ფეხბურთს, ნახევარმცველი კი მძიმედ დაშავდა და როდის დაბრუნდება, ჩვენ კი არა, თვით „იუვენტუსის" ექიმებმაც ვერაფრით დაადგინეს. სამაგიეროდ, დაბრუნდა **ჰასან სალიჰამიჯიჩი** და თუ „გაძეტას" ვენდობით, ნახევარდაცვაში სწორედ კამორანეზის ადგილს დაიკავებს.

„ბიანკონერი" ტრადიციულად 4-4-2-ით იასპარეზებს. დაცვაში **კასერესი, ლეგროტალიე, კანავარო** და **გროსო** უნდა ვიხილოთ. ნახევარდაცვაში ზემოთაღნიშნულ ჰასან სალიჰამიჯიჩს შემდეგი ფეხბურთელები დაუმშვენებენ გვერდს: **ფელიპე მელო, კლაუდიო მარკიზიო** და **დიეგო რიბასი**. რაც შეეხება თავდასხმას, „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, **ალესანდრო დელ პიეროს დავიდ ტრეზეგე** შეუწყვილდება, **კარვალიო ამაურის** კი ამჯერად სათადარიგოებს შორის მოუწევს ყურყუტი. ფერარა ირწმუნება, განვლილი წარუმატებლობები დავიწყებას მიეცა და ამას „კატანიასთან" პაექრობისას დავამტკიცებთო. ვნახოთ...

### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** მანინგერი - კასერესი, ლეგროტალიე, კანავარო, გროსო - სალიჰამიჯიჩი, მარკიზიო, ფელიპე მელო, დიეგო - დელ პიერო, ტრეზეგე.

**კატანია:** ანდუხარი - ალვარესი, ტერლიცი, სილვესტრი, კაპუანო - კარბონი, ბიაჯანტი, მარტინესი, რიკიუტი - ლიამა, მორიმოტო.

საინტერესო მატჩი გაიმართება „ჯუზეპე მეაცაზე", სადაც „ინტერი" „ლაციოს" უმასპინძლებს. **ჟოზე მოურინიო** მთელი კვირაა პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდის - პორტუგალიელმა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ფორვარდის შეძენის სურვილი გამოთქვა, თუმცა **მასიმო მორატისგან** უარი მიიღო. შემდეგ თითქოს თავი იმართლა, ეს ჩემი მოთხოვნა კი არა, უბრალოდ სურვილი იყოო. თავად მორატიმ კი ერთობ მკვახედ ისაუბრა მწვრთნელის შესახებ და მიანიშნა მას, რომ ტროფეები არსებული კონტინგენტით უნდა მოიგოს.

არსებული კონტინგენტი სოლიდურად გამოიყურება, თუმცა ტრავმირებულ ფეხბურთელებს ვერც ამ შემთხვევაში ავცდებით. პორტუგალიელი სპეციალისტი ხუთ ფეხბურთელს მოისაკლისებს - ტრავმირებულნი არიან: **დავიდე სანტონი, რიკარდო კვარეშმა, ვიქტორ ობინა** და **ვალტერ სამუელი**, **უესლი სნეიდერს** კი დისკვალიფიკაცია აქვს.

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ჟოზე მოურინიო წლის უკანასკნელ შეხვედრაში ახალ ტაქტიკურ მონახაზს გამოიყენებს: 4-2-3-1-ს. დაცვაში ნაცადი ოთხეული გაირჯება: **მაიკონი, კორდობა, ლუსიო, კივუ**. რაც შეეხება ნახევარდაცვას, აქ სიახლეებია - ჟოზე საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ორ ფეხბურთელს გაამწესებს: **ხავიერ ძანეტის** და **ესტებან კამბიასოს**. მათ წინ კი ერთბაშად სამი ფეხბურთელი განლაგდება: **მარიო ბალოტელი, დეიან სტანკოვიჩი** და **სამუელ ეტოო**. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი კი **დიეგო მილიტო** იქნება.

მართლაც საინტერესოა, როგორ ითამაშებს „ინტერი" ახალ ტაქტიკური მოდელით. სამუელ ეტოოს და მარიო ბალოტელის ფაქტობრივად ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება მოუწევთ, რაც მათთვის ნამდვილად უცხო ხილია. თუმცა, ისინი რომ შეტევაზე იქნებიან ორიენტირებულნი, ესეც ცხადია. დანარჩენს უკვე თავად შეხვედრა გვიჩვენებს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, კორდობა, ლუსოო, კივუ - კამბიასო, ძანეტი, ბალოტელი, ეტოო, სტანკოვიჩი - მილიტო.

**ლაციო:** მუსლერა - სივილია, სტენდარდო, რადუ, ლიხტშტაინერი - ფირმანი, ბარონიო, კოლაროვი, მაური - კრუზი, როკი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 35-14 | 36 |
| 2. მილანი | 16 | 9 | 4 | 3 | 23-17 | 31 |
| 3. იუვენტუსი | 16 | 9 | 3 | 4 | 29-19 | 30 |
| 4. პარმა | 16 | 8 | 4 | 4 | 22-20 | 28 |
| 5. რომა | 16 | 7 | 4 | 5 | 25-22 | 25 |
| 6. სამპდორია | 16 | 7 | 4 | 5 | 20-22 | 25 |
| 7. ბარი | 16 | 6 | 6 | 4 | 19-15 | 24 |
| 8. კიევო | 16 | 7 | 3 | 6 | 20-17 | 24 |
| 9. ფიორენტინა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-15 | 24 |
| 10. ჯენოა | 16 | 7 | 3 | 6 | 28-27 | 24 |
| 11. ნაპოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-24 | 24 |
| 12. კალიარი | 16 | 7 | 2 | 7 | 25-21 | 23 |
| 13. პალერმო | 16 | 6 | 5 | 5 | 21-20 | 23 |
| 14. უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 19-21 | 18 |
| 15. ლაციო | 16 | 3 | 7 | 6 | 10-15 | 16 |
| 16. ბოლონია | 16 | 4 | 4 | 8 | 17-24 | 16 |
| 17. ლივორნო | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| 18. ატალანტა | 16 | 3 | 4 | 9 | 15-25 | 13 |
| 19. სიენა | 16 | 3 | 3 | 10 | 17-27 | 12 |
| 20. კატანია | 16 | 1 | 6 | 9 | 14-25 | 9 |

**ლაშა წიკლაური**






## ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტურის წინ

# რა არის გაის საიდუმლო?



პეპემ თქვა, კარგად ვარო

| დღეს | |
|---|---|
| ბილბაო-ოსასუნა | 21:00 |
| სევილია-ხეტაფე | 23:00 |
| რეალი-სარაგოსა | 01:00 |
| **ხვალ** | |
| ესპანიოლი-ალმერია | 20:00 |
| მალაგა-მალიორკა | 20:00 |
| ვალიადოლიდი-სპორტინგი | 20:00 |
| ვილიარეალი-რასინგი | 20:00 |
| ტენერიფე-ატლეტიკო | 22:00 |
| დეპორტივო-ვალენსია | 00:00 |

ხვალ „რიასორზე" გალისიური „დეპორტივოსა" და „ვალენსიას" შეხვედრით დასრულდება წლევანდელი პრიმერა. თუმცა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატის საშობაო შესვენება დიდ ხანს არ გასტანს, თამაშები 2 იანვრიდან განახლდება. მე-15 ტური ნაკლულია - ერთი თამაში უკვე ჩატარდა, „ბარსელონამ" დიდი ხანია მოიგო თავისი მატჩი საახალწლო პირველობა გაინაღდა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც გადაერთო, ასე რომ, „სამეფო კლუბს", ყველაზე მეტი, ჩამორჩენის ორ ქულამდე შემცირება შეუძლია, წლეულს მეტის მიღწევა შეუძლებელია.

„რეალი" „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდი ხნით გამოკლებული **პეპეს** გარეშე დაუხვდება „სარაგოსას", რომელსაც საქმეები ისე მისდის, რომ ისევ ქვედა ლიგაში დაბრუნების მთავარ კანდიდატთა შორისაა. სხვათა შორის, პეპემ დაზიანებულ მუხლზე სერიოზული ოპერაცია გადაიტანა, ამბობენ, წარმატებულად...

„ვალენსიას" დამარცხებამ „რეალს" მეტი თვითრწმენა შესძინა, ხოლო **მანუელ პელეგრინის** სავარძელი „რეალის" სათადარიგოთა სკამზე გამყარდა. ახლა საჭიროა „სარაგოსას" ძლევა და სეზონის პირველ ნახევარს ჩილელს ყველა (მათ შორის მომთხოვნი **ფლორენტინო პერესი**) წარმატებულად ჩაუთვლის.

პელეგრინის „სარაგოსასთან" მატჩისთვის, რა თქმა უნდა, პრობლემა დაცვის ცენტრში აქვს... პეპეს არყოფნას, **რაულ ალბიოლის** ტრავმა დაერთო. ალბიოლმა მხრის ტრავმის გამო ვარჯიში ნაადრევად დატოვა. ვარჯიში განაახლა **კრისტოფ მეტცელდერმა**, თუმცა წლეულს მის დაბრუნებას არ უნდა ველოდეთ. ასე რომ, პელეგრინის პირველი ექსპერიმენტის დროც მოსულა - თუკი ალბიოლი თამაშისთვის მზად არ იქნება, დაცვის ცენტრიში **ესეკიელ გარაის სერხიო რამოსი** შეეწყვილდება, მარჯვენა ფლანგს **ალვარო არბელოა** დაუბრუნდება, **მარსელო** კი - დაცვის მარცხენა ფლანგს. გამორიცხულია **კაკას, გუტის** და **ვან ნისტელროის** თამაში.

დისკვალიფიკაცია გაუვიდა **კრიშტიანო რონალდოს**, მაგრამ ახლა უკვე **ჩაბი ალონსო** გამოტოვებს მატჩს აღნიშნული მიზეზით.

„სარაგოსამ" ახლახან მწვრთნელი **მარსელინო** მოისაკლისა, ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გუნდს „სამეფო კლუბთან" ჯახისთვის „სარაგოსა B-ს" თავკაცი **ხოსე აურელიო გაი** ამზადებს. ეს დღეები „სარაგოსა" უცხო თვალისთვის ჩაკეტილ რეჟიმში ვარჯიშობს, ამბობენ, ხოსე აურელიო გაი დიდ საიდუმლოს უმზადებს კოლეგა პელეგრინისო... სტუმრებს დისკვალიფიკაციის გამო **აბელ აგილარი** დააკლდებათ, ტრავმების გამო - **ივან ობრადოვიჩი** და **პაბლო ამო**. შესაძლოა ვერ ითამაშოს **ჯერმაინ პენანტმაც**, რომელსაც ამ კვირაში პირადი პრობლემების გამო რამდენიმე ვარჯიში გაუცდა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, რამოსი, გარაი, მარსელო - მ. დიარა, ლ. დიარა - რონალდო, ვან დერ ვაარტი, ბენზემა - იგუაინი.

**სარაგოსა (4-4-1-1):** ვალეხო - პულიდო, აიალა, პავონი, პარედესი - პენანტი, პონსიო, აგილარი, ერერა - ლაფიტა - არისმენდი.

საკმაოდ საინტერესო დაპირისპირება გველის მესამეადგილოსან „სევილიასა" და მე-8 ადგილზე მყოფ „ხეტაფეს" შორის. „როხიბლანკოსი" ამ სეზონში ძალიან ცუდად თამაშობს მშობლიურ „სანჩეს პისხუანზე". ანდალუსიელები წლის ბოლო მატჩს პრობლემებით დახუნძლულები ეგებებიან. მთავარი დამრტყმელი ძალა, ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი **ლუიშ ფაბიანო** დამტვრეულია. ასევე დაშავებულია **ალდო დუშერი** და **ადრიანო**. **ფრედერიკ კანუტეს** ყელი აწუხებს, მაგრამ, სხვა გზა არაა, თამაში მოუწევს. „სევილიას" დაცვის ცენტრშიც უჭირს, ფრანგი მცველები **ჟულიენ ესკუდე** და **სებასტიენ სკილაჩი** კი ვარჯიშობენ, მაგრამ ჯერჯერობით თამაშისთვის ბოლომდე მზად არ არიან.

„ხეტაფეს" არ ეყოლება **რაფაელ ლოპესი**, საეჭვოა შვეიცარიელი **ფაბიო სელესტინის** და **ხავიერ კასკეროს** თამაშიც. მათ ბოლო ტესტს მატჩის დღეს ჩაუტარებენ.

### სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია (4-4-2):** პალოპი - ვალიენტე, კონკო, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - ნავასი, ზოკორა, რენატო, პეროტი - ნეგრედო, კანუტე.

ხეტაფე (4-4-2): უსტარი - ტორესი, დიასი, მარიო, მანე - პ. ლეონი, პარეხო, ბოატენგი, გავილანი - მანუ, სოლდადო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 15 | 12 | 3 | 0 | 36-9 | 39 |
| 2. რეალი | 14 | 11 | 1 | 2 | 34-13 | 34 |
| 3. სევილია | 14 | 9 | 3 | 2 | 25-11 | 30 |
| 4. ვალენსია | 14 | 8 | 4 | 2 | 27-16 | 28 |
| 5. მალიორკა | 14 | 8 | 3 | 3 | 27-16 | 27 |
| 6. დეპორტივო | 14 | 8 | 2 | 4 | 19-16 | 26 |
| 7. ბილბაო | 14 | 7 | 2 | 5 | 19-18 | 23 |
| 8. ხეტაფე | 14 | 7 | 0 | 7 | 23-21 | 21 |
| 9. სპორტინგი | 14 | 5 | 5 | 4 | 14-13 | 20 |
| 10. ვილიარეალი | 14 | 5 | 3 | 6 | 22-19 | 18 |
| 11. ოსასუნა | 14 | 4 | 4 | 6 | 14-17 | 16 |
| 12. ტენერიფე | 14 | 4 | 2 | 8 | 14-27 | 14 |
| 13. ვალიადოლიდი | 14 | 2 | 7 | 5 | 20-25 | 13 |
| 14. ატლეტიკო | 14 | 3 | 4 | 7 | 20-26 | 13 |
| 15. რასინგი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-23 | 13 |
| 16. ალმერია | 14 | 3 | 4 | 7 | 15-24 | 13 |
| 17. ესპანიოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 8-21 | 13 |
| 18. სარაგოსა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-29 | 12 |
| 19. მალაგა | 14 | 1 | 6 | 7 | 15-20 | 9 |
| 20. ხერესი | 15 | 1 | 4 | 10 | 6-28 | 7 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მეექვსე ტიტულისთვის

მაშინ, როცა სხვა ესპანური კლუბები პრიმერა დივიზიონის წლის ბოლო ტურში ითამაშებენ, „ბარსელონას" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალის მატჩი და, შესაძლოა, წლის მორიგი, მეექვსე ტიტული ელის. „ბარსელონამ" საჩემპიონატო ვალი მოიხადა, მის ლიდერობას ვერავინ დაემუქრება. ფინალი დღეს აბუ დაბის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) „ზაიედ სპორტს სიტის" სტადიონზე გაიმართება, „ბლაუგრანას" მეტოქე არგენტინული „ესტუდიანტესია".

თუკი „ბარსელონა" იმარჯვებს, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს წლის განმავლობაში უნიკალური მიღწევა ექნება, აქამდე არავის მოუპოვებია 6 ტიტული ერთდროულად. და ამით მსოფლიოს საკლუბო პირველობაზე ევროპელთა ზეობა გაგრძელდება, აქამდე ტიტულს „მილანი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ფლობდნენ.

„ბლაუგრანა" ტურნირში ბოლოს 2006 წელს მონაწილეობდა, მაშინ გუნდი ბრაზილიურ „ინტერნასიონალთან" დამარცხდა. „ესტუდიანტესს" კი 1968 წელს მოგებული აქვს „მანჩესტერ იუნაიტედისათვის".

ნახევარფინალში მექსიკურ „ატლანტესთან" მატჩში ტრავმა მიიღო და წლის ბოლომდე გუნდს დააკლდა **ანდრეს ინიესტა**. ასე რომ, **სერხი ბუსკეტსის** გვერდით ალბათ **იაია ტურეს** ვიხილავთ. „ესტუდიანტესს" აბუ დაბიში არ ჩამოჰყოლია ფორვარდი **მარსელო კარუსკა**.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ტურე, ბუსკეტსი, ჩავი - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო.

**ესტუდიანტესი (5-1-3-1):** ალბილი - როდრიგესი, სელაი, დესაბატო, დიასი, რე - ბრანა - ვერონი, ბენიტესი, პერესი - ბოსელი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



პეპმა ბლაუგრანა დარაზმა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტურის წინ

# იუბილარს გაუმარჯოს: დორტმუნდის ბორუსია 100 წლისაა!

## ლევერკუზენი, შალკე თუ ბაიერნი. ვინ გახდება შემოდგომის ჩემპიონი?


იუბილარი დორტმუნდელები ფრაიბურგთანაც ასე გაიხარებენ?

| გუშინ | |
|---|---|
| შალკე-მაინცი | 1:0 |
| **დღეს** | |
| ბაიერნი-ჰერტა | 18:30 |
| ბორუსია (დ)-ფრაიბურგი | 18:30 |
| ლევერკუზენი-ბორუსია (მ) | 18:30 |
| ჰანოვერი-ბოხუმი | 18:30 |
| აინტრახტი-ვოლფსბურგი | 18:30 |
| შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ჰამბურგი-ვერდერი | 18:30 |
| კიოლნი-ნიურნბერგი | 20:30 |

დრო, როცა მიუნხენის „ბაიერნი“ „შემოდგომის“ თუ ნამდვილ ჩემპიონობას ბოლო ტურამდე ინალდებდა დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. „შემოდგომის ჩემპიონობა“ აბსტრაქტული, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია, რადგან პირველი წრის მომგები გუნდების 70 პროცენტი გერმანიის ჩემპიონი ხდება ხოლმე. ვინ გახდება „შემოდგომის ჩემპიონი“ ამჯერად? ამ კითხვას პასუხი დღეს უნდა გაეცეს. გერმანიის ყველაზე ავტორიტეტულმა სპორტულმა გამოცემამ ტურის წინ გამოკითხვა ჩაატარა და სხვათა შორის, მხოლოდ 43 პროცენტს სჯერა, რომ ლიდერი „ლევერკუზენი“ პირველ ადგილს მეჩვიდმეტე ტურის შემდეგაც შეინარჩუნებს - არადა, დღეს „ფარმაცევტები“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მასპინძლობენ და წესით, უნდა მოიგონ. გამოკითხულთა ნახევარზე მეტს კი სჯერა, რომ პირველი წრის ბოლო ტური ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში ცვლილებებს მოახდენს. „ლევერკუზენის“ უპირველესი მდევარი „შალკე“ გუშინ შინ თამაშობდა, „მაინცთან“. მეორე მდევარი „ბაიერნი“ კი დღეს აუტსაიდერ „ჰერტას“ უმასპინძლებს. მოკლედ, „შემოდგომის ჩემპიონობის“ უპირველესი კანდიდატი ისევ და ისევ „ლევერკუზენია“, რომელიც დღეს „გლადბახის“ დამარცხების შემთხვევაში სეზონის პირველი ნახევრის მთავარ კითხვას პასუხს გასცემს.

### გააბრაზებს გლადბახი ლიდერს?

16 თამაში, არც ერთი მარცხი - ვფიქრობთ, ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. მე-17 ტურის წინ „ფარმაცევტები“ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს აბსოლუტურად დამსახურებულად უდგანან სათავეში. მართალია, „ლევერკუზენმა“ თავის გულშემატკივრებს ბოლოს იმედები გაუცრუა, რადგან „ჰანოვერში“ და „ჰერტასთან“ ფრეებით დაკმაყოფილდა, მაგრამ მაინც: პირველ წრეში ნაჩვენები თამაშისა და შედეგების მიხედვით, ამ ეტაპზე ლიდერობას ყველაზე მეტად სწორედ „ლევერკუზენი“ იმსახურებს. თუმცა **იუპ ჰაინკესისა** და მისი გუნდის მიზანი საუკეთესო ხუთეულში ყოფნაა და ეს გეგმა „ფარმაცევტებს“ გადაჭარბებით აქვთ შესრულებული. ამრიგად, გახდება თუ არა ოთხგზის ვიცე-ჩემპიონი პირველი წრის გამარჯვებული, ეს დღეს, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ მატჩში გაირკვევა. ჰაინკესის გუნდი, რა თქმა უნდა, ფავორიტია და თან, ყველასათვის ცნობილია, რომ ლევერკუზენელები წელს საკუთარ მოედანზე ყოველთვის დომინანტის როლში გვევლინებიან. აგვისტოდან მოყოლებული, „ლევერკუზენიდან“ ქულის წალება მხოლოდ ორმა გუნდმა მოახერხა - „ვერდერმა“ და დორტმუნდის „ბორუსიამ“. მარცხი კი ჰაინკესის გუნდს ამ სეზონში ჯერ საერთოდ არ უგემია. მაგრამ „ფარმაცევტები“ ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან „გლადბახი“ ბოლო დროს ბრწყინვალედ ათამაშდა და უკანასკნელ შვიდ შეხვედრაში 14 ქულას მოუყარა თავი.

### ჰერტასთან მოგება მხოლოდ ფორმალობაა?

ბერლინის „ჰერტას“ პირველ წრეში ალარაფერი ეშველება. თანაც, დღეს გასაცოდავებული დედაქალაქელები მიუნხენში ჩადიან. 16 მატჩში რომ გუნდი 6 ქულას მოიპოვებს, იქ სხვა რა უნდა ახსენო? მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, „ჰერტამ“ მოახერხა და წარმატებით დაძლია ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი. ამ კვირაში ბერლინელებმა ლისაბონის „სპორტინგი“ დაამარცხეს და ჯგუფიდან გავიდნენ. დღეს კი რეკორდმაისტერთან ექნებათ საქმე. „ბაიერნი“ „ჰერტას“ ბრწყინვალე ორკვირეულის შემდეგ მასპინძლობს და ალბათ არ არსებობს ადამიანი, ვისაც **ლუის ვან გაალის** გუნდის გამარჯვებაში ეჭვი შეეპარება. „ჰერტასთან“ სამი ქულის მოპოვება რეკორდმაისტერისთვის ფორმალობაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნდესლიგამ სწორედ ასეთ დროს იცის ხოლმე სენსაციების შემოთავაზება.

### ჩაუშწარებს ფრაიბურგი დორტმუნდს იუბილეს?

დღეს დორტმუნდის „ბორუსიას“ დაბადების დღეა. ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გერმანულ კლუბს დაარსებიდან 100 წელი უსრულდება. დორტმუნდის „ბორუსია“ ზუსტად ერთი საუკუნის წინ - 1909 წლის 19 დეკემბერს დაარსდა. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ორი ტრიუმფი ევროთასებზე, მათ შორის, 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, გერმანიის ექვსგზის ჩემპიონი და თასის ორგზის მფლობელი - ეს მხოლოდ ციფრებია. სხვა დანარჩენი კი, რაც „ბორუსიას“ სახელს უკავშირდება, ორი სიტყვით, შეიძლება, ასე ალვწეროთ: უდიდესი სიყვარული და ერთგულება. რთულია, სიტყვებით გადმოსცე, რაც „ვესტფალენშტადიონზე“ ხდება ხოლმე - დღესაც, „ბორუსია“ ასწლიან იუბილეს 80 000 მაყურებლის თვალწინ იზეიმებს. „დორტმუნდს“ „ფრაიბურგი“ სტუმრობს. „შავ-ყვითლები“ შესანიშნავ ფორმაში არიან და „ფრაიბურგთანაც“ მოგება უნდათ, მით უმეტეს, რომ მატჩი ასეთ იუბილეს ემთხვევა. „მინდა, ფეხბურთელებს სრული კონცენტრირებისკენ მოვუწოდო. მესმის, რომ საზეიმო განწყობაა, მაგრამ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ, რადგან „ფრაიბურგი“ საკმაოდ სახიფათო გუნდია. ბრაისგაუელები განსაკუთრებით სტუმრად თამაშობენ ხოლმე კარგად,“ - აცხადებს დორტმუნდელთა თავკაცი **იურგენ კლოპი**. მართლაც, „ფრაიბურგმა“ ამ სეზონში 8 გასვლითი თამაშიდან 4 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და მხოლოდ სამჯერ დამარცხდა.

### რა ეშველება ჩემპიონს?

გერმანიის მოქმედ ჩემპიონს მე-17 ტურის წინ იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც ფრანკფურტის „აინტრახტს“, რასაც სეზონის წინ ძალიან ცოტა თუ წარმოიდგენდა. ეს „ვოლფსბურგისთვის“ ძალიან ცუდს ნიშნავს, რასაც ვერ ვიტყვით „აინტრახტზე“, რომელიც სატურნირო ცხრილში, ასე ვთქვათ, თავის ადგილზეა. „ვოლფსბურგმა“ ბოლო ექვსი ოფიციალური მატჩიდან ვერც ერთი მოიგო და უკვე 30 გოლი აქვს გაშვებული - ამაზე მეტჯერ ამ სეზონში მხოლოდ „ჰერტას“ და „ფრაიბურგის“ კარის ბადეები შეირხა. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, „ვოლფსბურგი“ დღესაც რომ დამარცხდეს, ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეეს** თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

დიდ ინტერესს იწვევს „ჰანოვერისა“ და „ბოხუმის“ დაპირისპირებაც. „წითლებს“ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ. ბოხუმელები კი იმედოვნებენ, რომ ამ სეზონში მეოთხე გამარჯვებას იზეიმებენ, რაც მათ მშვიდად გამოზამთრების უფლებას მისცემდა.

### დერბი: შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი

დღევანდელ მატჩებში უკანასკნელი ბადენვიურტემბერგული დერბია: „შტუტგარტი“ „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობს. შვაბები იმედიანად არიან, რადგან ახალი მწვრთნელის, **კრისტიან გროსის** ხელმძღვანელობით ორი თამაშიდან ერთი მოიგეს, ერთიც ფრედ დაამთავრეს. უნდა ითქვას, რომ ამ თამაშს ორივე კლუბი შესუსტებული შემადგენლობებით ხვდება. „შტუტგარტს“ ცნობილი ამბავის გამო **იენს ლემანი** ჰყავს დისკვალიფიცირებული, „ჰოფენჰაიმს“ კი ამავე მიზეზით **სეიად სალიჰოვიჩი** აკლია. გარდა ამისა, „სოფლელები“ ვერც **დემბა ბას**, **მარვინ კომპერს** და **ტიმო ჰილდებრანდს** გამოიყენებენ (სამივეს ღორის გრიპი აქვს). კითხვის ნიშნის ქვეშაა **ანდრეას ბეკის** თამაშიც (ტრავმა აწუხებს).

### ხვალ: ჩრდილოეთის დერბი და კრიზისთა ჯახი

კვირის ორი მატჩიდან უდიდეს ინტერესს იწვევს ჩრდილოეთის დერბი, რომელშიც ერთმანეთის წინააღმდეგ „ძველი მტრები“, „ჰამბურგი“ და „ვერდერი“ წარდგებიან. 16 ტურის შემდეგ ორივე მათგანს 28-28 ქულა აქვს. „ჰამბურგმა“ მიმდინარე სეზონში ბრწყინვალე სტარტი აიღო, მაგრამ მერე არაერთი წამყვანი მოთამაშე დაუშავდა და მიუხედავად ამისა, მაინც შეინარჩუნა ადგილი საუკეთესო ხუთეულში. „ვერდერმა“ კი პირიქით, ცუდად დაიწყო და მერე მოუმატა. წინა სეზონში ამ გუნდებს 19 დღის განმავლობაში ოთხჯერ მოუხდათ ერთმანეთში ჭიდილი და „ვერდერმა“ „ჰამბურგი“ პირწმინდად დაჩაგრა. ბრემენელებმა ჰამბურგელები უეფას თასიდანაც გამოაგდეს, გერმანიის თასიდანაც დაიფრინეს და მერე ბუნდესლიგაშიც 2:0 მოუგეს. „ჰამბურგის“ ქომაგებს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვთ იმ 19 დღეში მიღებული ტკივილი. ასე რომ, ხვალინდელ შეხვედრაში ემოციების დუღილს ველით.

გერმანიის ჩემპიონატის პირველ წრეს კი კრიზისში მყოფი კლუბების, „კიოლნისა“ და „ნიურნბერგის“ დაპირისპირება დაასრულებს. „კიოლნმა“ 16 ტურში მხოლოდ შვიდი გოლის გატანა შეძლო და დღემდე საკუთარ მოედანზე მხოლოდ ერთი თამაში აქვს მოგებული, „ნიურნბერგი“ კი კიდევ უფრო გზააბნეული კლუბია და თუ დღესაც ვერ მოიგო, პირველ წრეს გასავარდნ ზონაში დაასრულებს. „თხებს“ დღეს წამყვანი საყრდენი ნახევარმცველის, **მანიშეს** გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა, ფრანკებს კი ძირითადი მეკარე **რაფაელ შეფერი** ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 17 | 10 | 4 | 3 | 26-13 | 34 |
| 2. ლევერკუზენი | 16 | 8 | 8 | 0 | 32-11 | 32 |
| 3. ბაიერნი | 16 | 8 | 6 | 2 | 29-13 | 30 |
| 4. ვერდერი | 16 | 7 | 7 | 2 | 31-14 | 28 |
| 5. ჰამბურგი | 16 | 7 | 7 | 2 | 32-18 | 28 |
| 6. ბორუსია (დ) | 16 | 7 | 6 | 3 | 22-17 | 27 |
| 7. ჰოფენჰაიმი | 16 | 7 | 4 | 5 | 26-14 | 25 |
| 8. მაინცი | 17 | 6 | 6 | 5 | 21-22 | 24 |
| 9. ვოლფსბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 30-30 | 23 |
| 10. აინტრახტი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-22 | 23 |
| 11. ბორუსია (მ) | 16 | 6 | 3 | 7 | 22-26 | 21 |
| 12. ფრაიბურგი | 16 | 5 | 3 | 8 | 19-32 | 18 |
| 13. ჰანოვერი | 16 | 4 | 5 | 7 | 19-24 | 17 |
| 14. კიოლნი | 16 | 3 | 6 | 7 | 7-15 | 15 |
| 15. შტუტგარტი | 16 | 2 | 7 | 7 | 13-22 | 13 |
| 16. ბოხუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-31 | 13 |
| 17. ნიურნბერგი | 16 | 3 | 3 | 10 | 12-29 | 12 |
| 18. ჰერტა | 16 | 1 | 3 | 12 | 11-34 | 6 |

სენსაცია

# ჩელსი შვაინშტაიგერში 28 მილიონს იხდის!

## ლონდონელები მოსწრებაზე არიან, რადგან მერე ტრანსფერები აეკრძალებათ

ოფიციალური „სანის“ ამ ინფორმაციას ვენდობით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ 25 წლის **ბასტიან შვაინშტაიგერი** დღეს მიუნხენის „ბაიერნის“ ფორმას უკანასკნელად მოირგებს. როგორც ჩვენი ინგლისელი კოლეგები იუწყებიან, ლონდონის „ჩელსის“ გერმანიის ნაკრების ნახევარმცველის გადაბირება ძალიან უნდა, თანაც ახლავე და მზადაა, მიუნხენურ გრანდს ტრანსფერში 28 მილიონი ევრო გადაუხადოს.

„სანი“ წერს, რომ **ფრანკ რიბერიმ** „ჩელსის“ საბოლოო უარი შეუთვალა, რის შემდეგაც „არისტოკრატებმა“ შვაინი ამოიღეს მიზანში. როგორც ირკვევა, შვაინშტაიგერს **კარლო ანჩელოტის** სასურველ ფეხბურთელთა სიაში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია. ლონდონელებს ბასტიანი **მიხაელ ბალაკის** შემცვლელად სურთ, რომელიც 33 წლისაა. ბალაკს „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულში უმთავრდება.

რამხელაა იმის შანსი, რომ შვაინშტაიგერმა „ჩელსის“ მიაშუროს? შვაინი 11 წელია, რეკორდმაისტერის ღირსებას იცავს და ბუნდესლიგაში 200 მატჩი აქვს ჩატარებული (21 გოლი). შვაინშტაიგერი ახლა შესანიშნავ ფორმაშია და 10 დღის წინ, „იუვენტუსთან“ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა. ფაქტია ისიც, რომ რიბერისა არ იყოს, შვაინშტაიგერსაც ძალიან უნდა ჩემპიონთა ლიგის მოგება. „სანი“ კი ამტკიცებს, რომ ლონდონელებს შვაინის გადაბირება ახლავე სურთ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ჩელსის“ მომავალი ზაფხულისთვის და შემდეგი ზამთრისთვის ტრანსფერების განხორციელება აეკრძალება და სანამ დროა, ანჩელოტის გუნდის გაძლიერება სურს.

**გოტფრიდ ლენცი**


გადავა ბასტიან შვაინშტაიგერი ჩელსიში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრეობა



აქ დაიწყეს...



...აქ გააგრძელეს

# სამი დალიე, შეგერგება... დუბლინში

ყველაფერს თანმიმდევრულად მოგიყვებით, ასე აჯობებს. ერთადერთი, რასაც აქვე გეტყვით, ის არის, რომ ღრეობაში, რომელიც „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ფეხბურთელებმა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში გამართეს, მონაწილეობა არ მიუღიათ **უილსონ პალასიოსს, რომან პავლიუჩენკოს, გარეთ ბეილსა** და **ჯოვანი დოს სანტოსს**. იქ სულ თექვსმეტნი იყვნენ და ეს ამბავი წინა კვირის სამშაბათს მოხდა, „ვულვერჰემპტონთან" შინ ნაგებამდე ოთხი დღით ადრე.

ახლა კი, როგორც დაგპირდით, ყველაფერს თანმიმდევრულად გიამბობთ. ისტორია **რობი კინით** დაიწყო. ირლანდიის ნაკრების კაპიტანი, მოგეხსენებათ, დუბლინელი კაცია და თავის ქალაქში ქიციც იცის და ქიცმაცურიც. სწორედ მან შესთავაზა ბიჭებს, საშობაოდ ლონდონელთა თვალისგან შორს, დუბლინში ავიწყვიტოთო. გეგმა დასახა და შესრულებაც თავად იტვირთა - იმ სამშაბათ დილას, როდესაც „სფურზმა" ჩიგველის ბაზაზე ვარჯიში დაასრულა, ფორვარდმა ბიჭებს ჩამოუარა და ორ-ორი ათასი ფუნტი გამოართვა.

ასე და ამგვარად, ფული შეიკრიბა. ახლა დუბლინში გადაფრენა იყო საჭირო. თუმცა, არც ეს გახლდათ პრობლემა - **ჯონათან ვუდგეიტმა** და კიდევ ხუთმა, 5 200 ფუნტად პატარა თვითმფრინავი იქირავეს და ასე, კომფორტულად ეწვივნენ ირლანდიას. ხუთეულმა უკანა გზაც ნაქირავები თვითმფრინავით გადმოიფრინა, დანარჩენმა თერთმეტმა კი ლონდონი-დუბლინის ჩვეულებრივ რეისზე აიღო ბილეთი და ასე ამოყო თავი დანიშნულ ადგილას.

ერთი სიტყვით, სამშაბათ საღამოს თექვსმეტი ტოტენჰემელი დუბლინში კვლავ შეიკრიბა და ქეიფი ქალაქიდან თექვსმეტ კილომეტრში, დასახლება მალაჰიდში (ალბათ, ასე თუ იკითხება ეს სიტყვა ირლანდიურად), „გიბნიში" დაიწყეს. იქ რომ „მოიგემრიელეს", დუბლინში დაბრუნდნენ და „ჯექსონ კორტ ოტელს" მიაკითხეს.

ორიოდ სიტყვით გეტყვით, რა ტიპის სასტუმროა ეს „ჯექსონ კორტი". ამ სასტუმროს სარეკლამო განცხადებებში პირდაპირ წერია, რომ თუ დაძინება გინდა, სხვაგან უნდა ნახვიდე, რადგან ოთახები ზედ ღამის კლუბ „კუპერ ფეის ჯექსის" თავზეა, ეს კლუბი კი კვირაში შვიდი ღამის განმავლობაში ოთხ საათამდე გუგუნებს. მოკლედ, ძილი გამორიცხულია. ამ სასტუმროში მოხვედრილთაგან ზოგი მას ფეთხუმთა თავშესაყარს უწოდებს და ზოგიც ადგილს, სადაც გაუჩერებლად ბლავიან, თავად კლუბს კი თავი დაუსრულებელი მხიარულებით მოაქვს და, როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას „სფურზის" ბიჭებიც ეთანხმებიან.

ერთი სიტყვით, სამშაბათს ფეხბურთელებმა გული იჯერეს, ხუთშაბათს კი (რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს) მათი მწვრთნელი, ჰარი რედნაპი ჟურნალისტებს ასეთი სიტყვებს ეუბნებოდა:

*„ძალიან მეეჭვება, ფეხბურთელებმა ჩემს ზურგს უკან საშობაო ქეიფის ნება მისცენ საკუთარ თავს. ხოლო როდესაც შემეკითხებიან, ვეტყვი, რომ საშობაო ქეიფი საერთოდ არ არის საჭირო. გულწრფელად გეუბნებით, ეს ღრეობები საქმეს მხოლოდ აფუჭებს. მთელი ქვეყანა ჩასაფრებულია და გელოდება, როდის გამოთვრები და როდის დაიწყებ ქუჩაში სულელივით ქცევას. ვის რაში სჭირდება თავის საქვეყნოდ გაპამპულება?*

*გარდა ამისა, ჩვენ ხანგრძლივ ჩემპიონატში ვმონაწილეობთ და თან კარგად გამოვდივართ, წარმატების შანსი გვაქვს. ჰოდა, მივაღწიოთ რაიმე წარმატებას და თუ მაინცდამაინც, მერე გამოვთვრეთ. ზაფხულის არდადეგები წინ არის, დროსტარება მაშინ შეიძლება. დღეს კი მუშაობის პერიოდია, ქეიფისთვის არ გვცალია. რასაკვირველია, მინდა ბიჭებმა გული გაიხალისონ, მაგრამ ჯერ არა. წლის ამ მონაკვეთში მეტისმეტად დაკავებულები ვართ. დღეს მთავარია, ფიზიკური ფორმა შევინარჩუნოთ და საკმაოდ მძიმე კალენდარს ყოჩაღად შევხვდეთ. მოკლედ, გამოთრობა და სიმთვრალეში კისრის მოტეხვა ნამდვილად არ გვარგებს".*

მკითხველისთვის ადრეც მოგვიყოლია, რომ რედნაპმა გასულ ზაფხულს თავისი ფეხბურთელები გააფრთხილა, სეზონის განმავლობაში თქვენი ღამის თავგადასავლების შესახებ არაფერი გავიგოო. მაგრამ გაიგო: **პიტერ კრაუჩისა** და ჯონათან ვუდგეიტის ამბავი, თავისი ფოტოებით „ლელოშიც" გახლდათ გამოქვეყნებული. რასაკვირველია, შეგირდების ურჩობამ რედნაპი გააბრაზა, მაგრამ ყველას გასაკვირად, ფეხბურთელები არ დასაჯა.

საინტერესოა, რომ დუბლინში ტოტენჰემელები „ბოლტონის" ფეხბურთელებმაც ნახეს - ისინიც იქ წასულან საქეიფოდ. მაგრამ, მოდი, ბოლტონელებს თავი დავანებოთ და ჰარი რედნაპს დავუბრუნდეთ, რომელმაც თავისი ფეხბურთელების ტაშ-ფანდურის ამბავი, რასაკვირველია, შეიტყო. და როგორ ფიქრობთ, როგორი იყო მისი რეაქცია? ინებეთ:

*„ოთხშაბათი დასვენების დღედ გვქონდა გამოცხადებული და რობიმ მითხრა, რომ ბიჭები ირლანდიაში გოლფის სათამაშოდ მიდიან. საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა. რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას საშობაო ქეიფებისადმი, ყველამ იცის, რომ მე მათი წინააღმდეგი ვარ და საერთოდაც, მიმაჩნია, რომ სმაში დიდი თავშეკავებაა საჭირო. ახლა კი დუბლინზე... მე არ ვიცი, იქ რა მოხდა, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, ამას გუნდის თამაშზე გავლენა არ მოუხდენია. იმ შაბათს „ვულვზთან" ვინმეს ქეიფის გამო არ დავმარცხებულვართ. ხუთშაბათისა და პარასკევის ვარჯიშებზე გუნდი ძალიან მომეწონა და შაბათის მარცხს სულ სხვა მიზეზები ჰქონდა. ჩვენი გუნდის ნამდვილი სახე და ძალა კი ამ ოთხშაბათს გამოჩნდა, როდესაც ჩვენ „მანჩესტერ სიტის" მოვუგეთ 3:0."*

დავა

# მაშინ ფერგიუსონიც დასაჯეთ!

„ვულვერჰემპტონის" თავკაცი **მიკ მაკარტი** პრემიერლიგის შეფებს ასე შეეკითხება: სამშაბათს, „ოლდ ტრეფორდზე", მე გავაკეთე ზუსტად იგივე, რაც ჩვენი იმდღევანდელი მოწინააღმდეგის, „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს **ალექს ფერგიუსონს** ბევრჯერ გაუკეთებია. თუ შეიძლება, გამაგებინეთ, რატომ ატყდა ჩემ გამო ერთი ამბავი, ფერგიუსონზე კი არავინ არაფერს ამბობს? რასაკვირველია, „ლელოს" მკითხველებს შეხსენება არ სჭირდებათ, რომ ლაპარაკია შეხვედრაზე, რომელშიც მაკარტიმ თავისი საუკეთესო შემადგენლობა არ ათამაშა - წინა ტურთან შედარებით, რომელშიც თვით „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ლონდონში მოუგო, ათი ფეხბურთელი ჰყავდა შეცვლილი. „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ფაქტობრივად სარეზერვო გუნდით მოთამაშე „ვულვზის" შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით, 3:0 დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ მაკარტიზე საკუთრივ პრემიერლიგის შეფების გარდა (რომელთაც „ვულვზის" საქციელში ორი კანონის დარღვევა დაინახეს), მისი კოლეგა **არსენ ვენგერიც** გაბრაზდა. „არსენალის" თავკაცმა მიიჩნია, რომ „ვულვზმა" „იუნაიტედს" საქმე გაუიოლა, მაშინ როდესაც კონკურენტ გუნდებს ყოველ ტურში დიდი ბრძოლების გადატანა უხდებათ. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მაკარტი და „ვულვერჰემპტონის" სხვა შეფები ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან და მეტიც, მთელ ამ ისტორიაში უსამართლობის ელემენტსაც ხედავენ. მათი აზრით, უკვე წლებია, ზუსტად იმავე საქციელის გამო დიდ კლუბებს არაფერს ეუბნებიან.

„ვულვერჰემპტონმა" პრემიერლიგას წერილობითი პასუხი გასცა, სადაც გალმა შეედავა - წერილში კლუბის წარმომადგენლები ჯიქურ სვამენ კითხვას, თუ რატომ არ სთხოვენ რეზერვისტების მოედანზე გამოყვანის გამო პასუხს ფერგიუსონს. მაგალითიც, რასაკვირველია, მზად არის: გასული სეზონის ბოლო შეხვედრა ჰალში. ეს გახლდათ მატჩი, რომელშიც, ბედის ირონიით, „მანჩესტერ იუნაიტედის" თაცკაცმა ზუსტად ათი კაცით გადასხვაფერებული შემადგენლობა გაიყვანა და მისთვის არავის არაფერი უთქვამს. თან, ხაზს ვუსვამთ, ეს იყო ბოლო ტური და „ჰალი" პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, ანუ მისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მეტოქე ძირითადი შემადგენლობით ეთამაშებოდა თუ სათადარიგოთი.



მანჩესტერ იუნაიტედი-ვულვზი, თამაში რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია

რასაკვირველია, ფერგიუსონს იმ შეხვედრაში საბაბი ჰქონდა - სამი დღის შემდეგ მის გუნდს ჩემპიონთა ლიგის ფინალი უნდა ეთამაშა, მაგრამ ამით მოედანზე სუსტი შემადგენლობის გაყვანის ფაქტი არ იცვლება და თუ ეს კანონის დარღვევაა, იგი ერთნაირად უნდა ეხებოდეს როგორც „ვულვერჰემპტონის", ასევე „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცებს.

არსებობს მეორე მაგალითიც: 2007 წელს ფერგიუსონმა „ვესტ ჰემს" შინ სუსტი შემადგენლობა დაახვედრა. შეხვედრა ლონდონელებმა 1:0 მოიგეს და პრემიერლიგიდან გავარდნას გადარჩნენ.

დღეს „ვულვერჰემპტონი" ამტკიცებს, რომ ორივე შემთხვევაში „მანჩესტერ იუნაიტედის" საქციელმა უშუალო ზეგავლენა იქონია იმაზე, თუ ვინ გავარდებოდა პრემიერლიგიდან, ანუ სამართალი დაირღვა.

ასე და ამგვარად, „ვულვზს" მიაჩნია, რომ პრემიერლიგამ იგი განტევების ვაცად აქცია. საინტერესო კი ის არის, რომ იმას, რაც მიკ მაკარტიმ გააკეთა (ფაქტობრივად, საკუთარ არაერთგზის ნამოქმედარსაც) გამართლებულად თვით ალექს ფერგიუსონიც მიიჩნევს: *„თუკი გუნდი, რომელიც მწვრთნელმა მოედანზე გაიყვანა, გამარჯვებისთვის იბრძვის, შემადგენლობის გადასხვაფერებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ".*

ზუსტად ასევე დაიცვა თავისი პოზიცია მაკარტიმაც, იმ განსხვავებით, რომ იგი თავის გულშემატკივრებზე იყო გაბრაზებული. მან თქვა:

*„ჩვენ მუდმივად ერთი და იმავე შემადგენლობით თამაშს ვერ შევძლებთ. ასე რომ გავაკეთოთ, ფეხბურთელები დაშავდებიან. ბიჭებს, რომლებმაც შაბათს „ტოტენჰემს" მოუგეს, სამშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ თამაში რასაკვირველია შეეძლოთ, მაგრამ, დაღლილები იყვნენ და რამდენიმე მათგანი გადაღლის გამო შესაძლოა დაშავებულიყო. ჰოდა, გეკითხებით: რატომ უნდა გამეყვანა ისინი მოედანზე? ხალხი ყველაფერს შორიდან უყურებს. ისინი ხედავენ, რომ ფეხბურთელი სალად გამოიყურება, მაგრამ თამაშის მეორე დილით ფიზიოთერაპევტის ოთახში ჩვენ ვართ. ბიჭები ერთ ღამეში ვერ ახერხებენ დახარჯული ძალების აღდგენას".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ გიორგი გოგშელიძესთან

# საგა გრძელდება

## დამოკლეს მახვილი გოგშელიძისთვის

**ვფიქრობ, გიორგი გოგშელიძის ინტერვიუ ძალიან ბევრ კითხვას გაუჩენს ყველას. ცხადია, კითხვები ჩვენც გაგვიჩნდა (მაგალითად, რატომ არ განიხილავენ კონკრეტული მეტოქეების საჭიდაო სტილს), თუმცა ამჯერად კომენტარს მოვერიდებით - მოჭიდავეთა წლევანდელ გამოსვლაზე ცალკე წერილში საუბარს ისეც ვაპირებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჭიდაობაში შექმნილ მდგომარეობაზე მეტი კრიტიკულობა მართებდათ ფედერაციასაც, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსაც და სპორტის დეპარტამენტსაც. სამწუხაროა, რომ გოგშელიძის საბინაო პრობლემა „დამოკლეს მახვილად" იქცა და რომ გვეგონა, საბოლოოდ მოგვარდა, ისევ წამოტივტივდა. ძალიან ცუდია, ეს საგა აქამდე რომ გრძელდება.**

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება გოგშელიძესთან დაკავშირებული ის ისტორია, რასაც ერთ-ერთ ოსურ საჭიდაო ფორუმზე წავაწყდი მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას. ესაა საიტი, სადაც ქომაგებთან საკონტაქტოდ საკუთარი თემა აქვს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ **ბილიალ მახოვს**; რომლის აქტიური წევრია გოგშელიძის უმთავრესი მეტოქის - **ჰაჯიმურატ გაცალოვის** და. ოსების გარდა, ამ საიტზე მთელი ჩრდილო კავკასიის საჭიდაო სამყაროა შეკრებილი - ლეკები, ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები, ბალყარები... მოგეხსენებათ, იქ ყველა ჭიდაობს და ფორუმზე ჭიდაობაში, რუსეთის ნაკრებებსა თუ ფედერაციაში, ჩრდილოკავკასიელ ცნობილ მოჭიდავეთა პირად ცხოვრებაში გათვითცნობიერებული ხალხია თავმოყრილი. მათთვის გოგშელიძე ერთ-ერთი ავტორიტეტია, მისი სახელი კი განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც გაცალოვმა რუსეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა და გაირკვა, რომ მსოფლიოს პირველობაზეც ის იჭიდავებდა. მაშინდელი წარმატება ახლად ტრავმამოშუშებულმა გაცალოვმაც რომ მოულოდნელობად შეაფასა, ამაზე „ლელოც" წერდა, იქაურ ქომაგებში კი მაშინვე გაჩნდა შიში, რომ ის მსოფლიოზე გოგშელიძესთან დამარცხდებოდა. მაშინ ისინი ამბობდნენ, რომ გაცალოვი მხოლოდ 60 პროცენტით იყო მზად. იქაურებს პირველი იმედი მაშინ გაუჩნდათ, როცა პოლონეთის ტურნირზე გოგშელიძემ საერთოდ ვერ იჭიდავა, გაცალოვი კი ჩემპიონი გახდა. იმ საიტზე აპოგეამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა მსოფლიოს პირველობის წილისყრა ჩატარდა და გაირკვა, გოგშელიძე-გაცალოვის გზები მეორე წრეში რომ იკვეთებოდა. ზედმეტია იმ ნერვული განწყობის აღწერა, რაც საიტზე სუფევდა. მგონი, იმ დღეებში მთელ ჩრდილო კავკასიას არ უძინია ამ პაექრობაზე ნერვიულ ფიქრებში... მოგეხსენებათ, ის შეხვედრა გაცალოვმა მოიგო და ასევე ზედმეტია იქაური ქომაგების სიხარულის აღწერა, მხოლოდ ერთ ეპიზოდს გამოვარჩევ - გაცალოვის და ერთი კი შემოვიდა, მილოცვებისთვის მადლობა გადაიხადა და სალამომდე ფორუმზე არ გამოჩენილა. სალამოს, გააზერბაიჯანელებულ ლეკ **ხეტაგ გასიუმოვთან** საფინალო შეხვედრამდე მას ერთი ეხუმრა, ალბათ, უკვე სალამოს ნამაზსაც შეასრულებდიო (ანუ ილოცებდიო). გაცალოვის და ფორუმზე გამოჩნდა და ასე უპასუხა - იმდენად ვარ გადაღლილი ემოციებისგან, არაფრის თავი არ მაქვს, კომპიუტერთანაც ვერ მოვდივარო. ვფიქრობ, კარგი მაგალითია იმისი, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იქაურები გაცალოვის შეხვედრას გოგშელიძესთან - მათთვის ეს ნაადრევი ფინალი იყო (არსებითად, ჩვენთვისაც). იმ გამარჯვების შემდეგ იქაურ ფორუმზე გაჩნდა ფრაზები - „ჰაჯი, ყოჩაღ!"; „ჰაჯი კაცია" და ამგვარები, მაგრამ იქაურები პარალელურად გოგშელიძესაც აქებდნენ, როგორც ძლიერ მოჭიდავეს და მისი დაკნინება არც უცდიათ. ისინი ადრეც ამბობდნენ, რომ გოგშელიძე ამ წონაში ერთ-ერთი უძლიერესია, ტექნიკურად ყველაზე კარგად მომზადებული, მაგრამ ცოტათი ზარმაცი, საკმარისად არ მუშაობს საკუთარ თავზე, თორემ მეტსაც მიაღწევდაო.

გოგშელიძეს გუშინ გორში დავუკავშირდით რამდენიმე საინტერესო თემაზე სასაუბროდ.

**- გიორგი, სად, როგორ, რა პირობებში ემზადებით მომავალი სეზონისთვის?**

- ძირითადად გორში ვვარჯიშობ. მეტი ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზეა გადატანილი - რბენა, გამძლეობაზე ვარჯიში... კვირაში ორჯერ თბილისში ჩამოვდივარ ფალავანთა კლუბში სავარჯიშოდ, რადგან გორში სპარინგები ჯერ ისევ დეფიციტია. ბოლო წლებში აქ მდგომარეობა ცოტა კი გაუმჯობესდა, მაგრამ ესენი ჯერ პატარები არიან. თან გამუდმებით ერთსა და იმავე მეტოქესთან ვარჯიში ძნელია, მრავალფეროვნებაა საჭირო, თორემ ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე სხვადასხვა სტილის მოწინააღმდეგე გხვდება და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, თუმცა პრობლემის მოსაგვარებლად იქნებ ფალავანთა კლუბში ვარჯიშიც არ იყოს საკმარისი, რადგან დიდი მრავალფეროვნება არც იქაა.

**- მაშ რაშია გამოსავალი?**

- შესაძლებელია 10 დღით, ორი კვირით მოსამზადებლად დაღესტანში, ჩრდილო ოსეთში, რუსეთში ან სადმე სხვაგან წასვლა. ვფიქრობ, პერიოდულად ასეთი ჩართვები კარგი იქნება, რასაც ტურნირებიც დაემატება.

**- უარს გეუბნებიან მაგაზე?**

- ჯერ ამ თემაზე არც მქონია ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, წამოვაყენებ საკითხს. თუმცა რუსეთში წასვლა ასე იოლიც არაა - მოგეხსენებათ, შემოდგომაზე ხასავიურტში საკონტინენტთაშორისო თასზე ვიზა არ მომცეს და არ გამიშვეს. მიზეზი საბუთების პრობლემა იყო, რაც შეიძლება კიდევ დადგეს დღის წესრიგში.

**- თვითონ ლეკები და ოსები მიგიღებენ სავარჯიშოდ, როგორც მათი ფალავნების უმთავრეს მეტოქეს? მომზადებაში არ დაგეხმარონ, ეს უფრო რეალური ჩანს.**

- დაღესტანში თვითონ მითხრეს იქაურმა ახლობლებმა, ჩამოდი და ივარჯიშეო. ამიტომ არ მგონია, პრობლემა შემექმნას. იმ დარბაზში ვარჯიში როგორც მე წამადგება, ისე წაადგებათ ადგილობრივ ახალგაზრდებსაც.

**- თქვენი საბინაო პრობლემა ისევ აქტუალური გახდა. რატომ წამოტივტივდა ეს საკითხი ახლა, აკი ოლიმპიადის შემდეგ თითქოს მოგცეს ბინა?**

- მაშინ ბინას „ოლიმპიური ვარსკვლავი" შემპირდა მშენებარე სახლში, მის აშენებამდე კი ბინის ქირას მიხდიდა - თვეში 400 დოლარს. ამ პირობას ასრულებდა კიდეც, მაგრამ კრიზისის პერიოდში მასაც გაუჭირდა და მომერიდა ამ ფულის გამორთმევა. ვატყობდი, ფული უჭირდათ და ამიტომ მე თვითონ შევთავაზე, ვიდრე მდგომარეობას გამოასწორებთ, მანამდე შევწყვიტოთ შეთანხმება-მეთქი. კაცმა თვითონ ხომ არ უნდა გითხრას, თავი დამანებეო. ის სახლი, რომელშიც ბინას ველოდი, 2010 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იქ ჯერ არაფერია გაკეთებული. ერთ წელიწადში რომ ბინა ჩაგაბარონ, ის დაწყებული მაინც უნდა იყოს. სამწუხაროდ, დაპირების მერე იმ ბინაზე ლაპარაკი შეწყდა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ოლიმპიადამდე დიდი ხნით ადრე რომ უნდა მოეცათ. უკვე ამაზე ლაპარაკს არც მე ვაპირებ.

**- ანუ, თბილისში ბინა ისევ არ გაქვთ?**

- არა, არ მაქვს, თუმცა ახლა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი ბინის ქირას დამპირდა. რამდენადაც მას ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, დანაპირებს შეასრულებს და იანვრიდან თბილისში ვარჯიშის საშუალება მომეცემა.

**- ადრე ბინა არც გორში გქონდათ. ახლა როგორაა საქმე?**

- აქ მე ვიყიდე ჩემი ფულით და ნაქირავებში აღარ ვცხოვრობ.

**- გიორგი, მსოფლიოს ჩემპიონატზე მინდა გკითხოთ: მესამე ადგილი რამდენად მისაღები შედეგია შენთვის?**

- მესამე ადგილს წარმატებად რომ არ ვთვლი, ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, მაგრამ მოსამზადებელი პირობებიც გასათვალისწინებელია. ოლიმპიადის შემდეგ დავისვენე. ის იმდენად დიდი ტურნირია და ისე ემზადები ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, განტვირთვა საჭიროა, თუ გინდა მეორე ოლიმპიადამდე მიხვიდე. ამან ის გამოიწვია, რომ მსოფლიომდე არც ერთ ტურნირში არ გამოვსულვარ. ევროპამდე ამას არც ვგეგმავდი, იმის მერე ერთხელ კი წავედი პოლონეთში, მაგრამ იქაც აწონვამდე მხარი ვიტკინე. ტრავმა ოლიმპიადამდეც მაწუხებდა და ბოლომდე არც იყო მორჩენილი, როცა მხარი ისევ დავიზიანე. ამიტომ არ გავრისკე, ვიფიქრე, უარესად არ ვიტკინო-მეთქი და არც იქ მიჭიდავია. ერთი შეჯიბრებაც არ იქნებოდა საკმარისი, თუმცა სულ არარაობას აჯობებდა, ახლა კი ისე მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ტურნირებში საერთოდ არ გამოვსულვარ. დანიაში საშეჯიბრო პრაქტიკის გარეშე წავედი, ამ ყველაფერმა კი გავლენა იქონია იქ ჩემს გამოსვლაზე. ამას ოჯახური ტრაგედიებიც დაემთხვა - უახლოესი ნათესავები ერთმანეთის მიყოლებით გარდამეცვალნენ. ერთის ორმოცი არ იყო გასული, მეორე რომ კვდებოდა - ბიძაშვილი, ბიძა... 22 წლის ბიძაშვილი ჩემ გვერდით დაიხრჩო წყალში, კინაღამ გადავყევი ამას. ცხადია, იმოქმედა ამ ყველაფერმა, რობოტი ხომ არ ვარ, არაფერზე ვიფიქრო, ამ ყველაფრისა და ამდენი უბედურების შემდეგ წავიდე და მოვიგო?

**- ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გარედან ისე ჩანს, თითქოს ჰაჯიმურატ გაცალოვის კომპლექსი გაგიჩნდათ. ყოველ შემთხვევაში, სხვებთან უფრო გახსნილად, თამამად ჭიდაობთ, ვიდრე მასთან.**

- არავითარი კომპლექსი, მოჩვენებითია ეგ ყველაფერი! კომპლექსი არც მქონია ვინმესი და არც მექნება. ჩემთვის არ არსებობს მეტოქე, რომელთანაც დავითრგუნები, აქაოდა, ეს დაუძლეველია-მეთქი და შემართება მომაკლდეს. გაცალოვი ჩემთვის მორიგი მეტოქეა და მეტი არაფერი. ისიც არ მესმის, რატომ მიაჩნიათ ჩემთვის უხერხულ მეტოქედ, ევროპის ჩემპიონატზე ხომ დამაჯერებლად მოვუგე? კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს - როცა კარგად ვარ მომზადებული და მაქვს საშუალება, ჩემი სტილი მოვახვიო თავს, აუცილებლად მოვუგებ მაგასაც და სხვასაც. მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდად არ ვიყავი მომზადებული, მაგრამ შეხვედრებზე რომ გავდიოდი, რწმენა მაკლდა. რწმენა იმისა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული, რადგან საშეჯიბრო პრაქტიკა მაკლდა. ეს რწმენა ტურნირებიდან მოდის, როცა მათ კარგად გაივლი და მოიგებ. მე სწორედ ეს მაკლდა და ლეიბზე რომ ვიდექი, ვგრძნობდი, ფეხები არ მემორჩილებოდა. თუნდაც ირანელ საედ აბრაჰიმისთან, ვისაც ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ვაჯობე.

**- გაცალოვის ქომაგები თქვენზე ამბობენ, ამ წონაში ტექნიკურად საუკეთესოა, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, მაგრამ ცოტა ზარმაციო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- სიზარმაცეში ვერ დავეთანხმები. იყო წლები, იმდენს ვიტვირთებოდი, იმდენი მიშრომია, გაცალოვისნაირს სამს ეყოფა ერთად. მერე კი იყო წლები, როცა მიზეზთა გამო, სრულად ვერ ვიტვირთებოდი. სამწუხაროდ, არც მწვრთნელი მყოლია ისე, თავზე დამდგომოდა და ყველა მეტოქის სტილი გამერჩია. იმათმა მწვრთნელებმა, მგონი, ჩემზე უკეთ იციან, როდის, რომელ წამზე რას ვაკეთებ. ჩემს შეხვედრებს კამერებზე იღებენ და არჩევენ, მე კი ეს ყველაფერი ინდივიდუალურად უნდა ვაკეთო.

**- როგორ, დიდი ტურნირების წინ კონკრეტულ მეტოქეებთან საბრძოლველად არ ემზადები? არც გორში არჩევთ მათ ჭიდაობებს და არც - შეკრებებზე? ან სხვებთან მიმართებაში თუ ხდება ასე?**

- ჩემთან ასეთი მუშაობა არასოდეს ყოფილა. ყველა ილეთს თავისი კონტრილეთი მოეძებნება და ამას უნდა დამუშავება სპეციალისტებთან ერთად.

**- ძალიან ცუდი, ასე თუ არ ხდება... სადღეისოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორაა - ტრავმები ხომ არ გიშლით ხელს მომზადებაში?**

- საბედნიეროდ, ასეთი არაფერია და ნორმალურად ვემზადები, სპარინგებზე თუ არ ვილაპარაკებთ. როგორც გითხარით, დიდი დატვირთვებით ვემზადები, დღესაც ორჯერ ვივარჯიშე.

**- ანუ საქართველოს ჩემპიონატზე გიხილავთ...**

- კი, საქართველოს ჩემპიონატზე ვიჭიდავებ.

ირაკლი თავაძე



ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## კალაშნიკოვას დუბაის მოგება შეუძლია

19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** (180) შეუძლია სეზონი ტიტულით დაასრულოს - ის დუბაის რიგით მე-11, ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის (75 ათასი $) ფინალშია გასული. ოქსანამ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ერთეულთა თანრიგში ვერა, მაგრამ წყვილებში იყოჩაღა. ჩვენი თანამემამულე გერმანელ **იულია გორგესს** (77) შეუწყვილდა, ორგანიზატორებმა ისინი მე-4 ნომრად განთესეს. პირველი რაუნდის მოგების შემდეგ ოქსანამ და იულიამ მეოთხედფინალში „უაილდ ქარდით" მიწვეული სერბები, **ბოიანა იოვანოვიჩი** (150) და **ვოისლავა ლუკიჩი** დაამარცხეს - 6:4, 6:2. ნახევარფინალში ქართულ-გერმანული გუნდი საკმაოდ ძლიერ რუსულ დუეტს დაუპირისპირდა, რომელშიც ევგენია **როდინა** (104) და ქსენია **ლიკინა** (199) შედიოდნენ. დრამატული შეხვედრა მესამე სეტში ოქსანას და მისი მეწყვილის სასარგებლოდ გადაწყდა - 3:6, 6:2, 13:11.

ტურნირის ფინალში ჩვენებურს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ელის, პირველ ნომრად განთესილი ჩეხები, **ვლადიმირა უჰლიროვა** (წყვილებში, 64) და **რენატა ვორაჩოვა** (126). შეგახსენებთ, რომ ოქსანა კალაშნიკოვა წყვილთა თანრიგში მსოფლიოს 146-ე ჩოგანია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## მილოცვა

საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ „სპორტის აკადემიის" თანამშრომლები დაბადებიდან საიუბილეო თარიღს ულოცავენ პედაგოგიკის ვეტერან ლექტორს, პროფესორ ლუბა ბიბილეიშვილს.




www.sport.gov.ge

ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩუნქერიდან ამომძვრალნი

*ნაწილი მესამე, 2005 წელი*

## გადავიჩეხეთ

მეფე წავიდა, გაუმარჯოს მეფეს, - ეს ფრაზა საკალათბურთო საქმეში არ გამოდგება, რადგან მწვრთნელის შეცვლას დიდი დრო სჭირდება. თავად განსაჯეთ: **დრაჟენ ბრაიკოვიჩის** წასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრების პოსტი შვიდი თვის განმავლობაში ვაკანტური იყო...

მოკლედ, 2004 წლის 1 ნოემბრიდან (ბრაიკოვიჩის დათხოვნის თარიღი) 2005 წლის 30 ივლისამდე (**გორდონ ჰერბერტის** დანიშვნა) მომავალ, უცნობ სპეციალისტზე იმდენი ვწერე, ეს სტატიები ერთად რომ შეგვეკრიბა, „მსუქანი" წიგნი გამოვიდოდა. დღეს 2005 წლის სანაკრებო ამბებისთვის ერთი გვერდი გვაქვს და ამიტომ, მწვრთნელის ძიება წნეხში უნდა გავატაროთ და მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტები გამოვწუროთ.

თებერვლის შუაში **ნუგზარ კანდელაკმა** საუბრისას ხინკალი ახსენა, მითხრა, შენ რომ ამბობ, ისეთი მეხინკლე გვინდაო...

ვიდრე მწვრთნელის სიტყვები გაგაკვირვებდეთ, მოგახსენებთ, რომ 9 თებერვალს ნაკრების მომავალ მწვრთნელზე პირველ სტატიაში დავწერე: *„ხინკლებივით პირმოკრული უმი (სანაკრებო გამოცდილებისა და ასაკის მიხედვით) კალათბურთელები დრაჟენ ბრაიკოვიჩმა მდუღარე წყალში იმ იმედით ჩაყარა, რომ 6 წუთში (6 მატჩში) მოიხარშებოდნენ და მეშვიდე-მერვე წუთზე (პლეი ოფები) ქვაბიდან გამზადებულებს ამოყრიდა. თუმცა, ქართულ ლუმელთან მდგომ ბრაიკოვიჩს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და თავისი საქმე ნაადრევად დატოვა.*

*ქვაბის პატრონი, კალათბურთის ფედერაცია ცაიტნოტში აღმოჩნდა - სასწრაფოდ ახალი მეხინკლის მოძიება გახდა საჭირო, თანაც გამოცდილის, საქმის მცოდნისა და კარგი ფსიქოლოგის. სწორედ ისეთის, ხინკლის ჩაშლას რომ აგვაშორებს და A დივიზიონში (სინზე) ამოჰყრის."*

კალათბურთის ფედერაცია ასეთ მწვრთნელს მთელ დუნიაზე სანთლით ეძებდა...

...დაუკავშირდა **ეტორე მესინას** (ახლა „რეალს" წვრთნის), რომელმაც ზრდილობიანად შემოუთვალა: ბავშვი შემეძინა და მინდა ეს ზაფხული ოჯახს დავუთმო, ნაკრებზე სხვა დროს ვილაპარაკოთო.

...დაუკავშირდა **ვესელინ მატიჩს**, რომელიც 2005 წლის მარტში თბილისში გვეწვია. ამ სპეციალისტმა ახლახან საქართველოში სამწვრთნელო სემინარი გამართა და ნაკრებში მისი არდანიშვნის შესახებ თქვა:

*- მაშინ თქვენ ქვედა ლიგაში იყავით, ძალიან ახალგაზრდული გუნდი გყავდათ. იმ მომენტში პოლონეთის ნაკრების თავკაცად მუშაობა ვარჩიე...*

...დაუკავშირდა გორდონ ჰერბერტს. თებერვალში ფრანგული „დიჟონის" კაპიტანმა **ვატო ნაცვლიშვილმა** მითხრა: ფედერაციის ხელმძღვანელობა საფრანგეთში იყოო... მაშინვე გადავურეკე **გიორგი მამაცაშვილს**, რომელიც „პარიზის" მეორე გუნდში თამაშობდა. მისგან შევიტყვე, რომ ფედერაციის წარმომადგენლები „პარიზსაც" სტუმრებიან. ჰოდა, დავწერე: საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი პარიზელთა მწვრთნელი გორდონ ჰერბერტია-მეთქი. თუმცა, იქვე მითხრეს: რა ატამი, რის ატამი! რა ჰერბერტი, რის ჰერბერტიო!..

მარტმა და აპრილმაც სიახლეების გარეშე ჩაიარა. ამასობაში **შემონდ უილიამსი** ფიბა-ს ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელი გახდა, ხოლო მილუოკელმა **ზაზა ფაჩულიამ** NBA-ში თავისი მეორე სეზონი გაძევებით დაასრულა. საქართველოს ჩემპიონატი „სტუ-ჯეოსელმა" მოიგო, ხოლო პირველობის MVP გიორგი მარკოიშვილი გახდა.

## მართლა ჰერბერტი ყოფილა

...ზაფხულის დადგომას ორიოდე დღე უკლდა, როცა კალათბურთის ფედერაციამ გამოაცხადა: ნაკრების მთავარ მწვრთნელად გორდონ ჰერბერტს ვნიშნავთო.

იმავე დღეს გორდონმა ინტერვიუში მითხრა:

*- ამ შემადგენლობით ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრას რომ არ ვფიქრობდე, კონტრაქტს ხელს არ მოვაწერდი.*

...გაიხსენეთ, რა თქვა ბრაიკოვიჩმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე. მის ფრაზებშიც სიტყვები - „ევროპა" და „ჩემპიონატი" ერია.

3 ივნისს ფედერაციის პრეზიდენტმა, **ბესიკ ლიპარტელიანმა** ახალი მწვრთნელი ასე დაახასიათა:

*- საქართველოს ნაკრებს ჰერბერტის მსგავსი მწვრთნელი სჭირდებოდა - მზარდი, პერსპექტიული, გამოცდილი, მცოდნე და გულიანი...*

თბილისში ექვსწლიანი შესვენების შემდეგ **ვლადიმერ სტეფანია** ორი ყავარჯნით ჩამოვიდა. ვოვა, **ნიკა ცქიტიშვილი, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე და ზაზა ფაჩულია** 7 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო...

13 ივნისი. ბატონი გორდონი თბილისში გამთენიისას ჩამოფრინდა და 12 საათზე გამართულ პრესკონფერენციაზე გვითხრა:

*- მჯერა, ნაკრები ისეთ კალათბურთს ითამაშებს, ქართველ ქომაგს რომ გაუხარდება...*



გორდონ ჰერბერტი

15 ივნისს, დილას, მეტრო „300 არაგველის" გაჩერებაზე ამოვედი და ქვემოთ დავეშვი. ჩემს წინ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ბადრი პატარკაციშვილთან** შესახვედრად საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრები, მწვრთნელი და ფედერაციის ხელმძღვანელები შევიდნენ. მეორე დღეს გაზეთში ეწერა: „მიზანი - პეკინი 2008!".

მოკლედ, ეროვნული გუნდის ოფიციალური მატჩების წინ „საკალათბურთო ამინდი იდგა".

## მოიღრუბლა

ამინდი 27 ივნისს გაუარესდა: შევიტყვეთ, რომ **მანუჩარ მარკოიშვილს** კოჭის ოპერაცია სჭირდებოდა. ცა კიდევ უფრო მოიღრუბლა, როცა **ვიქტორ სანიკიძემ** მითხრა:

*- სან ანტონიოში ექიმებმა გამსინჯეს და მითხრეს: ან მუხლებზე ოპერაცია უნდა გაიკეთო, ან 6 თვე დაისვენო. მეორე ვარიანტი ვარჩიე. სამწუხაროდ, ნაკრებს ვერც წლეულს დავეხმარები...*

25 ივლისს ნაკრების მეორე მწვრთნელმა ნაკრების წევრები შეკრიბა და იტალიისთვის მზადებას შეუდგა. აპენინებზე წავიდნენ: **ვლადიმერ ბოისა, ანატოლი ბოისა, ირაკლი ბერიშვილი, ირაკლი კეიდია, გიორგი მდივანი, დავით იმნაძე, ლაშა გამყრელიძე, დაჭით საყვარელიძე, გიორგი ცინცაძე, შიო ხეცურიანი, დავით უგრეხელიძე, გიორგი მარკოიშვილი.**

26 ივლისის გაზეთ „სპორტში" გორდონ ჰერბერტის გამაკრიტიკებელი პირველი სტატია გამოჩნდა: *„ჰერბერტი დაგვპირდა, ივლისის ბოლოს შეკრებას მოვაწყობ და საუკეთესოებს იქ გამოვავლენო. დაპირება დაპირებადვე დარჩა. არც მისი ასისტენტი კენ შილდსი ჩანს და თურმე, არც შესარჩევი შეკრება შედგება. აგვისტომდე ის ივარჯიშებს, ვინც იტალიაში წავა. საწვრთნელი შერჩევა თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ არის კიდევ რამდენიმე კალათბურთელი (თუნდაც კოტე ტულუში), რომელიც გასინჯვას იმსახურებდა."*

2005 წლის 20 აგვისტოს ტულუშთან ინტერვიუ გამოვაქვეყნეთ სათაურით: „შერჩევა არასწორი იყო, ბევრი კარგი მოთამაშე დაიჩაგრა". გავა ერთი წელი, კოტე ტულუში გორდონ ჰერბერტის ნაკრებში მოხვდება და მწვრთნელი გაიკვირვებს: ეს კაცი აქამდე რატომ არ მანახვეთო?

...კი არ უნდა ენახვებინათ, თვითონ უნდა ენახა.

## ბორმიოს კურორტზე

ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრები იტალიაში გაფრინდა, საკურორტო დაბა ბორმიოში დაბინავდა და ტურნირის დაწყებამდე ორი ამხანაგური მატჩი გამართა.

5 აგვისტოს მასპინძელ იტალიას ვეთამაშეთ. ანგარიშს ნუ იკითხავთ: 112:48. ამ შეხვედრაზე მეტს არაფერს ვიტყვით.

6 აგვისტოს „დიდი" გამარჯვება მოვიპოვეთ: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მინიმალური სხვაობით დავამარცხეთ.

**საქართველო-ცენტრ. აფრიკა 54:53**

17:11, 13:10, 15:11, 9:21

საქართველო: გამყრელიძე (7ქ, 4ჩ, 2მ, 2ვ), გ. მარკოიშვილი (6ქ, 1მ), ა. ბოისა (1ქ, 2მ), ვ. ბოისა (11ქ, 5მ, 4ჩ, 1ვ, 1დ), იმნაძე (9ქ, 3მ); ცინცაძე (10ქ, 2ჩ, 1მ), მდივანი (5ქ, 3მ), ი. ბერიშვილი (3ქ, 1მ, 1ჩ), უგრეხელიძე (2ქ, 3მ, 2ჩ), კეიდია (2მ), ხეცურიანი, საყვარელიძე

...სირენამდე 10 წამით ადრე აფრიკელთა ცენტრი საჯარიმოს ხაზთან დადგა, ორივე ტყორცნა ააცილა და წაგებას გადავრჩით.

ვიდრე სხვები იტალიაში თამაშობდნენ, ზაზა ფაჩულიამ „ატლანტასთან"' ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, შემონდ უილიამსი „ბარსელონაში" გადავიდა, ხოლო ნიკა ცქიტიშვილი - „მინესოტაში".

მოვიდა 11 აგვისტო და ოთხგუნდიან ტურნირზე მეზობლებს შევერკინეთ:

**თურქეთი-საქართველო 75:46**

15:15, 22:2, 24:15, 14:14

საქართველო: გამყრელიძე (5ქ, 3ვ, 2მ, 1ჩ), გ. მარკოიშვილი (10ქ, 6მ, 1ჩ), ა. ბოისა (2ქ, 3მ), ვ. ბოისა (6ქ, 3მ, 2ჩ), მდივანი (2ქ, 1მ, 1ჩ), ცინცაძე (8ქ, 3მ, 1ვ, 1ჩ), უგრეხელიძე (6ქ, 1მ, 3ჩ), იმნაძე (2ქ, 4მ, 2დ), ი. ბერიშვილი (3ქ), ხეცურიანი (1მ, 2ჩ), საყვარელიძე (2ქ, 1მ)

მატჩის მიმოხილვაში საინტერესო ამბავია მოთხრობილი: *„სირენამდე 53 წამით ადრე ფათიჰ სოლაქმა შიო ხეცურიანს ბურთი განზრახ სახეში მოარტყა, პასუხად ქართული მუშტი მიიღო. ატყდა ერთი ამბავი, ორივე გუნდი მოედანზე შევარდა და როცა სიტუაცია დაწყნარდა, ორივე მხარის შეთანხმებით მატჩი აღარ გაგრძელებულა."*

12 აგვისტოს ისევ იტალიას ვეთამაშეთ და ვათქმევინეთ: დაცვაზე უმუშავიათო...

**იტალია-საქართველო 80:51**

20:10, 29:16, 14:9, 17:16

საქართველო: გამყრელიძე (10ქ, 2ვ, 7მ, 1ჩ), ა. ბოისა (3ქ, 1მ, 1ვ), ვ. ბოისა (3ქ, 4მ), ცინცაძე (14ქ, 3მ, 4ჩ), უგრეხელიძე (11ქ, 4მ, 1ვ, 1ჩ), მდივანი (7ქ, 3მ, 2ჩ), ხეცურიანი (1მ, 1დ), საყვარელიძე (1ჩ), იმნაძე, კეიდია (3ქ, 1ჩ)

12 აგვისტოსაც წავაგეთ, ტურნირზე ბოლო ადგილი დავიკავეთ და მას შემდეგ იტალიას ამხანაგურ შეჯიბრებაზე აღარ მივუწვევივართ.

**ბულგარეთი-საქართველო 79:56**

13:13, 19:12, 14:18, 23:13

საქართველო: გამყრელიძე (7ქ, 2მ, 2ჩ), ა. ბოისა (5ქ, 1ვ, 1ჩ), ვ. ბოისა (12ქ, 8მ, 3ვ, 1დ), კეიდია (2ქ), უგრეხელიძე (3ქ, 3მ, 1ჩ), ცინცაძე (5ქ, 3მ, 3ვ, 1ჩ, 1დ), მდივანი (9ქ, 6მ, 1ჩ), ხეცურიანი (11ქ, 3მ, 2ვ, 4ჩ), საყვარელიძე (1ვ, 1ჩ), გ. მარკოიშვილი (3ქ, 2მ), იმნაძე (2ქ, 3მ)

იტალიაში გამართული ხუთი მატჩი გორდონ ჰერბერტმა ასე შეაფასა: *- კატასტროფული შედეგია, თუმცა შეტევა წინ წასულ დაცვას მაშინ დაეწევა, როცა ფაჩულია, ცქიტიშვილი და უილიამსი შემოგვიერთდებიან.*

## ნოვიცკი და ბელარუსი

16 აგვისტოს ქართველები ფრანკფურტში გაფრინდნენ, სადაც კიდევ უფრო სერიოზული მეტოქეები ელოდნენ: გერმანია, საბერძნეთი და ბელარუსი.

18 აგვისტოს ნაკრებს ატლანტიდან ფაჩულია შეუერთდა. ბრაუნშვაიგის ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გერმანიაში ნიკა ცქიტიშვილი ჩავიდა.

გერმანიის ტურნირზე საუკეთესო მატჩი, 25 აგვისტოს, მომავალ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთთან ჩავატარეთ:

**საბერძნეთი-საქართველო 82:71**

21:22, 18:16, 26:14, 17:19

საქართველო: გამყრელიძე (7ქ, 1ვ, 5მ, 1ჩ), ა. ბოისა (9ქ, 4მ, 3ვ, 1ჩ), ცინცაძე (8ქ, 2მ), ვ. ბოისა (24ქ, 11მ, 2ვ), უგრეხელიძე (15ქ, 1მ, 1ვ, 1ჩ, 1დ), მდივანი (3მ), ხეცურიანი (6მ, 3მ, 1ვ), საყვარელიძე (3მ), იმნაძე, კეიდია (2ქ), გ. მარკოიშვილი (2მ, 1ჩ)

ფაჩულიას კოჭის ტრავმის გამო არ უთამაშია.

26 აგვისტოს გერმანელ ვარსკვლავ **დირკ ნოვიცკის** ვოვა ბოისა ეთამაშებოდა და მასპინძელთა მწვრთნელის, **დირკ ბაუერმანისგან** კომპლიმენტიც დაიმსახურა:




*- დღეს ძალიან მომეწონა ბოისა, რომელიც ნოვიცკის (15 ქულა ჩააგდო) მეურვეობდა. დირკის წინააღმდეგ ასე თამაში იოლი არ არის.*

**გერმანია-საქართველო 88:54**

24:8, 19:17, 23:12, 22:17

საქართველო: გამყრელიძე (2ქ, 3ვ, 2მ), ა. ბოისა (4მ), ვ. ბოისა (15ქ, 7მ), ცინცაძე (13ქ, 3მ, 4ვ), უგრეხელიძე (15ქ, 8მ, 1ჩ), ცქიტიშვილი (7ქ, 7მ, 1ვ), მდივანი (2ქ), ხეცურიანი (2ვ, 1დ), საყვარელიძე (1მ), გ. მარკოიშვილი

მეორე დღეს ბელარუსთან წავაგეთ:

**საქართველო-ბელარუსი 57:69**

23:11, 14:29, 14:14, 6:15

საქართველო: გამყრელიძე (6ქ, 2ვ, 4მ, 2ჩ), ა. ბოისა (3ქ, 2მ, 3ვ), ვ. ბოისა (11ქ, 9მ, 1ვ), ცქიტიშვილი (6ქ, 9მ, 1ჩ, 1დ), ფაჩულია (18ქ, 10მ, 1ვ), ცინცაძე (11ქ, 2ვ), უგრეხელიძე (2ქ), ხეცურიანი (1ვ)

## ფინეთში

ვიდრე ნამდვილი ქართველები გერმანიაში თამაშობდნენ, ნატურალიზებული შემონდ უილიამსი „ბარსელონას" უფროსობას კავკასიაში გამოშვებას ეხვეწებოდა. იგი ნაკრებს 1 სექტემბერს შეუერთდა, 3 სექტემბერს კი ფინეთში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. მარცხი, ფაქტობრივად, მეორე ლიგაში ჩარჩენას ნიშნავდა, ამიტომაც მატჩისწინა ამბების მიმოხილვას დავარქვი: „ხევის პირას"...

...სამწუხაროდ, გემახსოვრებათ, რომ ფინეთმა ხევში გადაგვჩეხა, საიდანაც ამოძრომისთვის კიდევ 4 წელი დაგვჭირდა.

**ფინეთი-საქართველო 87:79**

22:24, 26:14, 18:25, 21:16

საქართველო: უილიამსი (40წთ, 21ქ, 6ვ, 3მ, 4ჩ), ცქიტიშვილი (36წთ, 23ქ, 4მ, 1ვ, 4დ), ვ. ბოისა (35წთ, 5ქ, 5მ, 1ვ), ა. ბოისა (14წთ, 2ქ, 1მ), ფაჩულია (34წთ, 22ქ, 14მ, 1ჩ), ცინცაძე (28წთ, 6ქ, 3მ), ხეცურიანი (6წთ, 1ჩ), გამყრელიძე (7წთ)

მეორე დღეს წაგების ხუთი მიზეზი ჩამოვთვალეთ: 1. ფინეთის ნაკრები, რომელიც ჩვენთან მატჩს უკეთ მომზადებული შეხვდა. 2. საქართველოს ნაკრებში კალათბურთელთა დაგვიანებული გამოცხადება. მოგვიანებით გორდონ ჰერბერტმა თქვა: ზაზა, ნიკა და შემონდი თავიდანვე რომ მყოლოდა, ფინეთს მოვუგებდითო. 3. ფინეთის დაცვა: მეტოქეები უილიამსს, ბოისას და ფაჩულიას კარგად მეურვეობდნენ, დანარჩენებს სროლის უფლებას აძლევდნენ. ხეცურიანმა და გამყრელიძემ მართლაც თავისუფალი პოზიციებიდან ააცილეს სამქულიანები, სამაგიეროდ ცქიტიშვილმა ჩააგდო 6 სამქულიანი და 23 ქულა მოუგროვდა. 4. შემონდ უილიამსის არასათანადოდ გამოყენება, რომელიც თავის საფირმო დრიბლინგებს არ ახორციელებდა. 5. მსაჯობა. როგორც წესი, მსაჯები მასპინძლებს შეუმჩნევლად ეხმარებოდნენ.

ვლადიმერ სტეფანიამ საინტერესო შტრიხები დაგვანახა:

*- რატომ გვაჯობა ფინეთმა მოხსნებში (30:38)? იმიტომ, რომ ზედმეტად ბევრი სამქულიანი ვისროლეთ (ჩვენ - 32, ფინეთმა - 21). სამქულიანის აცილებისას ფარიდან ასხლეტილი ბურთი შორს მიდის და ფარქვეშიდან მისი მოხსნა შეუძლებელია. შესაბამისად ვერ გამოვიყენეთ ზაზა ფაჩულიას სიმაღლე, მაშინ, როცა ყველაზე მაღალი ფინელი 205 სმ-ს არ აღემატებოდა.*

თბილისში დაბრუნებულმა გორდონ ჰერბერტმა თქვა:

- დამნაშავე მე ვარ!

## ნაცემი მაკედონია

6 სექტემბერს საქართველოში ჩამოსულმა მაკედონიელმა **ვრბიცა სტეფანოვმა** აღნიშნა:

*- ჩვენზე ნაკლები ნაკრები არ გყავთ, მაგრამ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენ ჯგუფიდან გასვლის დიდი შანსი გვაქვს, თქვენ - მცირე.*

მართლაც, ჩვენ მაკედონიის 8 და მეტი ქულით დამარცხება გვჭირდებოდა. ოღონდ ჯგუფიდან იმ შემთხვევაში გავდიოდით, თუ მაკედონიელები ბოლო ტურში ფინეთთან შინ წააგებდნენ.

7 სექტემბერს მაკედონიასთან ძალიან გაგვიჭირდა. მეტოქემ პირველ ტაიმში 10 ქულით გაგვასწრო და ჩვენი საშველი არ ჩანდა... 25-ე წუთზე გაბრაზებულმა ზაზა ფაჩულიამ მოედანზე მუშტიკრივი გააჩაღა, ერთი-ორი მაკედონიელი მოედანზე დაანარცხა... ზოგმა მას ეს საქციელი არ მოუწონა, თუმცა გაზეთ „სპორტში" დავწერეთ: სწორედ ზაზას ბრძოლამ გამოაფხიზლა ქართველი გულშემატკივარიცა და კალათბურთელებიც. ამ ეპიზოდს ვოვა ბოისას ორი ეფექტური ჩატენვა დაემთხვა, რამაც ტრიბუნები ააგუგუნა და ბოლო 15 წუთში მოედანზე მხოლოდ საქართველოს ნაკრები თამაშობდა.

**07.09.05. საქართველო-მაკედონია 73:60**

15:20, 16:16, 16:13, 26:11

საქართველო: უილიამსი (37წთ, 18ქ, 6ვ, 5მ), ცქიტიშვილი (34წთ, 19ქ, 13მ, 3ვ, 3ჩ), ვ. ბოისა (35წთ, 20ქ, 5მ, 3ვ, 5ჩ), ა. ბოისა (18წთ, 1მ, 3ვ), ფაჩულია (40წთ, 13ქ, 13მ, 4ვ, 1ჩ), ცინცაძე (8წთ, 1მ), გამყრელიძე (25წთ, 3ქ, 4მ, 4ვ, 1ჩ)

ამ მატჩში ერთი საინტერესო ეპიზოდი ვიხილეთ: კალათის ბადე აიკეცა და ვიდრე ვინმე მის გასწორებას მოიფიქრებდა, ფაჩულიამ თურქ მსაჯს ხუმრობით ანიშნა - აგწევ და ბადე ჩამოუშვიო.

11 სექტემბერს მაკედონიამ ფინეთი 83:70 დაამარცხა და პლეი ოფში გავიდა. საქართველომ ლუქსემბურგს უმოტივაციო მატჩში აჯობა:

**11.09.05 საქართველო-ლუქსემბ. 87:65**

24:7, 18:19, 22:19, 23:20

საქართველო: გამყრელიძე (26წთ, 5ქ, 1მ, 11ვ, 1ჩ), ცქიტიშვილი (28წთ, 8ქ, 5მ, 1ვ, 2ჩ, 1დ), ვ. ბოისა (30წთ, 25ქ, 5მ, 4ვ, 2ჩ), ა. ბოისა (23წთ, 1მ, 2ვ), ფაჩულია (31წთ, 30ქ, 21მ, 4ვ, 2ჩ, 1დ), ცინცაძე (17წთ, 4ქ, 2ვ, 1ჩ), საყვარელიძე (12წთ, 3ქ, 1ვ), კეიდია (3წთ), გ. მარკოიშვილი (9წთ, 8ქ, 1ვ, 1ჩ), უგრეხელიძე (7წთ, 2ქ, 1მ, 2ჩ), ხეცურიანი (11წთ, 1ვ), მდივანი (3წთ, 2ქ, 1ვ)

## მუხტი, მუხტი!

*- საქართველოს ნაკრების ყველა კალათბურთელი პატრიოტია, უყვარს სამშობლო, თავისი ხალხი, მოტივაციაც არ აკლია, თუმცა ფინეთთან აკლდა ემოციური მუხტი. მაკედონიასთან ეს მუხტი ხალხის გამოცოცხლების შემდეგ თითოეულ კალათბურთელს გადაეცა და ბოლო 15 წუთში ისეთი კალათბურთი ითამაშეს, ვერც ერთი გრანდი წინ ვერ დაუდგებოდა. ფინეთთანაც რომ ყოფილიყო ასეთი მუხტი...*

დასრულდა ნაკრების მატჩები და დაიწყო მწვრთნელის საკონტრაქტო საქმეებზე მუშაობა. გორდონ ჰერბერტს ხელშეკრულება 2005 წლის ბოლომდე ჰქონდა და თბილისიდან ისე წავიდა, არ დაუბარებია, აპირებდა თუ არა კონტრაქტის გახანგრძლივებას.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ინტერვიუ რიჩი დიქსონთან

# ყველაზე დიდი პრობლემა სპორტული მედიცინაა



შოტლანდიელი სპეციალისტი რიჩი დიქსონი ქართველ ახალგაზრდა სპეციალსტთა ჯგუფთან ერთად რაგბის განვითარების პროგრამაზე მუშაობას განაგრძობს. ახლახან მათ ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამის პრეზენტაცია გამართეს. სამომავლო გეგმები, რეგიონების შემდეგ, თბილისური კლუბების მწვრთნელებსაც გააცნეს. საქმიანობის განვლილი ეტაპებისა და მომავლის გეგმების შესახებ რიჩი დიქსონს ვესაუბრეთ.

- მოხარული ვარ, რომ სამუშაო ჯგუფთან ერთად რეგიონებში რამდენჯერმე გავედით. ადგილობრივ მწვრთნელებს ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამის შესახებ მოვუთხრობდით. აბსოლუტურად ყველა შეხვედრას ვესწრებოდი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი მწვრთნელების რეაქციით, მათი დაინტერესებით.

ჩვენი მიზანია, პროგრამა რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს. მიმდინარეობს ვარჯიშების ვიდეოფირზე გადაღება. სახელმძღვანელოებთან ერთად მწვრთნელებს კომპაქტდისკებსაც დავურიგებთ. ეს მათ დაეხმარებათ პროგრამის სრულყოფილად აღქმაში.

**- ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამაზე შოტლანდიაშიც გიმუშავიათ. ყველა გამოსვლასა თუ ინტერვიუში მუდამ ხაზს უსვამთ, რომ პროგრამა, რომელიც ამჟამად შეიმუშავეთ, არის მთლიანად ქართულ რეალობაზე დაყრდნობით მომზადებული. რით განსხვავდება ერთმანეთისგან თქვენი შექმნილი შოტლანდიური და ქართული პროგრამები?**

- უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ შოტლანდიის რაგბის განვითარების ისტორია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართულისაგან. რაგბის თამაში უამრავი, სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობაა და საჭიროა მისი, მოცემული ქვეყნის სპეციფიკისადმი მორგება.

თამაშის საბაზო ელემენტები, ცხადია, ერთნაირია. განსხვავებულნი მხოლოდ შემსრულებლები არიან, რომლებამდეც ეს ელემენტები უნდა მივიტანოთ. ქართულ რაგბიში არსებული მდგომარეობის კვლევისას, სწორედ ამას ვაქცევდით განსაკუთრებულ ყურადღებას.

**- რით განსხვავდება ერთმანეთისგან თქვენ მიერ შემუშავებული და საქართველოში აქამდე არსებული წვრთნის მეთოდები?**

- წამყვან სარაგბო ქვეყნებში წვრთნისას მთავარი ფიგურა არის აღსაზრდელი და არა აღმზრდელი. მოთამაშე აქტიურად მონაწილეობს ვარჯიშის პროცესში. ის არ არის მხოლოდ მითითებების შემსრულებელი. აქიდან გამომდინარე, როცა ბავშვი ზრდასრული ხდება ის თავდაჯერებული, თამაშის საკუთარი ხელწერის მოთამაშედ ყალიბდება.

თანამედროვე რაგბი მაღალი ტემპებით ვითარდება. მორაგბეებს სწრაფად უწევთ გადაწყვეტილებების მიღება, საფიქრი მეტი აქვთ. ამიტომ, მოთამაშეს სქემატურად რაც უფრო უკეთ ესმის მის ირგვლივ რა ხდება, მით უფრო სწრაფია მისი რეაქცია. სწორედ ამ თვისებების განვითარებას გულისხმობს ჩვენ მიერ შემუშავებული წვრთნების მეთოდიკა.

**- თქვენი პროგრამის ამოქმედების შემდეგ, რამდენად სწრაფად მივიღებთ შედეგს?**

- პროგრამა გრძელვადიანია. მყისიერად რაიმე ხელშესახებ შედეგს, ცხადია, ვერ მივიღებთ. ერთადერთი, რასაც მოკლე ვადაში მივაღწევთ ისაა, რომ ვნახავთ, თუ როგორ მჭიდროდ ითანამშრომლებენ მწვრთნელები და ბავშვები. მათი პასუხისმგებლობის გრძნობა საგრძნობლად გაიზრდება.

ამასთან, პროგრამის განხორციელებაში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ სტაჟიანი მორაგბეებიც, რათა ახლებურად დაინახონ, გაითავისონ რაგბის თამაშის ჩვენეული გაგება. პროგრამის რეალიზების სხვადასხვა ეტაპზე, მუდმივად მივცემთ საჭირო მითითებებს მწვრთნელებს. ჩვენთვის მთავარია, ქართული რაგბის ოჯახმა დაინახოს, რომ რაგბის კავშირი მზადაა ყველაფერი გააკეთოს, რათა ისინი განვითარდნენ, კვალიფიკაცია აიმაღლონ, სერიოზულ შედეგებს მიაღწიონ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამის გარდა, სხვა პროექტების შექმნაზეც აპირებთ მუშაობას?**

- დიახ, ასეა. ქართული რაგბის მდგომარეობის კვლევისას დავინახეთ, რომ ყველაზე დიდი პრობლემა სპორტული მედიცინა და ფიზმომზადების სპეციალისტთა დეფიციტია. ეს მარტო რაგბის პრობლემა არ არის. ამ მხრივ მთლიანად ქვეყანაშია ძალიან ცუდი მდგომარეობა.

ჩვენ გვინდა სიტუაციიდან გამოსავალი ვიპოვოთ. როგორც კი ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამის შექმნას ბოლომდე მივიყვანთ, სპორტული მედიცინისა და სპორტის თეორიის განვითარების პროგრამაზე დავიწყებთ მუშაობას. ჩვენი ჯგუფისთვის ეს ერთი, ძალიან დიდი პროექტი იქნება. ყოველივე ამის გარეშე თანამედროვე სპორტში, რაგბიში მაღალ მიზნებზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ქართული რაგბის სწორად განვითარდეს, აქ, ადგილზე შეიქმნას საუკეთესო პირობები მორაგბეების ზრდისა და პროფესიული სრულყოფისთვის.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ტყვიის სროლა

საქართველოს თასი

# სალუქვაძეს ვინ აჯობებს?

გუშინ **ნინო სალუქვაძის** ტირში საქართველოს თასის გათამაშება დაიწყო, რომელშიც მხოლოდ თბილისელი და ქუთაისელი მსროლელები გამოდიან, რადგან სხვაგან სპორტის ეს სახეობა თითქმის აღარც შემორჩა. პირველ დღეს მედლები ქალებმა და ვაჟებმა გაითამაშეს. ცხადია, შეჯიბრება თბილისელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ორი მედალი ქუთაისელებმაც დაისაკუთრეს. მათგან განსაკუთრებით ალსანიშნავი ახალგაზრდა **დავით სულაქველიძის** წარმატებაა, როგორც ახალი კადრისა. სულაქველიძემ ახალგაზრდათა შორის ბრინჯაო მოიპოვა 550 ქულით. ჩემპიონი თბილისელი **ჯუმბერ ოქრუაშვილი** გახდა - 554, მეორეზე კი მისი თანაგუნდელი **ბექა გოგინაშვილი** გავიდა 551.

ქალებში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა - 484 ქულა. ვერცხლი ქუთაისელ **ნინო უჩაძეს** ერგო - 469, ბრინჯაო - თბილისელ **დიანა ბერძენიშვილს** - 468,4. იგი ძველი თაობის მსროლელია და ახლა დაუბრუნდა სპორტს.

ტურნირი გოგოებისა და უფროსი ასაკის ვაჟების შეჯიბრებით დღეს დამთავრდება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი



# ლა სკალაში მღეროდა ქართველი...

მოსკოვში დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წრიული სისტემით სხვადასხვა ქვეყნის 10 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორისაა ბათუმელი **სალომე მელია**. ოთხი ტურის შემდეგ მას 2.5 ქულა აქვს - ორი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და ერთიც წააგო.

- მილანში კარგად ვიასპარეზე, - მითხრა სალომე მელიამ, რომელიც რუსეთის დედაქალაქიდან შეგვეხმიანა. - იტალიაში ედუარდო კრესპის თასის გათამაშებას დიდი ხნის ისტორია აქვს. წლეულს ის 99-ედ გაიმართა. 9 შესაძლებლიდან 6 ქულით მეშვიდე-მეათე ადგილები გავიყავი, ქალებში კი პირველი ადგილი დავიკავე.

მილანში ყოფნისას უდიდესი მუზეუმი დავათვალიერე, სადაც შემთხვევით გავიცანი ჰოლივუდის მსახიობი დენი დე ვიტო, რომელიც მეგობრებთან ერთად ჭადრაკის დიდ ფიგურებს ეძებდა. რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი, მამცნო, რომ ლა სკალას ოპერის თეატრში კარმენის პარტიას ქართველი მომღერალი ასრულებდა. მართალია, ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული, მაგრამ იტალიელი მეგობრების დახმარებით მაინც მოვახერხე კარმენის ნახვა. მთავარ როლში ანიტა რაჭველიშვილი ვიხილე. თეატრიდან კმაყოფილი და ამაყი წამოვედი.

რაც შეეხება მოსკოვის ასპარეზობას, ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. შეჯიბრების დამთავრებამდე 6 ტური დარჩა. ვეცდები, სატურნირო მდგომარეობა და რეიტინგი გავიუმჯობესო.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

# ბენიძე და ნიგალიძე ლიდერის ტვირთით

წლეულს ზაფხულს უცხოეთში გამართულ საჭადრაკო ტურნირებზე საერთაშორისო ოსტატებმა - **ნიკოლოზ შავთვალაძემ** და **ბაჩანა მორჩიაშვილმა** არაერთხელ ისახელეს თავი. აი, საქართველოს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებაზე კი მათ თამაში არ აეწყოთ. გუშინ მე-4 ტურში მორჩიაშვილი თეთრი ფიგურებით **ზვიად ფაციასთან** დამარცხდა და მონაგარში მხოლოდ ქულა-ნახევარი აქვს. შავთვალაძემ ნახევარი ქულით მეტი მოაგროვა იმის ხარჯზე, რომ მე-4 ტურში **გიორგი ხელაიას** დაუზავდა. სამაგიეროდ, ტურნირზე 18-წლიანებში წლევანდელი ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი **დავით ბენიძე** ყოჩაღობს. გუშინ მან ზედიზედ მეოთხე მეტოქე დაამარცხა - ამჯერად **ნიკოლოზ ჩხაიძეს** აჯობა. მსგავს წარმატებას მიაღწია **გაიოზ ნიგალიძემ**, რომელმაც შავებით **შოთა აზალაძე** აიძულა, რომ დანებებოდა.

ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **სოფიო გვეტაძე** და **დავით ლომსაძე**. სოფიომ **ლუკა პაიჭაძე** დაჯაბნა, ლომსაძემ კი სეხნია **დავით მალალაშვილთან** გაიყო ქულა. 9 მოჭადრაკემ 3-3 ქულა მოაგროვა.

დღეს მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **გაიოზ ნიგალიძე (4)-დავით ბენიძე (4), დავით ლომსაძე (3,5)-სოფიო გვეტაძე (3,5), დავით მალალაშვილი (3)-ნოდარ ლორთქიფანიძე (3), ირაკლი ჯანიაშვილი (3)-შოთა აზალაძე (3), ზურაბ ჯავახაძე (3)-ნიკოლოზ ჩხაიძე (3), ზვიად ფაცია (3)-მიხეილ ჯამაგიძე (3), ოთარ ჯირკვალიშვილი (3)- მალხაზ სულაშვილი (2,5), ბეგლარ ჯობავა (2,5)-ირაკლი ბერაძე (2,5), ლუკა პაიჭაძე (2,5)-გიორგი ნიკოლაშვილი (2,5), ალექსანდრე ყაშაშვილი (2,5)-ბექა ფიფია (2,5).**

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# სამი მოგება ერთი მარცხის წილ



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები (**ზურაბ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ნამორაძე, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი, გურამ კოტარია, ტატო ნიკოლეიშვილი, სანდრო რუსიშვილი, ნოდარ რაფავა, ბექა ქავთარაძე, ლუკა ტუკვაძე, ლევან ყავლაშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, იოვან პოპოვიჩი.** მწვრთნელები - **ზვიად დავითიანი** და **მირიან ასათიანი**, მსაჯი - **ირაკლი კიკალიშვილი**) 15 დეკემბრიდან უკრაინის ლია ჩემპიონატის პირველ წრეში ჩაება. შეჯიბრებაში 10 გუნდი მონაწილეობს: A ჯგუფში - მარიუპოლის „ილიჩივეცი", სევასტოპოლის ნაკრები, კიევი, დნეპროპეტროვსკი და მინსკი; B ჯგუფში - ბმკ ხარკოვი, ლვოვის „დინამო", ხპი ხარკოვი, საქართველო და მოლდოვა.

ჩვენმა სპორტსმენებმა სამი მატჩი მოიგეს და ერთიც დათმეს. პირველ დღეს სევასტოპოლის ნაკრები დაამარცხეს 12:9, შემდეგ მარიუპოლის „ილიჩივეცს" ორი ბურთის სხვაობით (8:10) დანებდნენ. სამაგიეროდ, მესამე ტურში „მინსკთან" მიაღწიეს წარმატებას - 14:11, გუშინ კი „კიევს" აჯობეს 13:8 და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს. ტურის ბოლო მატჩს ქართველი წყალბურთელები დღეს „დნეპროპეტროვსკთან" გამართავენ.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# იასონის მორიგი ტიტული


იასონ აბრამაშვილი

21 წლის **იასონ აბრამაშვილი** შესაშურ ფორმაში ეგებება ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც ორ თვეში ვანკუვერში ჩატარდება. ბორმიოში ზედიზედ ოთხი შეჯიბრების მოგების შემდეგ, მან უფრო მაღალი რანგის (FIS-ის ეგიდით) ტურნირში იმარჯვა - ავსტრიულ კლაუსბერგში გიგანტური სლალომი გაიმართა, რომელშიც 150-ზე მეტმა სამთო მეთხილამურე მონაწილეობდა. იასონმა ორი ჩამოსრიალების ჯამში 1:50,65 წუთი დახარჯა, ყველას აჯობა და 32,61 სარეიტინგო ქულა მიიღო. მან თითქმის წამით აჯობა მე-2 ადგილზე გასულ **ტომაშ სოვიჩს** (სლოვენია). კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კიდევ ერთი სლოვენიელი გავიდა, **ტილენ დებელაკი**. მეოთხე ადგილი ქართველ **ალექსი ბენიანიძეს** ხვდა მისთვის საოცარი შედეგით - 1:52,63 წუთი. 21-ე ადგილზე **კოტე ვახტანგიშვილი** გავიდა, ხოლო **ვახტანგ თედიაშვილმა** მეორე ცდა ვერ ჩაამთავრა.

მეორე დღეს კლაუსბერგში კიდევ ერთი გიგანტური სლალომი გაიმართა (კვლავ FIS-ის ეგიდით). სამწუხაროდ, ამჯერად იასონს პირველ ცდაზე მოეცარა ხელი, ისევე როგორც ბენიანიძეს. ვახტანგ თედიაშვილი 25-ე ადგილზე გავიდა, კოტე ვახტანგიშვილი კი 28-ე იყო.

კლაუსბერგში ქალთა შეჯიბრებაც გაიმართა, პირველ გიგანტურ სლალომში **ნინო ნიკლაურმა** 35-ე ადგილი დაიკავა, მეორე დღეს 42-ე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტის სახეობათა ისტორია



### მძლეოსნობა

მძლეოსნობა კაცობრიობის ისტორიის ადრეულ პერიოდში ჩაისახა. უძველესი ცნობა მორბენალთა შეჯიბრების შესახებ ძვ. წ. 3800 წლით თარიღდება (ეგვიპტე, მემფისი). ძველ ინდურ იარაღთა წიგნში (ძვ. წ. 1400) დაწვრილებით არის აღწერილი სამხედრო ვარჯიშები. მათ შორის რბენა და ხტომა. სავარაუდოა, რომ უკვე ძვ. წ. პირველ ათასწლეულში მძლეოსნობა (რბენა, ხტომა, ტყორცნა) ყველა კონტინენტზე იყო გავრცელებული და მრავალი მიმდევარიც ჰყავდა.

ჰომეროსის „ილიადაში" ვრცლად არის აღწერილი ტროას ბრძოლების გმირების - აქილევსის, აიაქსის, ოდისევსის შეჯიბრება რბენასა და შუბის ტყორცნაში. მძლეოსნობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საბერძნეთს. ანტიკური ოლიმპიური და დელფური თამაშების საფუძველს თანამედროვე მძლეოსნური სახეობები შეადგენდა. ძველბერძნული ოლიმპიადის პირველი ჩემპიონი (გვარად კოროიბოსი) მორბენალი იყო. ეგეოსის ზღვის ერთ-ერთი კუნძულის მიუვალ კლდეზე ნაპოვნია წარწერა: „თუ გსურს, ძლიერი იყო - ირბინე.; თუ გსურს, ლამაზი იყო - ირბინე; თუ გსურს ჭკვიანი, იყო - ირბინე". საბერძნეთში აღმოჩენილ უძველეს ვაზებზე, ამფორებსა და მედალიონებზე აღბეჭდილია მძლეოსანთა - მორბენალთა, მხტომელთა, მტყორცნელთა შეჯიბრებების ამსახველი სურათები.

თითოეულ მძლეოსნურ დისციპლინას თავისი ისტორია აქვს.

## პირველები...

### ჩემპიონი შიშველი მუშტით

ვინ არის პირველი ჩემპიონი კრივში? სპორტის ისტორიის მკვლევრებმა დიდი ხნის ძიების შემდეგ დაადგინეს, რომ პირველ ჩემპიონად აღიარებულ უნდა იქნეს ლონდონელი **ჯეიმს ფიგი**. ფიგს საკუთარი საფარიკაო სკოლა ჰქონდა და ერთ მშვენიერ დღეს იგი კრივის სკოლად გადააკეთა. თავად მართავდა შიშველი მუშტით ბრძოლას. ეს მოხდა 290 წლის წინათ, 1719 წელს.

### საიდან იწყება სპორტული ჟურნალისტიკა?



სპორტული ინფორმაციების გამოქვეყნება ლონდონის ყოველდღიურმა პრესამ დაიწყო 1817 წლის 12 ივლისს. 1826 წელს პირველმა სპორტულმა ჟურნალისტმა დიდ ბრიტანეთში **პირსი იგანმა** დააარსა ყოველკვირეული ჟურნალი „სპორტინგ უიკლი". სპორტულ ჟურნალისტიკასაც საფუძველი ამ ქვეყანაში ჩაეყარა, მაგრამ ეს მოხდა გაცილებით ადრე - 1791 წელს ლონდონში გამოვიდა სპორტული ჟურნალი The Sporting Magazine.

## სპორტული ფილატელია





ფილატელია ბერძნული სიტყვა (**პჰილეო** - მიყვარს და **ატელეია** - გადასახადისგან გათავისუფლება) - საფოსტო მარკების შეგროვება და შესწავლა.

სპორტული თემატიკის საფოსტო მარკებზე გამოსახვას ხელი შეუწყო თვით სპორტმა, რომლის ავტორიტეტი, როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით ამაღლდა ოლიმპიური თამაშების აღორძინების შემდეგ. უკვე XX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდა სპორტისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები. დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იბეჭდება ოლიმპიური საფოსტო მარკები, თემატიკა კი წლიდან წლამდე უფრო მრავალფეროვანი ხდება. პროგრესულად იზრდება კოლექციონერთა რიცხვი. ისინი მარკებს აგროვებენ, როგორც სპორტის ცალკეულ სახეობებში, მაგალითად - „ფეხბურთი ფილატელიაში", „მძლეოსნობა ფილატელიაში"... ისე თემატურად - „ოლიმპიური ფილატელია" და ა.შ.

პირველი საფოსტო მარკა უკავშირდება აღორძინებულ პირველ ოლიმპიურ თამაშებს, რომელიც ჩატარდა ათენში 1896 წელს. მისი გამართვა, როგორც ცნობილია, ეჭვქვეშ დადგა ქვეყანაში ფინანსური კრიზისის გამო. შეწირულობები საკმარისი არ აღმოჩნდა და სწორედ ამ დროს საბერძნეთის ფილატელიის ასოციაციის პრეზიდენტმა **დემეტრის საკორაფოსმა** წინადადება წამოაყენა, გამოეშვათ ოლიმპიური საფოსტო მარკა, რომლის ნომინალური ღირებულება ჩვეულებრივ მარკებზე მეტი იქნებოდა. სხვაობა გადაირიცხებოდა თამაშების ჩატარების ფონდში. თაოსნობა აიტაცა პრესამ, მოიწონა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რის შემდეგ საბერძნეთის მთავრობის თხოვნით, 1895 წლის 15 ივლისს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი „ოლიმპიური საფოსტო მარკების გამოშვების შესახებ". ამ ღონისძიების შედეგად თამაშების ორგანიზატორებმა დამატებით 40 ათასი დრაჰმა მიიღეს. ოლიმპიადების ამაღორძინებელმა **პიერ დე კუბერტენმა** შვებით ამოისუნთქა. „ოლიმპიური მარკების გამოშვების შემდეგ ოლიმპიადის წარმატებით ჩატარება გარანტირებულ იქნა" - ეს კობერტენის სიტყვებია. 1896 წლის 6 აპრილს საფოსტო ბრუნვაში გამოჩნდა საბერძნეთის ოლიმპიური მარკების სერია ანტიკური პერიოდის სპორტსმენთა ასპარეზობის ამსახველი მომენტებით.

## ხდება, ყველაფერი ხდება

### ძალიან მოინდომა და...

IV ოლიმპიადაზე მარათონულ რბენაში იტალიელმა დორადო პიეტრიმ 41-ე კილომეტრზე უკან მოიტოვა ლიდერი. ეს სპურტი ძვირად დაუჯდა იტალიელს; სტადიონის ბილიკზე თითქმის გონდაკარგული მიბარბაცდა... გამარჯვებამდე 65 მ იყო დარჩენილი, რომ მარათონელი უგრძნობლად დაეცა... გონსმოსული იტალიელი ოცი მეტრის შემდეგ კვლავ დაეცა, ყველას გასაოცრად ისევ წამოდგა და სირბილი განაგრძო... მალე კვლავ მოეკვეთა ფეხები და პირქვე დაემხო. სპორტსმენი გონს ვერ მოიყვანეს, მხრებში შეუდგნენ და ისე მიიყვანეს ფინიშის ხაზამდე. ხანგრძლივი დებატის შემდეგ მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მისცეს პიეტრის და გამარჯვებულად ჯონ ჰეიესი გამოაცხადეს. დაჯილდოების შემდეგ დედოფალმა ალექსანდრამ თავის ლოჟაში მიიწვია იტალიელი სპორტსმენი და დიდი ოქროს თასი უბოძა, სწორედ ისეთი, როგორიც ოლიმპიურ ჩემპიონს გადასცეს.

## ოლიმპიზმი

### სასჯელი თვითნებებისთვის

გაგიგიათ ოლიმპიური ფინალური მატჩის ჩაშლის ამბავი? არადა, ასეთი რამ მოხდა 1920 წლის ოლიმპიადაზე. მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიისა და ბელგიის ნაკრები გუნდების მატჩის მეორე ტაიმის ბოლო წუთები. ჩეხები აგებდნენ ბრძოლას 0:2. როცა ისინი მიხვდნენ, რომ რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო, პროტესტი გამოუცხადეს ინგლისელ არბიტრ დუისს და თვითნებურად დატოვეს მინდორი. ცხადია, ეს ფაქტი რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იმავე დღეს გამოიტანა გადაწყვეტილება - ჩეხოსლოვაკიის ნაკრები - ოლიმპიური სულისკვეთებისთვის შეუფერებელი საქციელის გამო გათამაშებიდან მოიხსნა. მეორე პრიზიორი დამატებით მატჩში გამოვლინდა. ეს იყო ესპანეთის ნაკრები.



## ვიქტორინა

**1. იყო დრო, როცა ინგლისში აკრძალეს ქალთა ფეხბურთი, თუმცა შემდეგ ვეტო გააუქმეს. რომელ წელს ამოქმედდა აკრძალვა?**

ა - 1889 წელს
ბ - 1911 წელს
გ - 1921 წელს

**2. ინგლისის ჩემპიონატში 1977 წელს „ტორკს იუნაიტედისა" და „კემბრიჯ იუნაიტედის" შეხვედრაში დამყარდა „ანტირეკორდი"...**

ა - კემბრიჯელთა მეკარემ მოიგერია ოთხი პენალტი
ბ - „ტორკის" მცველმა თამაშის დაწყებიდან მე-6 წამზე საკუთარ კარში გაიტანა ბურთი
გ - "ტორკმა" მატჩი 7 ფეხბურთელით დაასრულა და შეხვედრა მაინც მოიგო.

**3.სად და რომელ წელს ჩატარდა მინი-ფეხბურთში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი?**

ა - ბრაზილიაში 1989 წელს
ბ - საფრანგეთში 1911 წელს
გ - პორტუგალიაში 1993 წელს

**4. ფეხბრუთის ისტორიაში მატჩის რადიორეპორტაჟი პირველად გადაიცა ლონდონში. თამაშობდნენ „ლივერპული" და „შეფილდ იუნაიტედი". რომელ წელს?**

ა - 1922 წელს
ბ - 1925 წელს
გ - 1927 წელს.

**5. ცნობილია, რომ 1991 წელს ერთ-ერთმა საფეხბურთო კლუბმა პირველმა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, დააზღვია გუნდის გულშემატკივართა კლუბის ყველა 50 ათასი წევრი. რომელ კლუბზეა ლაპარაკი?**

ა - „ვერდერზე"
ბ - „მანჩესტერ იუნაიტედზე".
გ - „ბენფიკაზე".

*პასუხებისთვის გამოიყენეთ „ლელოს" მე-2 გვერდზე საცნობარო განყოფილებაში მითითებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალება. დაგვიკავშირდით 30 დეკემბრამდე.*

## კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1.ჩოგბურთელი, რომელმაც ახლახან ავტობიოგრაფიულ წიგნში აღიარა, რომ ნარკოტიკებს ღებულობდა; 4.ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ტოპ-გუნდი; 10.საცხენოსნო სპორტის სახეობა; 11.ლონდონის "არსენალის" მწვრთნელი; 12.ლეგენდარული ინგლისელი მძლეოსანი, ამჟამად "ოლიმპიადა-2012" საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე; 13.სატანვარჯიშო იარაღი – თუჯის ორი ბირთვი, რომლებიც ერთმანეთთან მოკლე მრგვალი ტარით არის შეერთებული; 14.ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 15.წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, ამჟამად "ვესტ ჰემის" მთავარი მწვრთნელი 16.ცნობილი შვედი მოჭადრაკე ქალის კრამლინგის სახელი; 18.ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი მამაკაცი; 19.მუჰამედ ალის ნამდვილი გვარი 21.დიდი დანიელი ფიზიკოსი, რომელიც ახალგაზრდობაში ცნობილი ფეხბურთელი იყო; 23.ქართველი ძალოსანი, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; 25.დოლი გრძელ დისტანციაზე დაბრკოლებათა გადალახვით ...-ჩეიზი 27.ბილიარდის სათამაშო ჯოხი 28.ვეტერანი ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 29.ლეგენდარული ეთიოპიელი მარათონელის ბიკილას სახელი; 30.XVII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 31. ზუგდიდის ყოფილი საფეხბურთო გუნდ; 32.ვეტერანი ფრანგი შავკანიანი ჩოგბურთელი.

ვერტიკალურად: 2.შვეიცარიის ფეხბურთის გუნდი; 3.საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი; 5.ინგლისის ფეხბურთის გუნდი; 6.ფეხბურთელი, რომელსაც მეტსახელად შრეკი შეარქვეს; 7.შემოდგომის თვე 8.შვედი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი; 9.ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი; 12."მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი ერიკ კანტონას შემდეგ; 17."მილანის" მეკარე; 19.ინგლისური სპორტული გუნდური თამაში ბურთით და ჯოხებით; 20.თავისუფალი მცველი ფეხბურთში; 21.ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 22.ბრაზილიელი ფეხბურთელის-რიკარდო როჯერიო დე ბრიტოს უფრო გავრცელებული სახელი, რომელიც თარგმანში "გერმანელს" ნიშნავს; 23.რა ერქვა ცნობილ ქართველ ძიუდოისტ კიბორძალიძეს? 24.არგენტინელი ფეხურთელი; 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; 25.ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, მეტრეველის სახელი; 26.ცნობილი ფინელი ფეხბურთელის, ლიტმანენის სახელი.

*პასუხები იხილეთ ლელოს მომდევნო ნომერში*

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ*

# შაბათის სტუმარი

*რუბრიკა შაბათის სტუმარი "ლელოსთვის" ახალი არ არის. უწინ ამ რუბრიკით, მკითხველს არაერთ ცნობილ ადამიანთან შევახვედრეთ. ახლა "ლელოს" ფორმატის განახლებასთან დაკავშირებით, რუბრიკის განახლებაც გადავწყვიტეთ.*

*დღეს ჩვენი სტუმარია ევროპის 1954 წლის ჩემპიონატის "მის კალათბურთელი", კონტინენტის ორგზის ჩემპიონი, საქართველოს მოსწავლეთა, კალათბურთელ ქალთა გუნდ "ბურევესტნიკისა" და საქართველოს ნაკრების კაპიტანი ალისა ასიტაშვილი.*

# ალისა!

საშუალო სკოლის დამთავრებით გამოწვეული ვნებათაღელვის დაცხრომაც ვერ მოასწრო, თანატოლებთან ერთად რუსეთს რომ გაემგზავრა მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე. **გერონტი ბაბახანიდიმ და თამარ გეგელაშვილმა რესპუბლიკურ ნაკრებში მიიწვიეს ნელი ტოტიაშვილი, ვერა გნიოტოვა, დარეჯან გრიგალაშვილი, მერი აკოფოვა, ციალა ტატულაშვილი, მერი ბაქრაძე, ჩიტო თიბილოვა, ეთერ ჯიჯიაშვილი და ალისა ასიტაშვილი, რომელმაც შემდეგ ქართველ კალათბურთელ ქალთა მნიშვნელოვან წარმატებებს დაუდო სათავე.**

პირველსავე მატჩში ქართველები მოსკოველებს შეახვედრეს. პაექრობა დაძაბული გამოდგა. ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. ძირითადი დროის დამთავრებას წამებილა აკლდა, საბჭოეთის დედაქალაქის წარმომადგენლებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს. დამატებითი ტაიმი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ქართველმა კალათბურთელებმა ბურთი სწრაფად გაათამაშეს და მეტოქის მოედანზე მყოფ გუნდის კაპიტანს - ალისა ასიტაშვილს გადააწოდეს. თბილისელთა შვიდმა ნომერმაც არ დაახანა. შორი მანძილიდან ზუსტად ნატყორცნი ბურთი მეტოქის კალათში ჩაეშვა და თამაშისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. რუსმა გოგონებმა ერთი ვაი-უშველებელი შექმნეს, მაგრამ მსაჯებმა ვერაფერი უშველეს.

- გასახდელისკენ მიმავალი აცრემლებული მეტოქეები დაგვექადნენ, კიდევ შევხვდებით და ჯავრსაც ვიყრითო, - იხსენებს ქალბატონი ალისა ასიტაშვილი ექვსი ათეული წლის წინათ მომხდარ ამბავს. - მომდევნო ორთაბრძოლებშიც ყველას ვძლიეთ, მაგრამ ჩემპიონობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ტურნირის ბოლოს ისევ მოსკოველებს შეგვაჯიბრეს. ჩვენი გოგონების შეჩერება შეუძლებელი იყო - გადამწყვეტ მატჩში 18 ქულით ვაჯობეთ მოწინაალმდეგეს და საქართველოს ქალთა კალათბურთის ისტორიაში პირველად ოქროს მედლები მოვიპოვეთ. ორგანიზატორები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი გუნდი გაიმარჯვებდა, ამიტომ პრიზებად შვეიცარიული საათები ჰქონდათ დაწესებული. დაჯილდოების ცერემონიალზე, როგორც კაპიტანი, პირველი მე გამიძახეს. მახსოვს, შავციფერბლატიანი საათი ავირჩიე.

**- ქალბატონო ალისა, ეს მოხდა 1950 წელს. იქნებ ისიც გაიხსენოთ, დიდ კალათბურთში როგორ აღმოჩნდით?**

- თბილისის მეთექვსმეტე ქალთა საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. ბავშვობიდანვე გული სპორტისკენ მიმიწევდა, მაგრამ მამაჩემი - რუსთაველის თეატრის მსახიობი - რატომღაც სასტიკი წინაალმდეგი იყო. მშობლებისგან მალულად მძლეოსნობაში ვვარჯიშობდი ცნობილ მწვრთნელ ბორის ტახტაროვთან. 1947 წელს სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა გრიგორი ჩერემისინმა რაიონული პირველობისთვის კალათბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბა. მეშვიდე კლასიდან სამი გოგო შეგვარჩია - მე, დარეჯან გრიგალაშვილი და მერი აკოფოვა, მეექვსე კლასიდან - ვერა გნიოტოვა. შემდეგ ჩვენი ოთხეული საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა სხვადასხვა შეჯიბრებაზე. პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით...

**- მშობლები?**

- იმავე 1947 წელს ნანა ბეჟანოვამ რაიონული ნაკრები ჩამოაყალიბა. მალულად ვვარჯიშობდი. რადგან დრო არ მყოფნიდა, მძლეოსნობას თავი დავანებე. დედა კი ეჭვობდა ჩემს ხშირ გაუჩინარებას, თუმცა არაფერს მეუბნებოდა. საქალაქო პირველობის ერთ-ერთი მატჩისას, როცა მწვრთნელმა შემცვალა და სათადარიგოთა სკამს მივუახლოვდი, გოგონებმა მომახარეს - ძია გიორგი მოვიდაო. ტანში გამცრა. ვიცოდი, ურჩობისთვის რაც მელოდა. გასახდელისკენ გაქცევას ვაპირებდი, რომ მამას შევეფეთე. ძლივს შევხედე. იგი ილიმებოდა, სხივჩამდგარ თვალებში დიდი სითბო, სიყვარული და თანაგრძნობა ამოვიკითხე. მამას მოვეხვიე, ვაკოცე და მოედნისკენ მოვკურცხლე. მერე ჩემს ძმას - მიშასაც შევაყვარე კალათბურთი.

საქალაქო პირველობის შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კალათბურთის სექციაზე დავდიოდი. გიორგი ბაბახანიდი და თამარ გეგელაშვილი გვავარჯიშებდნენ. განსაკუთრებული ყურადღებით ბატონი გიორგი გვეპყრობოდა. ხან რას მოიმიზეზებდა, ხან რას, რომ შინ ვწვეოდით და გაგვიმასპინძლებოდა. ომისშემდგომ წლებში, ცხადია, ბევრს შიოდა კიდეც. მურაბიანი ჩაი კი დიდი ფუფუნება იყო.

**- თბილისის „ბურევესტნიკისა" და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ათი წელი გამოდიოდით. ამ გუნდებს კაპიტნობდით კიდეც. ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდათ?**

- ორმოცდაათიან წლებში ბევრჯერ გაგვიხარებია გულშემატკივრები. საბჭოთა კავშირის ქალაქების ნაკრებთა პირველობაზე 1953 წელს მესამე ადგილი დავიკავეთ, 1955 და 1959 წლებში ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. განსაკუთრებით 1959 წლის სეზონმა დაგვწყვიტა გული. ახლოს ვიყავით ოქროს მედლებთან - ათი მატჩი მოვიგეთ, მათ შორის მოსკოვისა და ბალტიისპირეთის ძლიერ კოლექტივებთან და ერთადერთი პაექრობა დავთმეთ ლენინგრადის სკიფ-თან. ამან რიგელებს საშუალება მისცა, ქულებით დაგვწეოდნენ და „ოქროს მატჩი" ეთამაშათ. პირველ შეხვედრაში იოლმა გამარჯვებამ ცუდი სამსახური გაგვიწია - მობილიზება ვერ შევძელით და დავმარცხდით, ამიტომაც მეორე ადგილზე გავედით.

ყოველივეს მიუხედავად, ორმოცდაათიანი წლები ქართული სპორტისთვის ნამდვილად შედეგიანი იყო. ქალთა კალათბურთის განვითარებისთვის არაფერს იშურებდნენ ნელი ტოტიაშვილი, ვერა გნიოტოვა, დარეჯან გრიგალაშვილი, მერი აკოფოვა, ლიანა ქველიძე, ჯაჯა (ციალა) ჯანელიძე, ნელი ჯაფარიძე, ფიალა ჩხეიძე, ზაირა ჯოხთაბერიძე, სვეტლანა ვარტიკოვა, დოდო აბუაშვილი, ანეტა მეუნარგია თამარ და ქეთინო ფეტელაძეები, ნათელა თინიკაშვილი, ნუნუ ებანოიძე, ზეინაბ მუშკუდიანი, ვარდო დემეტრაშვილი, ლამარა გენგაშვილი და სხვები. სამწუხაროდ ყველას ვერ ვიხსენებ. დიდი დრო გავიდა.

**- ქართველ კალათბურთელ ქალთა შორის თქვენ ერთადერთი ბრძანდებით, ვინც საერთაშორისო სარბიელზე განსაკუთრებით ისახელა თავი. იმ პერიოდზე რას იტყოდით?**

- ივან ლისოვმა 1953 წელს საკავშირო ნაკრებში მიმიწვია. მაშინ იქ თამაშობდნენ აღიარებული ოსტატები - ლიდია ალექსეევა, ნინა მაქსიმოვა, ვალენტინა კოსოლოვა, ძიდრა უსტუპე-კარამიშევა, მაია ოტსა და სხვები. იმავე წელს ბუქარესტში ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრულ თამაშებში პირველი ადგილი დავიკავეთ, მომდევნო წელს კი ბელგრადში ევროპის ჩემპიონატზე გავემგზავრეთ. მაშინ საბჭოთა კავშირს იუგოსლავიასთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, ამიტომ ნახევრამდე მოსკოვში გვარიანად „დაგვამუშავეს" - იუგოსლავები ცუდები არიან და მათთან ურთიერთობას ერიდეთო. დიდი შიშის მიუხედავად, მკაცრი ინსტრუქცია მაინც დავარღვიეთ. ბელგრადში ჩასვლის პირველსავე დღეს ალექსეევამ ვარჯიშზე ფეხი იღრძო. უმისოდ წარმატების მიღწევა გაგვიჭირდებოდა. იქაურმა ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს, ჩვენი გუნდის ლიდერი პირველ ტურისთვის მწყობრში რომ ყოფილიყო. ყველა მატჩი მოვიგეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. მოედანზე რომ გამოვდიოდი, გულშემატკივრები ტაშით მხვდებოდნენ. მწვრთნელები ორთაბრძოლაში ჩემს ჩაბმას თუ დააგვიანებდნენ, ტრიბუნები მაშინვე აყვირდებოდნენ - „ალისა, ალისა". ტრაბახად ნუ ჩამითვლით და, გულშემატკივრებსა და კალათბურთის სპეციალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ევროპის ჩემპიონატის „მის კალათბურთელად" დამასახელეს. ბელგრადიდან მატარებლით გამოვემგზავრეთ. სადგურზე გულშემატკივრებმა გამოგვაცილეს, საჩუქრებიც მოგვართვეს. მე იშვიათი მინერალების კოლექცია მერგო.

ევროპის ჩემპიონის მეორე ოქროს მედალი 1956 წელს პრაღიდან ჩამოვიტანე. მომდევნო წელს შვილი შემეძინა და ოჯახური პირობების გამო იძულებული გავხდი, აქტიურ სპორტს ჩამოვშორებოდი.

**- თქვენს სპორტულ კუთხეს მედლებისა და პრიზების მთელი კოლექცია ამშვენებს...**

- ეს ნადავლი მარტო მე არ მეკუთვნის. ჩემი მეუღლე - ნოდარ გვახარია ცნობილი წყალბურთელი იყო, XVI ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი მედალოსანი, ევროპის თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სამგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი. ოთხი მედალი ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალებიდან და სტუდენტთა მსოფლიოს თამაშებიდან აქვს ჩამოტანილი. მამის გზას გაჰყვა უმცროსი ვაჟიშვილი დევი, რომელიც თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა. სტუდენტთა მსოფლიოს თამაშებზე ორი ოქროს მედალი მოიპოვა, ახალგაზრდების ევროპის პირველობასა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ამჟამად საფრანგეთში მუშაობს - წყალბურთელთა გუნდს ავარჯიშებს. უფროსი ვაჟიშვილი გიორგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, ქალიშვილი ნატო - ქიმიკოსი. მათთან ერთად სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ შვილიშვილები - დევი და ანა, წლინახევრის შვილთაშვილი ანასტასია - დიდი ბებოს სიყვარული. ჩემი ნოდარიც რომ მოსწრებოდა ამ დღეს, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი.



მარცხნიდან - მერი აკოფოვა, ჩიტო თიბილოვა, გერონტი ბაბახანიდი, ალისა ასიტაშვილი (კაპიტანი), მერი ბაქრაძე, ნელი ტოტიაშვილი, თამარ გეგელაშვილი, ვერა გნიოტოვა და დარეჯან გრიგოლაშვილი. სურათი გადაღებულია 1950 წელს.





1954 წელი. თბილისის „ბურევესტნიკი".
მარცხნიდან: ვერა გნიოტოვა, ლია ქველიძე, ფიალა ჩხეიძე, ზაირა ჯოხთაბერიძე, ალისა ასიტაშვილი, სვეტლანა ვარტიკოვა, გიპარ გასპარიანი, დარეჯან გრიგალაშვილი

ეკა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### ევროლიგა. VIII ტური

**A ჯგუფი**

**ციბონა-ფენერბაჰჩე 80:77**

12:20, 20:16, 26:22, 22:19

ც: ტომასი (28), ანდრიჩი (16), როგიჩი (11), ბოგდანოვიჩი (10).

ფ: კინსი (21), პრელძიჩი (18), გირიჩეკი (15), ერდენი (13+8 მოხსნა).

**მონტეპასკი-ვილერბანი 83:74**

15:18, 21:14, 23:24, 24:18

მ: ლავრინოვიჩი (16), მაკინტაირი (13), დომერკანტი (12), სატო (11).

ვ: ლუკაუსკისი (20), მარშალი (18), სამნიკი (10), ტრაორე (10).

**ბარსელონა-ჟალგირისი 89:55**

20:17, 26:11, 23:9, 20:18

ბ: მიკელი (14), ნავარო (13), მორისი (11), გრიმაუ (10), ნდონგი (10).

ჟ: უოტსონი (17+14 მოხსნა), სალენგა (10), კალნეტისი (10).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 8/0 | 167 |
| 2. მონტეპასკი | 7/1 | 113 |
| 3. ვილერბანი | 3/5 | -41 |
| 4. ფენერბაჰჩე | 3/5 | -58 |
| 5. ციბონა | 2/6 | -100 |
| 6. ჟალგირისი | 1/7 | -81 |

**B ჯგუფი**

**ლ. რიტასი-ოლიმპიაკ. 83:89 (ო)**

22:13, 12:20, 23:20, 17:21, 9:15

ლ-რ: პოპოვიჩი (19+5 ჩაჭრა), გეჩევიჩუსი (17), ბიელიცა (13), იომანტასი (11+6 პასი).

ო: კლეიზა (19+11 მოხსნა), ბურუსისი (19), ტეოდოშიჩი (18), ჩილდრესი (18).

**ეფესი-უნიკახა 77:79**

19:17, 20:24, 16:19, 22:19

ე: რაკოჩევიჩი (21), სმიტი (14), კასუნი (11).

უ: პრიტეცისი (15), უელში (12), ხიმენესი (12), ფრილანდი (11).

**ორლეანეზი-პარტიზანი 75:72**

20:27, 19:7, 18:15, 18:23

ო: ბენქსი (19), მორმანი (11), კიურტი (11).

პ: მარიჩი (20+11 მოხსნა), მაკალები (13).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 6/2 | 68 |
| 2. უნიკახა | 6/2 | 23 |
| 3. ლ. რიტასი | 4/4 | -11 |
| 4. პარტიზანი | 4/4 | -21 |
| 5. ეფესი | 3/5 | 8 |
| 6. ორლეანი | 1/7 | -67 |

**C ჯგუფი**

**კახა ლაბორალი-ოლიმპია 62:53**

18:13, 18:8, 12:19, 14:13

კ-ლ: სპლიტერი (15), სან ემეტერიო (11), ტელეტოვიჩი (10).

ო: ბეჩიროვიჩი (14).

**რომა-მარუსი 74:87**

17:28, 22:23, 18:14, 17:22

რ: უინსტონი (26), მაინარი (22), კროსარიოლი (14+7 მოხსნა).

მ: ნაჯფეი (22), ჰომანი (13), პელეკანოსი (12).

**ცსკა-მაკაბი 77:72**

28:11, 17:23, 13:22, 19:16

ც: პლანინიჩი (13), ლენგდონი (13), შიშკაუსკასი (13).

მ: ვიშნევსკი (16+9 მოხსნა), ეიდსონი (17).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. კახა ლაბორალი | 6/2 | 37 |
| 2. ცსკა | 6/2 | 26 |
| 3. მაკაბი | 5/3 | 45 |
| 4. მარუსი | 3/5 | -20 |
| 5. რომა | 3/5 | -25 |
| 6. ოლიმპია | 1/7 | -64 |

**D ჯგუფი**

**ოლდენბურგი-ხიმკი 49:62**

8:14, 18:17, 9:18, 14:13

ო: პერკოვიჩი (18), ბუმტჯე-ბუმტჯე (9+7 მოხსნა).

ხ: ლენგფორდი (19), იავტოკასი (11+10 მოხსნა), მაკარტი (5+9 მოხსნა).

**პანათინაიკოსი-რეალი 67:76**

8:22, 19:17, 18:24, 22:13

პ: ნიკოლასი (12), ბატისტი (10), პეკოვიჩი (10), კალატესი (10), ფოცისი (9).

რ: ბალოკი (15), გარბახოსა (13), კაუკენასი (12), ველიჩკოვიჩი (11), პრიჯიონი (11).

**მილანი-პროკომი 82:69**

20:16, 22:12, 17:21, 23:20

მ: ფინლი (20), პეტრავიჩუსი (18), მანჩინელი (14), ბულერი (10).

პ: იუინგი (21), ვუდსი (15).

| | მ/წ | სხ |
|---|---|---|
| 1. რეალი | 6/2 | 99 |
| 2. პანათინაიკოსი | 6/2 | 84 |
| 3. ხიმკი | 5/3 | -4 |
| 4. მილანი | 3/5 | 8 |
| 5. პროკომი | 3/5 | -60 |
| 6. ოლდენბურგი | 1/7 | -127 |

### ტურის მოთამაშე

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტურის საუკეთესო მოთამაშედ მესამედ აღიარეს ბელგრადის „პარტიზანის" ცენტრი **ალექსანდრ მარიჩი**. ავსტრალიური პასპორტის მქონე 25 წლის სერბმა „ორლეანთან" წაგებულ შეხვედრაში (72:75) ორმაგი დუბლი შეასრულა - 20 ქულა და 11 მოხსნა. მის ანგარიშზე იყო აგრეთვე 2 ჩაჭრა და ერთი დაფარება. გარდა ამისა, ფრანგებმა ავსტრალიელზე 5-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესი. საბოლოო ჯამში, მარიჩის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 29 ქულა შეადგინა.

ტურის ექვს საუკეთესო კალათბურთელს შორის მოხვდნენ: **იგორ რაკოჩევიჩი** („ეფეს პილსენი"), **ტრევის უოტსონი** („ჟალგირისი"), **მინდაუგას ლუკაუსკისი** („ვილერბანი"), **ენდრიუ ვიშნევსკი** („მაკაბი") და **სედრიკ ბენქსი** („ორლეანი").

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**მონრეალი-მინესოტა 1:3**

1:2, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 ირლი-3 (კ. იონსონი-4), 1:1 ა. კოსტიცინი-9 (გომესი-13), 1:1 მ. კოივუ-10 (პავლატი-14, ბრუნეტი-19), 1:3 კლატერბეკი-6 (კობესიუ-4, შულტცი-5).

**აილენდერსი-რეინჯერსი 2:5**

0:2, 1:1, 1:2

გოლები: 0:1 კელეპანი-8 (გაბორიკი-20, პროსპალი-22), 0:2 დრური-3 (მ. ეივერი-9, როჟსივალი-7), 0:3 კელეპანი-9 (გაბორიკი-21, როჟსივალი-8), 1:3 ენდრიუ მაკდონალდი-1 (მტრაიტი-14, ნილსენი-8), 1:4 გაბორიკი-24 (პროსპალი-23, კელეპანი-6), 1:5 ანისიმოვი-6 (კელეპანი-7, ჟირარდი-7).

**ფილადელფია-პიტსბურგი 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ჯ. კატრეტი-12 (მ. კარლი-17, ბრიერი-9), 1:1 გერინი-9 (კუნიტცი-10, მალკინი-24), 2:1 ჟირუ-7 (კარჩილო-4, მ. რიჩარდსი-14), 2:2 კროსბი-22 (კუნიტცი-11, გონჩარი-15).

ბულიტები გაიტანეს: ლეტანგი (პიტსბურგი), კროსბი (პიტსბურგი).

**ატლანტა-დალასი 6:5 (ო)**

1:2, 2:1, 2:2, 1:0

გოლები: 0:1 რობიდასი-8 (მოდანო-7, ლ. ერიქსონი-19), 1:1 კოვალჩუკი-19 (აფინოგენოვი-17, ტოდ უაიტი-10), 1:2 ლეპტინენი-2 (ოტი-5, ფისტრიჩი-3), 2:2 სლეიტერი-1, 3:2 ანტროპოვი-6 (პევერლი-21, ენსტრიომი-22), 3:3 ბენი-6 (რიბეირო-19), 3:4 რობიდასი-9 (მოდანო-8, გროსმანი-4), 4:4 აფინოგენოვი-12 (ლიტლი-11, კოვალჩუკი-16), 5:4 პევერლი-11 (კ. არმსტრონგი-6, პეინსი-6), 5:5 ლ. ერიქსონი-11 (რობიდასი-13), 6:5 პევერლი-12 (აფინოგენოვი-18, კუბინა-14).

**კოლამბუსი-ფინიქსი 1:2 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 იენდლი-5, 1:1 ნეში-18 (ტიუტინი-16, სტრალმანი-14).

ბულიტები გაიტანეს: ნეში (კოლამბუსი), დოუნი (ფინიქსი), ლანგი (ფინიქსი).

**დეტროიტი-ტამპა ბეი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 მილერი-4 (რაფალსკი-11), 2:0 ბერტუცი-9 (ჰოლმსტრიომი-6, დაციუკი-18), 3:0 ივსი-4 (ლიდსტრიომი-11, რაფალსკი-12).

**კალგარი-ლოს ანჯელესი 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ფანოფი- 7 (იგინლა-17, ო. იოკინენი-16), 2:0 დეივსი-10 (ლენგკოუ-11, რენე ბურკი-18), 2:1 ელკინსი-1 (მოლერი-1, რიჩარდსონი-4).

**ედმონტონი-ნეშვილი 3:6**

2:3, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 ნილსონი-3 (ვიშნევსკი-17, დელორიერი-1), 2:0 ვიშნევსკი-8 (ბრული-13, პენერი-19), 2:1 რ. ჯონსი-4 (ბელაკი-2), 2:2 ჯ. უორდი-6 (ლეგუანდი-14, სატერი-15), 2:3 გოკი-5 (დუმონი-16, ჰორნკვისტი-7), 2:4 ჰორნკვისტი-9 (არნოტი-11, დუმონი-17), 3:4 ნილსონი-4 (ჰორკოფი-7, სურეი-7), 3:5 ჰორნკვისტი-10 (სატერი-16, ერატი-10), 3:6 სმიტსონი-6 (ლეგუანდი-15, ჯ. უორდი-10).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 4:2**

0:0, 2:0, 2:1

გოლები: 1:0 ჯ. ტორნტონი-8 (მარლო-15, სეტოგუჩი-3), 2:0 მარლო-21 (მიურეი-6, ჯ. ტორნტონი-38), 2:1 გეტცლაფი-8 (რაიანი-12, ს. ნიდერმაიერი-17), 3:1 ჯ. ტორნტონი-9 (პაველსკი-10, დ. ბოილი-22), 4:1 სეტოგუჩი-9 (ჯ. ტორნტონი-39, მარლო-16).

NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ბრწყინვალე ბეილესი

როგორც იქნა გაახარა თავისი გულშემატკივარი „ჩიკაგო ბულზმა". რამდენიმე ულიმღამო თამაშის შემდეგ „ხარებმა" „ნიუ იორკი" დაამარცხეს. თუმცა თამაშის დასაწყისი „ჩიკაგოსთვის" კარგს არაფერს მოასწავებდა. პირველ მეოთხედში საკუთარი პუბლიკის წინაშე **ვინი დელ ნეგროს** შეგირდები სრულიად უძლურნი აღმოჩნდნენ. იმას, რაც „ნიქსმა" მასპინძელთა დაცვას დამართა, სრული განადგურება ჰქვია. პირველ 12-წუთეულში შვიდმა სამქულიანმა თითქოს დაასამარა „ბულზის" იმედები. ხოლო, როცა ანგარიში 8:25 გახდა, ბევრმა ტელემაყურებელმა, ალბათ, ტელევიზორი სხვა არხზე გადართო.

მაგრამ „ჩიკაგო" მეორე მეოთხედში მკვდრეთით აღდგა. მასპინძლებმა დაცვაში თამაში დაალაგეს, სულ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ შეტევაში. მეორე მეოთხედის შუაში „ხარებმა" ანგარიში გაათანაბრეს. მესამე მეოთხედში თანაბარი თამაშის შემდეგ, „ჩიკაგომ" გადამწყვეტი გაქცევა ბოლო მეოთხედისთვის შემოინახა. **ჯონ სალმონსის** სამქულიანმა და აგრეთვე **ლუოლ დენგისა** და **დერიკ როუზის** ბრწყინვალე თამაშმა „ნიქსს" საბოლოოდ მოუღო ბოლო. „ბულზმა", როგორც იქნა მოიპოვა სეზონში მეცხრე გამარჯვება, „ნიქსი" კი კვლავინდებურად აუტსაიდერთა რიგებში იმყოფება.

„მაიამისა" და „ორლანდოს" მატჩები ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს, რადგან მაყურებელი ხშირად უკომპრომისო ბრძოლის მოწმე ხდება. სამწუხაროდ, გუშინდელი ფლორიდული დერბი გამონაკლისი აღმოჩნდა. მისი ბედი უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ იყო გარკვეული. „ჰიტმა", რომელიც ამ მატჩში მასპინძლის როლს თამაშობდა, ქვა ქვაზე არ დატოვა შარშანდელი ფინალისტისგან. **დუეინ უეიდმა მაიკლ ბიზლისთან** ერთად ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო „ჯადოქრებს".

**სტენ ვან განდის** ყველა ცდამ, როტაციის წყალობით მოენახა გამოსავალი, შედეგი ვერ მოიტანა. საბოლოოდ, მეორე მეოთხედში თანაბარი თამაშის შემდეგ, „ორლანდომ" მეორე ნოკდაუნი მესამე მეოთხედში მიიღო. ეს „მეჯიქის" მეექვსე წაგებაა სეზონში და ახლა გუნდი არა მხოლოდ „ბოსტონს", „არამედ „ატლანტასაც" ჩამორჩება.

საკმაოდ საინტერესო მატჩი ჩატარდა ორეგონში, სადაც „პორტლენდს" სტუმრად „ფინიქსი" ეწვია. სამი მეოთხედის განმავლობაში „მზეები" დამაჯერებლად აკონტროლებდნენ თამაშს. კარგად მუშაობდა **ნეშისა და სტაუდმაიერის** დუეტი და თან გუნდი ბევრ სამქულიანს აგდებდა - მოკლედ, „სანზს" აბსოლუტურად ყველაფერი გამოსდიოდა. „პორტლენდი" განწირული ჩანდა იქამდე, სანამ **ნეიტ მაკმილანმა** მოედანზე არ შეუშვა **ჯარედ ბეილესი**. ახალგაზრდა გამთამაშებელი „სანზისთვის" ამოუხსნელ ამოცანად იქცა. ბეილესი არ შეუშინდა ინიციატივის საკუთარ ხელში აღებას და ბოლო 12-წუთეულში პრაქტიკულად მარტომ მოუგო „ფინიქსს". 29 ქულა 29 წუთში - დამაჯერებელი სტატისტიკაა.

არიზონელებს შეეძლოთ მატჩის ბოლოს სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ მათი უკანასკნელი შეტევა ბოლომდე კარგად მოფიქრებული არ იყო. სტივ ნეშს მეტად რთული სიტუაციიდან მოუწია სამქულიანის სროლამ. რა თქმა უნდა, ფინალური სირენის შემდეგ ბეილესი მილოცვებს ვერ აუდიოდა. ახალგაზრდა მცველმა აშკარად კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

**ჩიკაგო-ნიუ იორკი 98:89**

23:34, 25:16, 21:22, 29:17

ჩ: დენგი (24+13 მოხსნა+5 პასი), სალმონსი (20+7 მოხსნა), როუზი (18+6 პასი), ნოა (15+9 მოხსნა), გიბსონი (12+10 მოხსნა).

ნ-ი: დუპონი (18+7 პასი), ჰარინგტონი (18+6 მოხსნა), გალინარი (18), ლი (13+8 მოხსნა).

**მაიამი-ორლანდო 104:86**

33:18, 26:26, 30:16, 15:26

მ: უეიდი (25+7 პასი), ბიზლი (22+8 მოხსნა), რაიტი (11+8 მოხსნა), რიჩარდსონი (11).

ო: ჰოვარდი (17+14 მოხსნა), რედიკი (13+5 მოხსნა), პიეტრუსი (12), კარტერი (10).

**პორტლენდი-ფინიქსი 105:102**

25:28, 23:27, 22:26, 35:21

პ: ბეილესი (29), როი (27+8 მოხსნა), უებსტერი (15+7 მოხსნა), ოლდრიჯი (15+7 მოხსნა), ბლეიკი (12).

ფ: სტაუდმაიერი (27+11 მოხსნა), ჰილი (20), ფრაი (17+6 მოხსნა), ნეში (16+13 პასი+5 მოხსნა), დადლი (10+6 მოხსნა).

## კრივი

## რობინსონი ყველა დროის საუკეთესოა



ამა წლის ივნისში შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი, სახელწოდებით - World's Greatest Ever Boxer, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო მოკრივე უნდა გაერკვია. კრივის გულშემატკივრებს შორის გამოკითხვა ექვსი თვის განმავლობაში მიდიოდა და გამარჯვებული გახდა ლეგენდარული საშუალოწონოსანი **შუგარ რეი რობინსონი**. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ამ ამერიკელისთვის მოიგონეს „წონის გაუთვალისწინებლად მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის ტიტული".

მეორე ადგილი მიიღო მოქმედმა მოკრივემ - ფილიპინელმა **მენი პაკიაომ**, მესამეა ლეგენდარული სუპერმძიმეწონოსანი **მუჰამედ ალი**.

გარდა ამისა, ვებგვერდის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ შვიდ წონით კატეგორიაში გამოევლინათ საუკეთესო მოკრივეები. კანდიდატთა სიები პროფესიულ კრივში მომუშავე წამყვანი სპეციალისტების მიერ იყო შედგენილი. წონით, კატეგორიების მიხედვით საუკეთესო მოკრივეთა სიამ ასეთი სახე მიიღო:

| მძიმე წონა | |
|---|---|
| 1. მოჰამედ ალი | 48% |
| 2. მაიკ ტაისონი | 16% |
| 3. როკი მარჩიანო | 11% |

| ნახევრად მძიმე წონა | |
|---|---|
| 1. როი ჯონსი-უმცროსი | 37% |
| 2. არჩი მური | 17% |
| 3. ჯო კალზაგე | 14% |

| საშუალო წონა | |
|---|---|
| 1. შუგარ რეი რობინსონი | 47% |
| 2. მარვინ ჰაგლერი | 24% |
| 3. ბერნარდ ჰოპკინსი | 12% |

| ნახევრად საშუალო წონა | |
|---|---|
| 1. შუგარ რეი რობინსონი | 39% |
| 2. შუგარ რეი ლეონარდი | 36% |
| 3. ოსკარ დე ლა ჰოია | 10% |

| მსუბუქი წონა | |
|---|---|
| 1. რობერტო დიურანი | 33% |
| 2. ჰენრი არმსტრონგი | 22% |
| 3. ფლოიდ მეივეზერი | 14% |

| ნახევრად მსუბუქი წონა | |
|---|---|
| 1. მენი პაკიაო | 56% |
| 2. ვილი პეპი | 15% |
| 3. სალვადორ სანჩესი | 8% |

| უმსუბუქესი წონა | |
|---|---|
| 1 ვილფრედო გომესი | 32% |
| 2. რუბენ ოლივარესი | 12% |
| 3. კარლოს სარატე | 10% |

## ამბები

**კალათბურთი**

### აივერსონს მუხლი აწუხებს



დღეს „ფილადელფია სიქსერზის" მცველი ალენ აივერსონი მაგნიტორეზონანსულ გამოკვლევას ჩაიტარებს. ვეტერან კალათბურთელს ბოლო დროს მუხლის ტრავმა აწუხებს და ექიმებს სურთ დაადგინონ, რამდენად სერიოზულია ეს დაზიანება.

აივერსონს მარცხენა მუხლში სითხე უდგება და ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ორჯერ გახდა საჭირო მისი მოცილება.

ჯერჯერობით არ არსებობს იმის საშიშროება, რომ კალათბურთელი ხანგრძლივი დროით დააკლდება რეგულარულ ჩემპიონატს. ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ალენი ხვალ „ბოსტონის" წინააღმდეგ არ გავა მოედანზე.

## სხვადასხვა

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

### ტომბა გაფიცვას ითხოვს

ლეგენდარულმა იტალიელმა მოთხილამურემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ალბერტო ტომბამ** მოქმედ სპორტსმენებს სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ გაფიცვისკენ მოუწოდა.

ტომბას უკმაყოფილების მიზეზია ბოლო ორი სეზონის დროს გახშირებული ტრავმიანობა. *„კალენდარი გადატვირთულია და სპორტსმენებს ძალიან ხშირად უწევთ სტარტზე გასვლა, - აცხადებს სახელგანთქმული იტალიელი. - ჩვენ უნდა დავიწყოთ ბრძოლა ამ გაწუკითხაობის წინააღმდეგ. ეს არის ტურნირების პროგრამის შემცირების ერთადერთი ხერხი. განსაკუთრებით ეს ეხება მსოფლიოს თასის გათამაშებას. ზეწოლა უნდა მოვახდინოთ არა მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციაზე, არამედ მსოფლიოს თასის ეტაპების სპონსორებზე".*

**ამერიკული ფეხბურთი**

### ამერიკული ტრაგედია

ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი **კრის ჰენრი** თავის საცოლესთან ჩხუბის დროს დაიღუპა.

როგორც პორტალი TMZ წერს, „ცინცინატი ბენგალზის" 26 წლის მოთამაშემ სასიკვდილო ტრავმები პიკაპის ძარიდან ჩამოვარდნის შემდეგ მიიღო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჰენრი ავტომობილის ძარაზე საცოლესთან - **ლოლეინი ტონგასთან** ჩხუბის შემდეგ ახტა. გოგონა მანქანით გაქცევას ცდილობდა, ფეხბურთელმა თავი ვერ შეიკავა და მიწაზე დაცემისას დაიღუპა.

პოლიციამ ტონგას დაკითხვის შემდეგ გოგონას შინ გაშვება გადაწყვიტა.

**ჩოგბურთი**

### კოსტამ კონტრაქტი გააგრძელა

დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა **ალბერტ კოსტამ**, რომელმაც წელს პირენეელებს პრესტიჟული პრიზი ზედიზედ მეორედ მოაპოვებინა, კონტრაქტი გააგრძელა ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციასთან.

შეგახსენებთ, რომ როლან გაროსის 2002 წლის ჩემპიონმა გუნდი 2008 წლის დეკემბერში ჩაიბარა. მან კაპიტნის პოსტზე **ემილიო სანჩესი** შეცვალა.

დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში ესპანეთის ნაკრებმა ფინალში 5:0 გაანადგურა ჩეხეთის ნაკრები.

### ვიქმაიერი ავსტრალიის მიღმა დარჩა

ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორმა **კრეიგ ტაილიმ** აღიარა, რომ ბელგიელი **იანინა ვიკმაიერი** არ მიიღებს სეზონში „დიდი სლემის" პირველი ტურნირის უაილდ-ქარდს.

საქმე ისაა, რომ რვა სპეციალური მისაწვევიდან ხუთი უკვე დარიგებულია. მისი მფლობელები არიან ბელგიელი **ჟუსტინ ანენი**, აგრეთვე აშშ-ის, საფრანგეთისა და აზიის წარმომადგენელი და შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული. რაც შეეხება სამ დანარჩენ უაილდ-ქარდს, ამის შესახებ ტაილიმ შემდეგი განაცხადა: *„ვაპირებთ, სპეციალური მიწვევები ავსტრალიელ ჩოგბურთელებს გადავცეთ. რაც შეეხება ვიკმაიერს, მას, უბრალოდ, არ გაუმართლა".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა

# კასტერს სქესის კორექცია შესთავაზეს



მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) გადაწყვიტა საჯაროდ არ გაახმოვანოს 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონ **კასტერ სემენიას** გენდერული ტესტის შედეგები. ამასთან, სამხრეთაფრიკელ მორბენალს სქესის კორექციისთვის ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს.

სემენიას გაურკვეველ სქესთან დაკავშირებული სკანდალი დასრულდა. IAAF-მა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს სკანდალი მაქსიმალურად მიეჩქმალა, დაეცვა ეთიკური ნორმები და აეცილებინა თავიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ბრალდებები. 18 წლის სპორტსმენის გენდერული ტესტის შედეგებს არ გამოამზეურებენ. კასტერს დაუტოვეს ოქროს მედალი და საპრიზო თანხები. გარდა ამისა, მორბენალს ქალთა ტურნირებზე გამოსვლის შანსი დაუტოვეს. მაგრამ ეს მას შემდეგ მოხდება, როცა კასტერი სქესის კორექციის ოპერაციას გაიკეთებს. ქირურგიული ჩარევის ხარჯებს IAAF თავის თავზე იღებს.

## კონფიდენციალური საქმე

კასტერ სემენიაზე ბოლო თვეებში გავრცელებული ინფორმაციები არაოფიციალურ ხასიათს ატარებს. მძლეოსნობის საერთაშორისო და სამხრეთ აფრიკის ფედერაციები პერიოდულად უარყოფენ ამ ცნობებს, მაგრამ საერთო ჯამში, მსოფლიო პრესაში ყველაზე პოპულარულია შემდეგი ვერსია - სემენია ჰერმაფროდიტია, ტესტოსტერონის დონე კი სამჯერ აღემატება ქალის სტანდარტულ დონეს. კასტერის ორგანიზმში ანომალიებმა, შესაძლოა, ონკოლოგიური დაავადებები გამოიწვიოს. როგორც „გარდიანი" წერს, შინაგან მამაკაცურ ორგანოებს, რომლებიც ტესტოსტერონს გამოყოფენ, შეუძლიათ კიბო გამოიწვიონ. მაგრამ მორბენალზე ზეწოლას არავინ ახდენს. მან თავად უნდა აირჩიოს, დათანხმდეს ოპერაციას, თუ დაასრულოს კარიერა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე კასტერ სემენიას გამარჯვების შემდეგ, ბევრმა მისმა მოწინააღმდეგემ გამოთქვა გაკვირვება იუნიორი სპორტსმენის პროგრესისა და მისი მამაკაცური აღნაგობის გამო. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას გენდერული ტესტის ჩატარებამ მოუწია. საქმემ დიდი საერთაშორისო რეზონანსი მიიღო. სკანდალის მსვლელობისას კასტერის დასაცავად გამოვიდნენ ჰუმანიტარული ორგანიზაციები, რომლებმაც ფედერაციის მუშაობის მეთოდები გააკრიტიკეს. მათი აზრით, IAAF-მა ფაქტობრივად ცხოვრება დაუნგრია 18 წლის სპორტსმენს. ამის შემდეგ, ფედერაციის ფუნქციონერთა მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ამ საქმეს უფრო კონფიდენციალური ხასიათი ჰქონოდა და მინიმუმამდე დასულიყო მორალური ზარალი, რომელიც სემენიას მიადგა.

## შორეულ ლიმპოპოში

იმ დროს, როცა მსოფლიოს პრესამ პირველ გვერდებზე ისევ გამოიტანა „სემენიას საქმე", სკანდალის გმირი შობის ალსანიშნავად ემზადება. პატარაობაში კასტერის მშობლები ოთხ შვილთან ერთად ყოველ წელს მიდიოდნენ მორიას ქრისტიანულ ეკლესიაში, რომელიც ლიმპოპოს პროვინციაში მდებარეობს. ეს არის სამხრეთ აფრიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკლესია, რომელსაც 15-მილიონიანი მრევლი ჰყავს ლესოტოდან, ზიმბაბვედან, მოზამბიკიდან და ნამიბიიდან.

ოჯახი წელსაც ეწვია ეკლესიას. კასტერის მამამ აღნიშნა, რომ ეკლესიური რიტუალის დასრულების შემდეგ, მისი ქალიშვილი ოჯახთან ერთად შინ, მშობლიურ სოფელ გა-მასელონგში გაემგზავრა. მორბენალი, როგორც იქნა საყვარელ ადამიანებთან განმარტოვდა. მოგზაურობები, ოფიციალური მიღებები და პრესის მხრიდან ზეწოლა კასტერს ოჯახის წევრებთან დროის გატარების საშუალებას არ აძლევდა.

ახლა კასტერს ოჯახურ წრეში თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვს მისაღები. ქირურგიული თვალსაზრისით მისთვის შეთავაზებული ოპერაცია დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თეორიულად მას სტარტზე გამოსვლა უკვე ნახევარი წლის შემდეგ შეეძლება. IAAF არ უკრძალავს ტრანსსექსუალებს ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი არ გამოიყენებენ ჰორმონალურ თერაპიას. სხვა საკითხია, შეძლებს თუ არა კასტერი ჰორმონალური „საკვების" გარეშე ძველი შედეგების ჩვენებას და მზად არის თუ არა მისი პერსონის მიმართ არაჯანსაღი ინტერესის პირობებში მეტოქეებისთვის კონკურენციის გასაწევად.

ჩოგბურთი. WTA-ის ტური

# წლის გარღვევა კიმისაა



სეზონებს შორის შესვენებებისას მიღებულია წლის შედეგებისა და სტატისტიკური მონაცემების შეჯამება. ამის წყალობით შესაძლებელია ამა თუ იმ კომპონენტში საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენა. ასე მაგალითად, ამ დღეებში WTA-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა სეზონში ყველაზე შთამბეჭდავი პროგრესის ავტორი, ანუ ჩოგბურთელი, რომელმაც ყველაზე მეტად გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა WTA-ის რეიტინგში.

პირველ ადგილს ღირსეულად იკავებს ბელგიელი **კიმ კლაისტერსი**, რომელმაც ამ წელს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორწლიანი შესვენების შემდეგ ტურში დაბრუნებულმა კიმმა სულ სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მაშინვე კლასიფიკაციის მე-18 პოზიციაზე აღმოჩნდა. არადა, მანამდე ბელგიელი საერთოდ ამოშლილი იყო რეიტინგიდან.

შემდეგ უნდა აღინიშნოს **ანდრეა პეტკოვიჩის** მიღწევა. მან წელი 379-ე ჩოგნის რანგში დაიწყო, სეზონის ბოლოს კი 56-ე ადგილს იკავებდა. ასე რომ, მისმა „გარღვევამ" 323 ადგილი შეადგინა. 22 წლის გერმანელმა ამ სეზონში მოიგო ბადგაშტაინის ტურნირი და კიდევ რამდენიმე შეჯიბრზე საკმაოდ შორს გაიკვლია გზა ძირითად ბადეში.

რუმინელი **ალექსანდრა დულგერუ** 343-დან 51-ე პოზიციამდე აღზევდა. 20 წლის ჩოგბურთელს ვარშავის ტურნირზე გამარჯვებამ მისცა 292 ადგილის მოგების საშუალება. გარდა ამისა, დულგერუმ ITF-ის სამ ტურნირში მოიპოვა მთავარი პრიზი.

ესპანელი **არანტა პარა-სანტონხა** 296-ე პოზიციიდან 91-ე ადგილამდე გადახტა. მისი წარმატების საიდუმლო ძირითადად ITF-ის ტურნირებზე კარგ გამოსვლაში უნდა ვეძებოთ.

საუკეთესოთა ხუთეულს ასრულებს **ტატიანა მალეკი**, რომელსაც 2009 წელს საუკეთესო სეზონი ჰქონდა. მან პირველად მიაღწია WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალს (ბარსელონაში), ITF-ის სერიაში კი სამი ტურნირი მოიგო და პირადი რეკორდი დაამყარა - სექტემბერში კლასიფიკაციაში მისთვის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა - 64-ე ადგილი. ამგვარმა პროგრესმა გერმანელს 172-საფეხურიანი ნახტომი მოუტანა - 240-დან 68-ე ადგილამდე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| გრიმსბი-მორეკამბი | 1:1 |
| ჰერეფორდი-ლინკოლნი | გადაიდო |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-ოქსფორდი | გადაიდო |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-პადოვა | 1:0 |
| ჩეზენა-ლეჩე | 3:1 |
| **გერმანია** | |
| შალკე-მაინცი | 1:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალენი-კოტბუსი | 0:4 |
| დუისბურგი-ალემანია | 0:2 |
| კობლენცი-ფრანქფურტი | 0:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-ერფურტი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| პლაუენი-ობერნოილანდი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ლოტე-მაინცი A | 2:1 |
| ლევერკუზენი A-მანჰაიმი | 2:2 |
| ესენი-შალკე A | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ნანტი | 2:1 |
| არლი-შატორუ | 3:0 |
| ბრესტი-ნიმი | 1:0 |
| სედანი-დიჟონი | 2:1 |
| ტური-ისტრი | გადაიდო |
| ვანი-ბასტია | 3:0 |
| ანჟერსი-მეცი | გადაიდო |
| კაენი-ლავალი | 1:1 |
| კლერმონი-ჰავრი | 1:0 |
| სტრასბური-გინგამი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ჰერაკლესი-ვენლო | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ფორტუნა | 1:0 |
| გრააფსხაპი-ცვოლე | 1:4 |
| ემენი-მაასტრიხტი | გადაიდო |
| დენ ბოში-ომნივორლდი | გადაიდო |
| ეინდჰოვენი II-ტოპ ოსი | 4:0 |
| ჰაარლემი-კამბური | 0:4 |
| როსენდაალი-დორდრეხტი | გადაიდო |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-ბრაგა | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტრასივულოსი-დიაგორასი | 2:2 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ბურსა | 2:3 |
| **უელსი** | |
| ებერისტვიტი-ქერსოუსი | 3:2 |
| პრესტატინი-ტნს | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ულმი-ერტლანდი | 62:72 |
| დიუსელდორ.-ლუდვიგსბურ. | 63:47 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-რუანი | 79:60 |
| პარი ლევალუა-ჰავრი | 92:69 |
| ნანსი-როანი | 101:62 |
| **ხელბურთი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **ქალები. 1/2 ფინალი** | |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 23:27 |
| რუსეთი-ნორვეგია | 28:20 |
| **ჰოკეი** | |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ზაგრები | 7:1 |
| გრაცი-ზალცბურგი | 2:3 |
| ლინცი-ალბა | 2:1 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 4:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 4:3 |
| ჰანოვერი-კასელი | 4:3 |
| დიუსელდორ.-ინგოლშტად. | 3:0 შენ. |
| იზერლონი-კიოლნი | 3:1 |
| ნიურნბერგი-კრეფელდი | 3:1 |
| შტრაუბინგი-ჰამბურგი | 2:1 |

## TV პროგრამა

### 19 დეკემბერი. შაბათი

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

16:45 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული (LIVE).
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი (LIVE).
23:45 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
18:55 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთი-შვედეთი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლორიანი (LIVE).
00:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-დეტროიტი (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. კელი პავლიკი-მიგელ ანხელ ესპინო. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

15:10 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ქალები/კაცები. სპრინტი. როგლა სლოვენია (LIVE).
18:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. სპრინტი. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
13:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
18:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. რამზაუ. ავსტრია (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

15:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ქალები/კაცები. სპრინტი. როგლა სლოვენია (LIVE).

### 20 დეკემბერი. კვირა

**SPORT 1 (უკრაინა)**

16:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ბარი (LIVE).
19:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ჩელსი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

18:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კატანია (LIVE).
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ჩელსი (LIVE).
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტენერიფე-ატლეტიკო (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ვალენსია (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
13:40 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი (LIVE).
01:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის რეგულარული ჩემპიონატი. სან დიეგო-ცინცინატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

14:10 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ქალები. 15 კმ. როგლა სლოვენია (LIVE).
15:25 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. კაცები. 30 კმ. სპრინტი. როგლა სლოვენია (LIVE).
18:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ბირმინგემი (LIVE).
05:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო (LIVE).

**EUROSPORT**

12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
13:35 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
15:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
15:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
18:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა 10 კმ. რამზაუ. ავსტრია (LIVE).
01:00 ცხენოსნობა. კონკური. გრან პრი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

14:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ქალები. 15 კმ. როგლა სლოვენია (LIVE).
15:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. კაცები. 30 კმ. სპრინტი. როგლა სლოვენია (LIVE).

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო"

# ეფჩიპე
# ...10




| ...ღე | N | მატჩი/ჯგუფი | დრო* |
|---|---|---|---|
| ივნისი | 24 | განა-ავსტრალია (D) | 17:00 |
| ივნისი | 26 | კამერუნი-დანია (E) | 21:30 |
| ივნისი | 27 | სლოვაკეთი-პარაგვაი (F) | 14:30 |
| ივნისი | 28 | იტალია-ახ. ზელანდია (F) | 17:00 |
| ივნისი | 29 | ბრაზილია-კოტ დ'ივუარი (G) | 21:30 |
| ივნისი | 30 | პორტუგალია-დსრ კორეა (G) | 14:30 |
| ივნისი | 31 | ჩილე-შვეიცარია (H) | 17:00 |
| ივნისი | 32 | ესპანეთი-ჰონდურასი (H) | 21:30 |
| ივნისი | 33 | მექსიკა-ურუგვაი (A) | 17:00 |
| ივნისი | 34 | საფრანგეთი-სამ. აფრიკა (A) | 17:00 |
| ივნისი | 35 | ნიგერია-კორეა (B) | 21:30 |
| ივნისი | 36 | საბერძნეთი-არგენტინა (B) | 21:30 |
| ივნისი | 37 | სლოვენია-ინგლისი (C) | 17:00 |
| ივნისი | 38 | აშშ-ალჟირი (C) | 17:00 |
| ივნისი | 39 | განა-გერმანია (D) | 21:30 |
| ივნისი | 40 | ავსტრალია-სერბეთი (D) | 21:30 |
| ივნისი | 41 | სლოვაკეთი-იტალია (F) | 17:00 |
| ივნისი | 42 | პარაგვაი-ახ. ზელანდია (F) | 17:00 |
| ივნისი | 43 | დანია-იაპონია (E) | 21:30 |
| ივნისი | 44 | კამერუნი-ჰოლანდია (E) | 21:30 |
| ივნისი | 45 | პორტუგალია-ბრაზილია (G) | 17:00 |
| ივნისი | 46 | დსრ კორეა-კოტ დ'ივუარი (G) | 17:00 |
| ივნისი | 47 | ჩილე-ესპანეთი (H) | 21:30 |
| ივნისი | 48 | შვეიცარია-ჰონდურასი (H) | 21:30 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ივლისი | 57 | W 53-W 54 | 17:00 |
| ივლისი | 58 | W 49-W 50 | 21:30 |
| ივლისი | 59 | W 52-W 51 | 17:00 |
| ივლისი | 60 | W 55-W 56 | 21:00 |
| ივლისი | 61 | W 58-W 57 | 21:30 |
| ივლისი | 62 | W 59-W 60 | 21:30 |
| ივლისი | 63 | L 61-L 62 | 21:30 |
| ივლისი | 64 | W 61-W 62 | 21:30 |

* დრო თბილისისაა

...ალები
ქეიპთაუნი
დურბანი

...ლისთვის
...ლიზაბეთი

...ი
...ნესბურგი

## E

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | | | | | | | | | |
| დანია | | | | | | | | | |
| იაპონია | | | | | | | | | |
| კამერუნი | | | | | | | | | |

## F

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | | | | | | | | | |
| პარაგვაი | | | | | | | | | |
| ახ. ზელანდია | | | | | | | | | |
| სლოვაკეთი | | | | | | | | | |

## G

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | | | | | | | | | |
| ჩრდ. კორეა | | | | | | | | | |
| კოტ დ'ივუარი | | | | | | | | | |
| პორტუგალია | | | | | | | | | |




## H

| ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | | | | | | | | |
| შვეიცარია | | | | | | | | | |
| ჰონდურასი | | | | | | | | | |
| ჩილე | | | | | | | | | |

### E ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 14 ივნისი | ჰოლანდია-დანია | იოჰანესბურგი |
| 14 ივნისი | იაპონია-კამერუნი | ბლუმფონტეინი |
| 19 ივნისი | ჰოლანდია-იაპონია | დურბანი |
| 19 ივნისი | კამერუნი-დანია | პრეტორია |
| 24 ივნისი | დანია-იაპონია | რუსტენბურგი |
| 24 ივნისი | კამერუნი-ჰოლანდია | ქეიპთაუნი |

### G ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 15 ივნისი | კოტ დ'ივუარი-პორტუგალია | პ/ელიზაბეთი |
| 15 ივნისი | ბრაზილია-დსრ კორეა | იოჰანესბურგი |
| 20 ივნისი | ბრაზილია-კოტ დ'ივუარი | იოჰანესბურგი |
| 21 ივნისი | პორტუგალია-დსრ კორეა | ქეიპთაუნი |
| 25 ივნისი | პორტუგალია-ბრაზილია | დურბანი |
| 25 ივნისი | დსრ კორეა-კოტ დ'ივუარი | ნელსპრუიტი |

### F ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 14 ივნისი | იტალია-პარაგვაი | ქეიპთაუნი |
| 15 ივნისი | ახ. ზელანდია-სლოვაკეთი | რუსტენბურგი |
| 20 ივნისი | სლოვაკეთი-პარაგვაი | ბლუმფონტეინი |
| 20 ივნისი | იტალია-ახ. ზელანდია | ნელსპრუიტი |
| 24 ივნისი | სლოვაკეთი-იტალია | იოჰანესბურგი |
| 24 ივნისი | პარაგვაი-ახ. ზელანდია | პოლოკვანი |

### H ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 16 ივნისი | ჰონდურასი-ჩილე | ნელსპრუიტი |
| 16 ივნისი | ესპანეთი-შვეიცარია | დურბანი |
| 21 ივნისი | ჩილე-შვეიცარია | ნელსპრუიტი |
| 21 ივნისი | ესპანეთი-ჰონდურასი | იოჰანესბურგი |
| 25 ივნისი | ჩილე-ესპანეთი | პრეტორია |
| 25 ივნისი | შვეიცარია-ჰონდურასი | ბლუმფონტეინი |

### 1/8 ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 28 ივნისი | 5. E1-F2 | დურბანი |
| 28 ივნისი | 7. G1-H2 | იოჰანესბურგი |
| 29 ივნისი | 6. F1-E2 | პრეტორია |
| 29 ივნისი | 8. H1-G2 | ქეიპთაუნი |

### 1/2 ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 3 ივლისი | B. 2-4 | ქეიპთაუნი |
| 3 ივლისი | D. 6-8 | იოჰანესბურგი |

# 2010

### ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

### აგვისტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარასკევი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

### ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | |

### დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სერენა ათწლეულის ჩოგბურთელია

**ამ დღეებში Tennisweek.com-ზე ათწლეულის ათი საუკეთესო ქალი ჩოგბურთელის რეიტინგი გამოქვეყნდა. მისი შემდგენელი გახლავთ საჩოგბურთო მიმომხილველი და სტატისტიკოსი დენის ფიცჯერალდი, რომელიც დიდ ჩოგბურთზე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წერს, არის ბევრი პოპულარული სტატიის ავტორი. დღეს მის რეიტინგს შემოგთავაზებთ.**



პრაქტიკულად დასრულდა XXI საუკუნის პირველი ათწლეული და გარკვეული დასკვნების გაკეთების დრო მოვიდა.

ჩემი აზრით, „ათწლეულის მოთამაშის" ტიტულს **სერენა უილიამსი** იმსახურებს. აღნიშნულ პერიოდში ქალთა ტურში ლიდერობისთვის დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული და ამ მხრივ განსაკუთრებული ინტრიგა არსებობდა. საუკეთესოს სტატუსზე სამი ჩოგბურთელი სხვებზე მეტად აცხადებდა პრეტენზიას.

ამ ერთგვარ რბოლაში თავდაპირველად **ვენუს უილიამსი** იყო დაწინაურებული. ის ზედიზედ იგებდა უიმბლდონს, გაიმარჯვა ამერიკის ღია პირველობაზე, მოიგო ოქროს მედალი ოლიმპიურ თამაშებზე. მაგრამ 2003 წელს ლიდერობა თავის დას - სერენას დაუთმო.

მაგრამ ამ მომენტში ქალთა ტურში მსოფლიო მასშტაბის კიდევ ერთი ვარსკვლავი - **ჟუსტინ ანენი** გამოჩნდა. სერენასა და ჟუსტინს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. 2007 წელს ანენმა აშკარად აჯობა ამერიკელს, რადგან იმ წელს ბელგიელის დონეზე ვერავინ თამაშობდა და მის ლიდერობაზე პრეტენზიის გამოცხადება არავის შეეძლო. ისე ჩანდა, რომ ანენს გარანტირებული ჰქონდა ათწლეულის პირველი ჩოგნის სტატუსი, მაგრამ 2008 წლის გაზაფხულზე ბელგიელმა მოულოდნელად პროფესიული კარიერა დაასრულა. სერენას ღირსეული მოწინააღმდეგეები არ დარჩა და მან დამაჯერებლად მოიპოვა მსოფლიოს რეიტინგის პირველი ადგილი.

აი, როგორ წარმომიდგენია ბოლო ათი წლის შედეგების მიხედვით ჩოგბურთელი ქალების ჰიტაღლუმი:

**1** **სერენა უილიასმა** გასულ ათწლეულში „დიდი სლემის" 10 ტურნირი მოიგო. მან სეზონის ოთხივე მთავარ ჩემპიონატში გაიმარჯვა, მაგრამ ერთ სეზონში ამის გაკეთება ვერ მოახერხა. 2000-2009 წლებში უმცროსმა უილიამსმა 30 ტურნირზე მოიპოვა მთავარი პრიზი. თუმცა მან ყველა იმ ჩოგბურთელზე ნაკლები მატჩი ჩაატარა, რომლებიც ამ სიაში არიან შესულნი. ამერიკელის ანგარიშზე სულ 370 მოგება მოდის, ეს კი მხოლოდ მეშვიდე მაჩვენებელია სხვა ჩოგბურთელებთან შედარებით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, სერენას რომ დასჭირვებოდა, ამ მაჩვენებელშიც სხვებზე უკეთესი იქნებოდა.

**2** სიაში **ჟუსტინ ანენი** ვენუს უილიამსზე მაღლა დავაყენე. მსოფლიოს რეიტინგის სათავეში მისი ყოფნის ხანგრძლივობა მართლაც შთამბეჭდავია. მან 40 ტურნირში გაიმარჯვა, მოგებების მხრივაც (428) მყარად იკავებს მეორე ადგილს. ჟუსტინის აქტივშია „დიდი სლემის" ტურნირებზე ექვსი ტრიუმფი. ბელგიელს სამჯერ აქვს სეზონი დასრულებული პირველი ჩოგნის რანგში.

**3** **ვენუს უილიამსი** კარიერის ბოლომდე ჩაითვლება ქალთა ტურში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგედ - ყველამ კარგად იცის, რა მაღალ დონეზე შეუძლია მას თამაში. მაგრამ ტრავმებმა და მოტივაციის ნაკლებობამ უილიამსს ცუდი სამსახური გაუწია და ის უკვე დიდი ხანია აღარ გვინახავს კლასიფიკაციის სათავეში. მიუხედავად ამისა, ვენუსმა ხუთჯერ მოიგო უიმბლდონი, რაც გასულ ათწლეულში სარეკორდო მაჩვენებელია. მან აგრეთვე WTA-ის ტურნირებზე 32 ტიტული მიითვალა და მოიგო ზუსტად 400 შეხვედრა, რაც მის მიერ ჩატარებული თამაშების საერთო რიცხვის 81.8 პროცენტს შეადგენს.

**4** **მარია შარაპოვამ** საჩოგბურთო საზოგადოებას საკუთარი თავი 2004 წელს გააცნო, როცა 17 წლის ასაკში უიმბლდონი დაიპყრო. მას ტრავმების გამო არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ათწლეულის მოთამაშის სტატუსზე, მაგრამ 22 წლის ასაკში „დიდი სლემის" ტურნირების სამგზის გამარჯვებულისა და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის სტატუსი პატივისცემას იმსახურებს. დაუმატეთ ამას 20 ტურნირზე გამარჯვება. გარდა ამისა, მის მიერ გამართული მატჩების 80.4 პროცენტში მარია გამარჯვებული ტოვებდა კორტს.

**5** არ შეიძლება არ აღვფრთოვანდეთ შარშან **კიმ კლაისტერსის** ტრიუმფალური დაბრუნებით. ბელგიელმა ნამდვილი სასწაული მოახდინა და თან ეს ისე იოლად და ღიმილით გააკეთა, თითქოს ეს საქმე მისთვის მთავარი არ იყოს ცხოვრებაში. დიახ, კიმმა გამოტოვა ათწლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ დაბრუნების შემდეგ ამერიკის ღია პირველობის მოგებამ გადაწონა მისი ყველა წინა წარუმატებლობა.

**6** არ შეიძლებოდა ამ სიაში არ მოხვედრილიყო **ამელი მორესმო**. აქ ჩამოთვლილ გოგონათაგან ის ყველაზე გამოცდილია. მისმა შემართებამ და საკუთარი თავთან დაუზოგავი მუშაობის უნარმა ფრანგს ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი მოაგებინა, მოაპოვებინა 24 ტურნირის მთავარი პრიზი, 426 მატჩში გამარჯვება და მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი.

**7** **ლინდსი დავენპორტი** - კიდევ ერთი სახელგანთქმული დედიკო. მან „დიდი სლემის" ტურნირებიდან მხოლოდ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო (იგულისხმება ბოლო ათწლეული), სამაგიეროდ, სამჯერ დაასრულა წელი პირველი ჩოგნის სტატუსით. თანაც ოთხ სეზონში მინიმუმ 60 მატჩის მოგებას ახერხებდა.

**8** **სვეტლანა კუზნეცოვა** - 2004 წლით დათარიღებული გრანდიოზული რუსული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სხვა თანამემამულეებთან შედარებით, კუზნეცოვა კმაყოფილია თავისი მეორეხარისხოვანი როლით. ხშირად მის ნიჭს ვერ ეწეოდა კორტზე ნაჩვენები შედეგები. მიუხედავად ამისა, მან მოასწრო „დიდი სლემის" ოთხი ტურნირის ფინალში თამაში და ორის მოგება (ამერიკის ღია პირველობა და როლან გაროსი).

**9** **ჯენიფერ კაპრიატი** საკმაოდ მივიწყებულია იმისთვის, რომ ამ სიაში მოხვდეს. მიუხედავად ამისა, ათწლეულის დასაწყისი - 2000 და 2001 წლები ძალიან წარმატებული იყო მისთვის. ამერიკელმა მოასწრო ავსტრალიის ღიასა და როლან გაროსის მოგება, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმების გამო იძულებული გახდა ნაადრევად დაესრულებინა კარიერა.

**10** **ელენა დემენტიევა** - ჩოგბურთელი, რომელმაც ყველაზე მეტი მატჩი მოიგო ბოლო 10 წლის განმავლობაში - 444. მას არც ერთხელ არ მოუგია წლის მთავარი ტურნირი, მაგრამ 14 ტიტულის მფლობელი გახლავთ. ელენას მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ოლიმპიადის ოქროს მედალი.

არის კიდევ სამი ჩოგბურთელი, რომელთა მოხსენიება მინდოდა. **მარი პირსი, მარტინა ჰინგისი** და **ანა ივანოვიჩი**. მათი მიღწევების გამოყოფა აუცილებელია, მაგრამ ამ ტრიოს მონაგარი ისეთი შთამბეჭდავი არ არის, რომ მათ საუკეთესო ათეულში მოხვედრაზე განაცხადონ პრეტენზია.

**გია თვალაბეიშვილი**


## ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე

„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!"

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლ „პალიტრის" კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა"

„ცხოველები"

„მსოფლიოს დიდი ატლასი"

ავტომატურად თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების" სერიის ხელმომწერი







მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

☎ 38 26 73; 38 26 74;

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.